

ლიტერატურული გაზეთი

№24 (232) 28 დეკემბერი 2018 - 17 იანვარი 2019 გამომცემის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით ფასი 80 თეთრი

ვახტანგ ჯავახიძე

ღამირიკას და ღაჰნარა

თუმცა აღარ მაკლდა ფულები
და ბევრჯერ ვიყავ მთვრალი,
არცერთი მიმართულებით
არ გამქცევია თვალი.
ეს იყო დიდი თამაში,
რომელსაც აკლდა ტაში,
ჩემი ყველაზე ლამაზი
სახლში მელიოდა მაშინ.
დღეს თითქოს პიტიახში ვარ,
თბილისის პიტიახში:
მირეკავენ და სახლში ვარ
და არამართო სახლში.

ველოსიპედი

არ დაბინდულა ჩემი გონება,
უძრავ-მოძრავი მომნონს ქონება,
ვიცი: სასტიკად აკრძალულია
ველოსიპედის გამოგონება.
მაგრამ გამიტყდა ძველი იმიჯი
და არ მევასა ჩემი სიფათი,
რადგან შევცდი და რამდენიმეჯერ
გამოვიგონე ველოსიპედი.

ლამაზები

დავაკვირდი მაიას და მარიამს და მანანას და
ოთხმოცს გადავაბიჯე და ყველა ქალი გალამაზდა.
ისე მეხალისებთან, ისე მეიმედებთან,
შუქნიშნები გამოთიშეს: ქურჩა თითქოს ედებია.
პროტესტი არ დასცდენიათ უკიდურეს პროტესტანტებს
რუსთაველის პროსპექტიდან — თამარ მეფის პროსპექტამდე.
პოდიუმებს აფინანსებს უმშვენიერესი დენდი
და იმარჯვებს ლამაზების პრეზიდენტთა პრეზიდენტი.
მოუსმინეთ: უცნაურზე უცნაური გამებია
და თვალეები თავისთავად გამექცნენ და გამირბიან.
მათამამებს სახალისო არია და არიოზო:
ისემც თვალი დაგიდგეს და თვალმა წყალი დალიოსო.
ამიხირდა არჩევანი და ეჭვები დამასია,
ყველა კარის მეზობელიც (ხელს ნუ ახლებ!) ლამაზია.
და მოყვასიც ამიხირდა: როგორ უნდა აგიტანო,
სად იყავი აქამდე და დამეკარგე აქედანო!
დავფიქრდი და პასუხი ვერ მოვიპოვე საკადრისი:
ნეტავ მართლა სად ვიყავი, სად მეძინა აქამდისინ?
ასაკს გადააბრალებენ, როცა საქმე არ გამოდის:
ჩემმა ოთხმა ოცეულმა მომიყვანა აქამომდის.
ჩიტის გული უნდა გქონდეს ანუ შიში კაკანათის:
ღმერთსა ჩემსა შეება ჩემი მოეწყინა აქანამდის.
ერთადერთი იმედი და ერთი მოიმედე მინდა:
ცოტა გვიან გამაძეონ ლამაზების ედემიდან.

IV-V

ლელა ცუცქირიძე


ამბავი ნაადრევად გაყვითლებული ხეებისა

ეს ამბავი იმ ხეზე არაა,
აგვისტოს ბოლოს თუშეთის ტყიდან
საშიში გზით ბარისაკენ მომავალ მგზავრებს რომ გვემშვიდობება —
ათას მწვანე ხეებს შორის მოულოდნელად
იმისათვის გაყვითლებული,
რომ მერე, სახლში დაბრუნებულბმა,
ვერასოდეს ვერ დავივიწყოთ.
ეს ამბავი არც იმ ხეზეა,
ჩემი კორპუსის წინ რომ დგას გაჩერებაზე
და ვერავინ ამჩნევს,
გვგონია, ასეც უნდა იყოს —
ერთი ჩვეულებრივი ხე გაჩერებაზე.
ის კი, თითქოს მთელი წელი იმისთვის ცოცხლობს,
რომ აგვისტოს ბოლოს მოიკრიბოს გამბედაობა და
ერთ ღამეში მზის ასანთით ნაიკიდოს შემოდგომის ყვითელი ცეცხლი,
მხოლოდ იმისთვის, რომ შევამჩნიოთ
და აღტაცებით ნამოვიძახოთ:
ეს რა ლამაზი ხე ყოფილა! რა სასწაული!
ეს ამბავი არც იმ ხეზეა,
სოფლის სერზე მარტოდმარტო რომ ამოვიდა
და ყოველი ზაფხულის ბოლოს,
როცა პატრონები ნაბიჯებისგან ცლიან სახლებს და ქალაქისკენ მიიჩქარიან,
ხე უარს ამბობს სიმწვანეზე, სიხასხაზე,
ნაადრევად იყვითლებს ფოთლებს
და ამით საკუთარ სევდას აშველებს სევდიან სოფელს.

ეს ამბავი გოგოებზეა,
იმ გოგოებზე, პატარები რომ იყვნენ და ერთ დღეს დიდობა გადაწყვიტეს,
დიდები რომ იყვნენ და ერთ დღეს ბავშვებად გადაქცევა
რომ მოიფიქრეს გადარჩენისთვის.
ერთფეროვნებას რომ აუმხედრდნენ და
ერთ დღეს, ყველასთვის მოულოდნელად,
სხეულები ათასი მზით მოისვირინგეს,
ერთ დღეს შიშის რომ აღარ შეეშინდათ
და ვერდატეული ყველა ყვირილი სხეულსმიღმა გამოიტანეს,
იმ გოგოებზე, იმ ქალებზე,
ერთხელ რომ ადგნენ და ამ უფერო სამყაროში
აგვისტოში ნაადრევად გაყვითლებული ხეებისვით გამოანათეს.

ეს ამბავი ჩვენზეა, ერთ დღეს რომ უნდა გავიფიქროთ:
თუ ზამთარია და თუ სიკვდილი,
ასე მხნედ და ასე ლამაზად,
მხოლოდ ასე,
ასე.

VIII-IX





ძველი თაობის ეგრეთ წოდებული საბჭოთა მწერლები (მათი უმრავლესობა სრულიად არ იყო „საბჭოთა“) მემუარების გამოქვეყნებას ან თავს არიდებდნენ, ან იძულებით მიმართავდნენ წარსულის „შელამაზებას“ და კორექტირებას; ამიტომაც დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა ერთმანეთისაგან გავიჯნოთ სიმართლე და ნახევარსიმართლე, ჭეშმარიტება და კონიუნქტურა.

ჩვენი დუხჭირი ახლო წარსული (ტაბუდადებული სახელები, „მავნე“ თემები), ამასთან, ჩინოსანი მწერლების თუ „წითელი პროფესორების“ გააფთრებული წინააღმდეგობა, ფაქტობრივად, კრძალავდა სიმართლის წერას.

მხოლოდ ნებადართული „უცენზურობის“ შემდეგ მიეცათ მოგონებათა ავტორებს სრული თავისუფლება და შედეგამაც არ დააყოვნა: დაისტამბა თანამედროვე და XX საუკუნის ქართველ ავტორთა საყურადღებო თხზულებანი, ოჯახებში დაცული მემუარები — სრული სახით ან ფრაგმენტულად, ეგრეთ წოდებული თაროზე შემოდებული ჩანაწერები, რომელიც არც იყო გამოსაქვეყნებლად გამიზნული. ზოგი მათგანი ძალზე საინტერესო აღმოჩნდა, ზოგიც — აშკარა სიყალბე და სიჭრუე.

მავანი „ავი“ ავტორის მოგონება, ლანდღვით, ბოლშევიკთა და უხამსობის თანხლებით, უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. იგივე ითქმის თითო-ორი თანამედროვე მწერალზეც, რომელთა ვითომცდა მემუარულ-დოკუმენტური „მხატვრული“ თხრობა აღსაცხვავდა თვითგანდიდების სურვილით, თანამოკალმეთა დაკნინებითა და შეურაცხყოფითაც კი, აგრეთვე, ან გარდასულ ღირსეულ მოღვაწეთა „მოთხრობით“. ამგვარი ჩანაწერები სოციალური ქსელების უსამართლო და ბოროტ „პოსტებს“ უფრო გვაგონებს, ვიდრე მემუარებს.

XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ბედმა მარგუნა გულითადი მეგობრობა და სიახლოვე ბევრ ჩვენთვის საამაყო ქართველ მწერალთან, მხატვართან თუ მეცნიერთან (მიუხედავად მათი ასაკისა თუ ჩემი მოკრძალებული „სტატუსისა“): ზოგი მათგანი განისვენებს მთაწმინდაზე ან დიდუბის პანთეონში, ზოგიც — საგვარეულო სასაფლაოზე.

კიდევ დიდხანს არ გამინელდება სააქაოში მათი არყოფნის სიმძიმე და გაუსაძლისი სიცარიელის შეგრძნება. ძალზე გამიძნელებდა მათზე წერა; ის სინდრე და გულახდილობა, რაც ჩემთან ურთიერთობისას გაუმჟღავნებიათ, მაკრთობს და მავალდებულებს კიდევ თავშეკავებას. როდესმე იქნებ შევძლო „ზომიერების ოქროს კვების“ დაცვა — მაშინ მართლაც ბევრ საინტერესო ამბავს გამოვამზეურებდი...

მოგონებათა წერა უთუოდ დაკავშირებულია გარკვეულ რისკთან, ზოგჯერ ის თვითრეკლამას ნაგავს. არ მინდა, ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს მკითხველს, რომ ძალით მივეტმასნე რომელიმე ცნობილ ადამიანს; არ მინდა, მემუარისტ კრავესკაიას როლში აღმოვჩნდე, რომლის თაობაზე ენამწარე პუშკინი ცოლს სწერდა: „...Какова Краевская? Не думая я попасть в её мемории и таким образом достигнуть бессмертия!“

მოგონებები იმითაც არის ფასეული, რომ თვითმხილველის მიერ გადმოცემული წერილობითი და თითქოსდა უმნიშვნელო შტრიხები ჩვეულ ზარზეიმურობას აგვარიდებს და ცხოვლად, თვალნათლივ დაგვანახებს ამა თუ იმ გამოჩენილ პიროვნებას. „ქრესტომათიული პენი“ ხომ გარკვეულწილად აღუნებს ინტერესს და, არცთუ იშვიათად, სქემატურობის ტყვეობაში გვამყოფებს.

მხოლოდ მემუარებში თუ წავაწყდებით ამგვარ ფაქტებს:

სამსახურში დანიშნულებული დიმიტრი ყიფიანი, რომელსაც, უწინარეს ყოვლისა, ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკის თანადგომა ევალებოდა, სამოცი წლის ასაკში ლათინურ ენას სწავლობს, რადგან მეტად საჭირო წიგნის — ქართული ენის გრამატიკის — შედგენას აპირებს...

„ნებიერი ბუნებისა და ბედისა“ აკაკი წერეთელი თბილისში, ლიზა ჭავჭავაძემარჯანიშვილთან (კოტე მარჯანიშვილის დედა) სტუმრობისას, მშვენიერი დიასახლისის დაირის აკომპანემენტის ფონზე ლექსებს თხზავს...

უდიდესი სულიერი ძალით აღჭურვილ დაუცხრომელ მუშაკს — იაკობ გოგებაშვილს — „ჯანმრთელობისათვის ზრუნვა კულტად ჰქონდა გადაქცეული... შინ მარად ხალათი ეცვა, ილიაში თერმომეტრი ჰქონდა გაკეთებული, ოთახში ბოლთასა სცემდა და თან მღეროდა „ავთანდილ გადინადირას...“

სახელოვანი მწერალი, საერთო საქმისათვის ნიადგ მოფუსფუსე ეკატერინე გაბაშვილი „რამდენჯერ უნახავთ, ქუდი განზე ჰხურებია და ისე გამოსულა გარეთ. როცა უთქვამთ: ქუდი გაისწორე, კატო, განზე გხურავსო, ეტყობა: ნეტავი თქვენ, ახლა მაგისთვის მცხელაო?“

„ჩვენი ქვეყნის რაინდის“ ავტორს „რევილვერი სულ მუდამ დაჰქონდა ჯიბით, თუმცა მაგალითი არა ყოფილა, რომ როდისმე ვისთვისმე ესროლა...“

ეგ ზარქოსმა პავლე, რომელმაც თბილისის სასულიერო სემინარიის შავრაზმელი რექტორის ჩუდეცკის მკვლელობისათვის მთელი ქართველი ერი შეაჩვენა და ამით დიმიტრი ყიფიანის რისხვა დაიმსახურა, ყაზანის ეპარქიაში გადაყვანის შემდეგ თან წაიყვანა თავისი ოფიციალური საყვარელი — ჩუდეცკის ქვრივი...

ეს რამდენიმე საგულისხმო ეპიზოდი თედო სახოკიას შესანიშნავი წიგნიდან — „ჩემი საუკუნის ადამიანები“ — ამოვკრიბე...

ამჯერად ვამჯობინე, დავეჯერე მხოლოდ ეპიზოდურ და „წერილმან“ მოგონებებს დიდ ქართველ მოღვაწეებზე.

წრებოდა ჩვენი ნათლიების, 20-30-იან წლებში რუსეთის მიგრებული, დამპყვნილი და გაპარტახებული სოფლებიდან გადმოხვენილი ღრმად მორწმუნე დების, ვერასა და ნადეჟას, გარდა. ვერა დედის შინამოსამსახურე იყო, ნადია — ჩვენი. როცა წამოვიზარდეთ, მათვე ხშირად დაყვავდით ტვერელის ეკლესიაში, სადაც წირვა-ლოცვა იყო. მოგვიანებით გავიგე, რომ სწორედ ამ ეკლესიაში დადიოდა ლავრენტი ბერიას დედა მცველის თანხლებით, გლახაკთათვის განკუთვნილი სანოვავით სავსე კალათით.

საკმეველის სურნელით გაჯერებული და ხალხმრავალი ეკლესიის შემდეგ ბავშვები შეგვაკრთო უკაცრიელ ქაშვეთში გამეფებულმა „საყდრულმა მყუდროებამ“ და უზარმაზარმა, ცარიელმა სივრცემ.

გუმბათის ქვემოთ ვეებერთელა, საშიში ხარაჩოები აღმართულიყო, სულ ზემოთ ერთადერთი „მუშა“ იდგა, თავზე გაზეთისაგან გაკეთებული სამკუთხა ქუდი და მოთხვრილი, განიერი ხალათით. ხელში მოზრდილი ფუნჯი ეკავა და ღვთისმშობლის ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ფრესკას დიდი სიფრთხილით აგვირისტებდა.

დედის მოკრძალება ჩვენი გადმოგვედო, თვალზედა ვიქეციოთ. დედა, ყოველი შემთხვევისათვის, ხელს არ გვიშვებდა, გატოკება რომ არ გაგვებოდა. „მუშამ“ ერთი კი გადმოგვხვდა კართან ატუზულებს, მერე კი ხმაამოუღებლად განაგრძო საქმიანობა. დიდხანს ვიდევით ასე, გასუსულნი და მონუსხულები.

„მუშა“ დიდი ლადო გუდიაშვილი აღ-

ნებული და აკადემიისაგან მოკვეთილი. მხოლოდ 1957 წლის დიდმა რუსთო სპექტულმა გამოფენამ დაგვანახა, რა განძის მფლობელიც ვიყავით.

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ წერილში ლადო გუდიაშვილზე, ქსე-ში არც მორის რეინალის წიგნია დასახელებული და არც ქაშვეთის მოხატვის ფაქტი.

1957 წლის გამოფენამ მთელი თბილისი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, გააოგნა, ვის არ ნახავდით იქ: საქართველოს ნებისმიერი თაობის ინტელექტუალურ „ნაღებს“, მწერლებს, ხელოვანებს, მეცნიერებს, მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლებს; ლადო გუდიაშვილი ხომ არა „საბჭოთა“, არამედ ჭეშმარიტად სახალხო მხატვარი იყო.

კიდევ ბევრჯერ დავტკბობთ ამ ბრწყინვალე ვერნისაჟით, მაგრამ პირველი შთაბეჭდილება მართლაც წარუშლელი აღმოჩნდა. მხატველთაგან რატომღაც ან განსვენებული ვაჟა გიგაშვილი, დღესაც სათანადოდ დაუფასებელი პროზის დიდოსტატი, მაშინ კი გურამ რჩეულიშვილის ახალგაზრდული მეამბოხე და „ბიტნიკური“ წრის ღირსეული წევრი დამამახსოვრდა, ალბათ იმიტომ, რომ დედაჩემის უახლოესი მეგობრის შვილი გახლდათ და ბავშვობიდანვე კარგად ვიცნობდი. ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი იყო, ძალიან ჭკვიანი, მრავალმხრივ ნიჭიერი, კარგად ხატავდა, იყო მთავსვლელი, მონადირე, შემდეგში — წარმატებული არქიტექტორი, კინოსცენარისტი, მწერალი... მაშინ უფროს-უმცროსობას სხვაგვარად აღვიქვამდით: მართალია, იმ წელს სკოლას ვამთავრებდი, მაინც ვაჟას დიდი რიდი მქონდა, მასთან შედარებით თავი ლანჩაკად მიმაჩნდა. გამოფენაზე ვაჟა არც შემიმჩნევია, თვითონ მოვიდა ჩემთან, ჩემსავით გაბადრული და სახეგაბრწყინებული, გულითადად მომიკითხა და მითხრა — ხედავ, რა დიდი მხატვარი გეყოლია!

სწორედ ამ გამოფენის შემდეგ, რომელიც მოსკოვშიც წაიღეს, დაიწყო ლადო გუდიაშვილის აღზევა. ცეკამ და ჩეკამ, როგორც იქნა, დაივიწყა მისი „კრამოლური“ პარიზული წარსული და ფორმალისტური „ცოდებები“, რასაც შეიძლება 30-იან წლებში ფატალური შედეგიც მოჰყოლოდა. თავის დროზე ლადო გუდიაშვილსაც მოუწია ტოტალიტარიზმისათვის ხარკის გადახდა, ისევე, როგორც იმ დროის თითქმის ყველა ხელოვანს.

ამ გამოფენიდან ათიოდე წელი იქნებოდა გასული; 10-20-იანი წლების ქართული მოდერნიზმის რეალური სურათის წარმოჩენას როცა ვცდილობდი, თვალნათლივ გამოიკვეთა ლადო გუდიაშვილის ღვაწლი ქართული ავანგარდის დამკვიდრებაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლე წლებს ქართული კულტურის დიდი აღმავლობა მოჰყვა. სწორედ ამ პერიოდში თბილისში ჩამოვიდნენ პეტერბურგელი და მოსკოველი ხელოვანები. ოქტომბრის რევოლუცია რუსული ავანგარდის დაშლის მაუწყებელი გახდა: იმედგადაწურულმა და სამოქალაქო ომით შეჭრვებულმა მხატვრებმა და პოეტებმა თბილისს მოაშურეს. აქაური ატმოსფერო მათთვის ილბიანი აღმოჩნდა. ისინი ნაყოფიერად თანამშრომლობდნენ ქართველ ხელოვანებთან — პაოლო იაშვილთან, ტიცციან ტაბიძესთან, გრიგოლ რობაქიძესთან, ლადო გუდიაშვილთან, განსაკუთრებით კი ქართველ პოლონელებთან — კირილე და ილია ზდანევიჩებთან.


ციფერყანელთა კავე „ქიმერონი“, მოხატული ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, ზდანევიჩების, რუსეთიდან „გამოქცეული თუ გამორეკილი“ (გრიგოლ რობაქიძე) ცნობილი რუსი თეატრალური მხატვრის სერგეი სუდეიკინის და პოლონელ ზიგმუნდ ვალიშევსკის მიერ, მათი ერთობლივი თავშეყრის ადგილიც იყო.

ლადო გუდიაშვილი, პაოლოს, ტიცციანისა და ვალერიან გაფრინდაშვილის უახლოესი მეგობარი, ხშირად უბოროტოდ ამასხრებდა მათ — ბრწყინვალე კარიკატურებით, შარჟებით, იმიტომ, რომ მათ კერპს ფრანგ სიმბოლისტ სტეფან მალარმეს „მალიარს“ ეძახდა. მანვე გააფორმა ვალერიან გაფრინდაშვილის ფურნალის — „მეოცნებე ნიამორები“ — ყდა.

ლადო გუდიაშვილი ხშირად ეცნობოდა რუსი და ქართველი პოეტების ერთობლივ დისპუტებს. ერთხელაც, როცა გრიგოლ რობაქიძემ, მგზნებარე ორა-

ლალი ავალიანი „ყველას რაიმი აქვს სახსოვარი“

მემუარების სანაცვლოდ




ლადო გუდიაშვილი

რუსთაველის პროსპექტი, თბილისის კულტურული ცენტრის გარდა, სასაქონლო და გასართობ, ნაცნობ-მეგობრებთან შეხვედრის, ან, ძალზე ხშირად, ლიტერატურისა და ხელოვნების უცნობილეს მოღვაწეთა „ლაივში“ ნახვისა და ტკობის ფუნქციასაც ითავსებდა. საბედნიეროდ, დედა და მამა ადრეული ასაკიდანვე გვასაყრებდნენ რუსთაველზე. ერთხელაც დედამ დიდ ეკლესიასთან გაგვაჩერა, ღია კარში შეიხედა (ალბათ, ჯერ მიიხედა-მოიხედა კიდევ, გვითვალთვალებდა თუ არა ვინმე) და ხელჩაკიდებულნი დიდი მორიდებით შეგვიყვანა ქაშვეთში.

უფრო ადრე, დაახლოებით 40-იან წლებში, ორი წლით უფროსი ჩემი და და მე თურმე მალულად მოგვნათლეს მთაწმინდაზე, სიმონ ტვერელის რუსულ ეკლესიაში. „შიშიანობის“ გამო ნათლობას არავინ ეს-

მოჩნდა. იდგა 1947 წელი. მაშინ მხოლოდ უფროსმა თაობამ თუ იცოდა გუდიაშვილის ნამდვილი ფასი, სკოლაში წარმოდგენაც კი არ გვქონდა მხატვრის სიდიადეზე: კოლექტიურ ოფიციალურ გამოფენებზე ნახაბი მისი თითო-ორი, ძირითადად, საკოლმეურნეო თემაზე შექმნილი ტილოები, ცხადია, არ გვიზიდავდა. არც ის ვიცოდით, რომ 1919-26 წლებში სწავლობდა პარიზში, სადაც მისი ორი პერსონალური გამოფენა (1922, 1925) გაიმართა. ცალკეული ნახატები გამოფენილა ბელგიასა და ამერიკაში; ზოგი მათგანი მადრიდის პრადოს მუზეუმსა და უცხოელ კერძო კოლექციონერებს შეუსყიდიათ. 1926 წელს მორის რეინალმა პარიზში მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი ილუსტრირებული მონოგრაფია გამოცა.

1926-32 წლებში ასწავლიდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. იყო ნაყოფიერი მხატვარი, მაგრამ ოფიციალური საგანგებო



ტორმა, მწარედ გააქილიკა კრუჩინონი (უნოდა „skomorox vshivogo besenka“), მისი ენამჭევრობით შთაგონებულმა მხატვარმა იმავე ლამეს შექმნა პორტრეტი: „გრიგოლ რობაქიძე არწივის თავით, რომელსაც გადმოსდის ტვინი ბალღამივით და შუბლი შედრეკია ისე, თითქოს მაცხოვრარს ჩასცეს ლახვარი“ (ტიციან ტაბიძე).

გამოხდა ხანი და კომუნისტური „სამოთხიდან“ თავდაღწეული რობაქიძის ნინააღმდეგ გრიგოლ მუშიშვილმა დაწერა პამფლეტი „გველისპერანგოსანი“. მისი პატარა ნიგნაკის გაფორმება, ცხადია, იძულებით, ლადო გუდიაშვილს დაევალა. მწერლის თავს მან ქვენარმავლის თავი გამოაბა.

აკაკი ბაქრაძის მართებული მოსაზრებით, „ლადო გუდიაშვილმა თავისი გული-სნადები მაშინ გამოთქვა, როცა არწივისთავიანი გრ. რობაქიძე დახატა, ხოლო როცა გველისტანიანი გრ. რობაქიძე გამოსახა, მაშინ მხატვარი კომპარტიის დავალებას ასრულებდა. სხვა გამოსავალი იმ დროს ლ. გუდიაშვილს არ ჰქონდა. მისი სიცოცხლეც ბენჯე ეკიდა. როგორმე ტყავი უნდა გადაერჩინა“ („მწერლობის მოთვინიერება“).

ასეთი იყო დიდი ხელოვანის ხედვრი ტოტალიტარულ სახელმწიფოში, თუ, რასაკვირველია, არ მიატოვებდი სამშობლოს და უცხოეთში არ გააღწევდი. ლადო გუდიაშვილი მართო დიდი მხატვარი კი არა, დიდი პატრიოტიც გახლდათ.

ლი სტუდენტებიც გახდნენ: „აზიატსკებსა“ და „ერთი მუჭა ქართველებად“ სახელდებულ შავ ხალათზე შემოჭერილი ქამრით შემოსილი მერაბ ბერძენიშვილი, ქანდაკებასავით ჩამოსხმული ბიძინა ავალიშვილი, ულამაზესი ძმები ოჩაიურები, 25 წლის ასაკში ტრაგიკულად დაღუპული ლადო ქოქიაშვილი; ცნობილი მშვენიერი მსახიობი ქალბატონები და სხვანი. მაშინ მათი ვინაობა არც კი ვიცოდით.

გამორჩეული გვყავდა ერთი ახოვანი, ლამაზი მოხუცი, გრძელი, თოვლივით თეთრი თმა-წვერით, განუყრელი შავი ნაბღითა და კახური ქუდი. იგი ჩვენში თოვლის ბაბუის ასოციაციასაც იწვევდა, თუმცა, მისი სამოსის ფერი გვეხამუშებოდა.

ერთხელაც, მოხდა საოცრება და ეს იმპოზანტური მოხუცი სახლში გვეწვია. დიდხანს ესაუბრა ბებოს და მამას; მერე, როგორც ჩანს, ნაწყენი და უკმაყოფილო წავიდა.

მაშინ, კიდევაც რომ ეთქვათ მისი წყენის მიზეზი, მაინც ვერაფერს გავიგებდით. აღმოჩნდა, რომ მოხუცი ცნობილი და ღვანლმოსილი საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი და მწერალი იოსებ იმედაშვილი გახლდათ. იმხანად იგი შეჭიდებოდა დიდ ეროვნულ საქმეს, რაც საბჭოურ რეჟიმში აშკარად დონკიხოტური წამოწყება იყო — ქართველ მწერალთა გამონვლილვით ლექსიკონს ადგენდა. სწორედ ამიტომ მოაკითხა მან ჩვენს ოჯახს, ბაბუაჩემის, ქუთაისელი მწერლის, მთარგმნელისა და ჟურნალისტის დავით



ჯანსუღ კახიძე

იმჟამინდელი I ქალთა საშუალო სკოლის რამდენიმე თანაკლასელი ნანა გოგოძემ (შემდეგში — ლიტერატორმა, გამომცემლობა „ნაკადლის“ რედაქტორმა), რომელთანაც იმთავითვე წიგნის სიყვარულმა დამამეგობრა, დაბადების დღეზე დაგვპატიჟა. თანაუბნელი გოგოები სიხარულით ავუყვებით ალექსანდრე ჭავჭავაძის აღმართს და არსენას ქუჩაზე შევუხვეით. ალბათ 8-9 წლისანი ვიყავით: როგორც ომისშემდგომ თაობას შეეფერებოდა, განრიპული და უაღრესად ინფანტილური. შესვლისთანავე მოულოდნელობას გადავანწყდით: განყობილ სუფრას „დიდი“ კაცები და ქალები მისხდომოდნენ (შემდეგში გავაცნობიერე, რომ ნანას უფროსი დის, ლილას, სტუდენტი მეგობრები იყვნენ) და ტკბილად ქეიფობდნენ.

დიდი მორიდებით მივუსხედით მაგიდას. მე თვალბად და ყურებად ვიქეცი: სამი უსაყვარლესი, ჩემზე ბევრად უფროსი დეიდაშვილი მყავდა — გივი, მეგი და დევი დათუშიძეები — ჭკვიანები და უაღრესად განათლებულები. პატარა დეიდაშვილებს გვანებიერებდნენ, მათი მონაყოლის მოსმენა ძალიან გვიყვარდა. დანარჩენი გოგოებიც გაიტრუნნენ, „სხვანაირი“ ბავშვები ვიყავით, დღევანდელი ყმანვილებისაგან განსხვავებულნი.

უფროსები დიდად კეთილგანწყობილად შეგვხვდნენ, მაგრამ ჩვენს შორის „კომპიტიკა“ მაინც ვერ მოხერხდა.

მოულოდნელად ერთმა „კაცმა“ უჩვეულო სიმღერა წამოიწყო; სამხმინასუფრული სიმღერები ბევრჯერ მომესმინა სახლშიც და სტუმრადაც, მაგრამ ეს სულ სხვა რამ იყო — „ა კაპელა“, საოცრად შესრულებული; მომღერალი კი, არც მეტი და არც ნაკლები, მაშინ სრულიად ახალგაზრდა ჯანსუღ კახიძე გახლდათ! ის ნარუშლეული ემოციური ზემოქმედებაც მასსოვს დღემდე, მოტივიც და ტექსტიც. ეს სიმღერა შემდეგში სხვისი შესრულებითაც მომისმენია, თუმცა, პირველი შთაბეჭდილება მაინც განსაკუთრებული იყო.

დიდხანს მეგონა, რომ ჯანსუღ კახიძეს ეკუთვნოდა მუსიკაც და ტექსტიც, ახლაც არ ვიცი, იქნებ ვცდებოდით.

რომ შეგადარო ნაზ ჩინარს, რომ შეგადარო ვაზაფხულს, იტყვი მე ქალთა დამრთი ვარ, დეფოლოტბაც არა მსურს...

კარგი რამ იყო ეს დალოცვილი რომანტიკულობა, ახლანდელ „კომპოზიციებში“ სანთლითაც რომ ვერ იპოვნი.

ჯანსუღ კახიძის მრავალმხრივი მოღვაწეობა (დირიჟორი, ლოტბარი, ფოლკლორისტი, კომპოზიტორი, მომღერალი,

უბადლო ორგანიზატორი, კლასიკური მუსიკის პოპულარიზატორი და ასე შემდეგ) დასტურია იმისა, რომ დიდ ხელოვანს ესა თუ ის „რეჟიმი“ საბოლოოდ ვერ შეზღუდავს.

კლასიკური მუსიკის კონცერტებზე დასწრება მაშინდელი ახალგაზრდობისათვის არა მხოლოდ სიამოვნების წყარო, არამედ ზოგჯერ საკუთარი „პრესტიჟის“ მოდური აფიშირებაც იყო. საუკეთესო უცხოელი შემსრულებლებიც ხშირად გვანებიერებდნენ. თბილისელი სნობები სწორედ უცხოელ მუსიკოსებს წყალობდნენ. სნობიზმი, ახლაც რომ ვუკვირდები, დიდად უსიამოვნო რამ იყო (ამ მხრივ მეტ-ნაკლებად ყველანი ვცოდავდით). კარგია, რომ დღესდღეობით თბილისური სნობიზმი გადაშენდა.


გრიბოედოვის ქუჩის ბინადარი კონსერვატორიანს განსაკუთრებით ვეტანებოდი. ჯანსუღ კახიძის სადირიჟორო ხელოვნება იმთავითვე აღიარებული იყო. ერთხელ, როცა სახელოვანი უცხოელი პიანისტის კონცერტზე რის ვაი-ვაგლახით მოვიპოვე ბილეთი (მხოლოდ პირველ განყოფილებაში უკრავდა) და აღფრთოვანებულიც დავრჩი, აღმოვაჩინე, რომ მეორე განყოფილებაში მაყურებლით გადაჭედული დარბაზი ერთობ შეთხელდა.

ჩვენს სიმფონიურ ორკესტრს ბერლინის „ფანტასტიკური სიმფონია“ უნდა შეესრულებინა ჯანსუღ კახიძის დირიჟორობით. ბერლიოზზე, ჩემდა სამარცხვინოდ, წარმოდგენა არ მქონდა. წასვლაც კი დავაპირე, მაგრამ ჯანსუღ კახიძის სახელმა შემაჩერა. კიდევ კარგი, დავრჩი: დირიჟორმა ეს საკმაოდ რთული სიმფონია ვირტუოზულად ააჟღერა. ერთიანად დანთქმული ვიყავი მუსიკით. როცა ჩემმა ალტ-კაცებამ მწვერვალს მიაღწია, დავინახე (ალბათ მირაჟი იყო), რომ ჯანსუღ კახიძის ხელების გამომსახველი და პლასტიკური მოძრაობისა ნაპერწკლები ცვიოდა! დაინგრა ტაშით დარბაზი, ჩანს, მართო მე არ ვიყავი „ფანტასტიკურად“ მოჯადოებული.

ასეთ ვირტუოზ დირიჟორს, როგორც მოსალოდნელი იყო, უცხოეთის ბევრი ცნობილი ორკესტრის შეთავაზება ჰქონდა; გასტროლებზე კი დადიოდა, მაგრამ საქართველოდან წასვლა არც უფიქრია.

ეს პატარა მოგონება მინდა, დავასრულო ჯანსუღ კახიძის ერთი ტელეინტერვიუს გახსენებით, მისი ფრაზით, დღესაც რომ ტკბილად ჩამესმის. რა კონტექსტში ითქვა, არც კი ვიცი, არც აქვს მნიშვნელობა: ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად, დიდმა ხელოვანმა განაცხადა — აუტანელი, გიჟი პატრიოტი ვარო — თუ არ ვცდები, რუსული სიტყვაც ჩაურთო — до неприличия პატრიოტიო...

მართლაც ასე იყო.



იოსებ იმედაშვილი

სამხატვრო აკადემიის მოპირდაპირე სახლში, ფანჯრის რაფაზე შემოსკუპული პატარა დები, მესამე სართულიდან დიდი ინტერესით ვაკვირდებოდით აკადემიაში მიმსვლელ-მომსვლელთ. ფანჯრის რაფა ჩვენთვის პატარა ლოჟა იყო: ვის არ დაინახავდით აქედან (ომის შემდგომი გაჭირვების წლებში მენატრულობას არავინ თაკილობდა) — ლამაზ ქალებს, დახვეწილი გარეგნობის მოხუცებს, უცნაურად ჩაცმულ უცნაურ ადამიანებს. არანაკლებ ცნობისმოყვარეობას ალგვიძრავდნენ პროფესურა და სტუდენტებიც; მაგალითად, წარმოსადგეი, მუდმივად ერთსა და იმავე უჩვეულო პიჯაკსა და კეპში თითქოსდა საზეიმოდ გამოწყობილი უცნობი, განკეპილი უღვაშებით, განუყრელი ხელჯოხით წელგამართულად მოსიარულე, უცხოელად მიგვაჩნდა. შემდეგში გაირკვა, რომ არ ვცდებოდით: იგი პეტერბურგში დაბადებული გერმანელი მხატვარი, პროფესორი იოსებ ადოლფის ძე შარლემანი იყო — თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი — რომელიც, ალბათ ოქტომბრის რევოლუციას განრიდებული, 1917 წლიდან საქართველოში ცხოვრობდა.

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღების საგანი დროთა ვითარებაში კოლორიტუ-


ავალიანის ბიო-ბიბლიოგრაფიული ცნობების მოსაპოვებლად; სხვათა შორის, ბაბუა მრავალი თეატრალური რეცენზიის ავტორიც გახლდათ და იოსებ იმედაშვილის ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაშიც“ იბეჭდებოდა.

დავით ავალიანი, იმავდროულად, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეც იყო: აქტიური ფედერალისტი, თითქმის ყველა ეროვნული საქველმოქმედო ორგანიზაციის წევრი.

საქართველოს ანექსიის შემდეგ ახლადმოვლენილმა კომისარმა, ბოლშევიკმა ვინმე ადამსკიმ, იგი, ქუთაისის ქალაქის თვითმართველობაში მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ, მყისვე გაათავისუფლა სამსახურიდან — „თეთრხელება და თეთრსაყელოანი ბურჟუის“ დამლით.

მე კი დღემდე ვინახავ მის მწირ არქივს: 1932 წელს გარდაცვლილა, ხოლო მისი ნაწერები ბებოს გადაუცია ქუთაისის მწერალთა კავშირის თავკაცის, ბაბუის კარგი მეგობრის დავით ჩხეიძისათვის (და ჩიანელისათვის), რომელიც 1938 წელს რეპრესიებს ემსხვერპლა.

ბაბუის პოლიტიკური წარსულის შიშით, ბებოს და მამას იოსებ იმედაშვილისათვის ცნობების მიწოდებაზე უარის თქმა მოუხდათ. არც იყო გასაკვირი: ომის შემდგომაც, სტალინის გარდაცვალებამდე, კვლავ მძვინვარებდა რეპრესიები.



ვახტანგ ჯავახიძე

თოვლის მონატრება

ნატვრას ვნატრობ სიყმანვილისდროინდელს:
 — ნეტავ თოვლი მოვიდეს!
 სხვას ვიხსენებ სადარდელს და სადარდოს:
 — ვაჰთუ, თოვლი მოვიდეს და არ დადოს?
 წამს ვიგონებ წამიერს და წამინდელს:
 — ვაჰთუ, თოვლი მოვიდეს და წავიდეს?!
 ალაგ-ალაგ შიშებს ვეშაირები:
 — ვაჰთუ, თოვლი იგი იყოს ირიბი?
 აღმაცერი მამუნათებს ხატება:
 ჩემი გუნდა ვისლა გაუხარდება?

დღესაც თოვდა აქედან და იქიდან,
 მაგრამ თოვლმა ფეხი ვერ მოიკიდა
 და მე ოქროს თევზი გამოვიჭირე:
 იქნებ მეცენატი შემომეხილოს:
 გამოვიდეს რომელიმე ვაჭარი
 და ბაკურიანის თოვლი მიყიდოს.

წლები, წლები, წლები მემატება და
 თოვლი, თოვლი, თოვლი მენატრება და
 ზემო მეზობელი მეუფროსება:
 ხან ტროიკა მიწვევს, ხან — კარუსელი:
 ვერაფრით ვერ შევიყვარე რუსები
 და ვერც თოვლი შევიყვარე რუსული:
 დამესიზმრა მილიონი თოლია:
 ჩემი ოკუპირებული თოვლია!

ღმერთმა ჩემი მინა გამიბაღწაროს:
 ვენაცვალე გუდაურს და ბახმაროს!

მხარე შაკითხვა

ქარებს მიაქვთ საქართველო,
 წვიმებს მიაქვთ საქართველო,
 სეტყვებს მიაქვთ საქართველო,
 მენყრებს მიაქვთ საქართველო,
 რუსებს მიაქვთ საქართველო,
 შენ სადა ხარ, სა, ქართველო?

რუსეთი — კარის მავრებალი

ჩვენი კარისმეზობლობა ტრაქტატებით შემოსა
 და თანდათან დაეუფლა ჩვენსა გარემოსსა,
 გათავებდა: აღარ შევლის შეგონება-შელოცვა:
 კარებიდან გავაძვევთ და ფანჯრიდან შემოძვრა.

ღიას!

„ოდესმე ნაზი, ზამბახით უღრუბლო ბავშვი“.
 გალაკტიონი

დღესაც ახსოვს ევროპას ნაცისტების ჰიტები —
 პარიზსა და ვარშავას, პრალასა და ოდესას...
 ნუთუ ადოლფ ჰიტლერი,
 ნუთუ ადოლფ ჰიტლერი,
 ნუთუ ადოლფ ჰიტლერიც ბავშვი იყო ოდესაც???

მესამე

ექვი ექვებს მიემატა — მესამე და მეორასე:
 ვახტანგ პირველს აღარ სჯერა უკვე ვახტანგ მეორესი,
 ან — პირიქით: უკვე ექვი მიიტანა მეორემაც
 და აშკარად ედავება აქსიომა თეორემას.
 ალაგ — ალეგორიული, ალაგ — კატეგორიული —
 მეუცხოვს: ვერ ვიცანი ჩემი ორი ორეული.
 ზოგჯერ ლაბილური ფიქრი სადღაც წამაბორიალებს
 და ციფრების ათეულში ვარჩევ ოდენ ორიანებს.
 რაც არ უნდა გამამხნეონ სამრეკლომ და მეზარემა,
 სიყვარული მეექვება და სიცოცხლე მეზარება,
 და თანდათან მენურება იმედი და პერსპექტივა,
 ვინაიდან უკვე ვახტანგ მესამე და ზედმეტი ვარ.

წვიმის გამყიდველი

აეროპორტში მოულოდნელს წავანყდი წვრილმანს:
 არაბმა ფოტო გადაუღო თბილისის წვიმას.
 მალე ტურისტები შიდა-ქართლის, გარე-კახეთის —
 ჩავა ალჟირში და თბილისის წვიმას გაყიდის.

ვარიანთა გალაკტიონის მოტივზე

აჰანდე სხვა ზღვა და სხვა რეზერვუარი:
 ოცნება, ნახაზი საგანთა უარით.

იდუმალს ჩურჩულებს ხმა მოკარნახესი —
 ოცნება, საგანთა უარით ნახაზი.

პაემანს გვთავაზობს დარაზულ საკანთან
 უარით ნახაზი ოცნება საგანთა

და თემიდასავით გვეპატოსნება
 საგანთა უარით ნახაზი ოცნება.

სიზარე — I

კვლავ ვაჭაშნიკებ უსახელაურს,
 ჩემი ოცნება ისევ ლუვრია,
 ვერ ვიტან კიბეს უსახელურს,
 დავეძებ კიბეს სახელურიანს.

სიზარე — II

მეც ბედისწერამ შიში მაგემა —
 ამ წუთისოფლის მობინადრესი:
 თბილისში უკვე დადის აქლემი,
 რომელმაც იცის ჩემი ადრესი!

მეტანია

მინი მეტანია,
 დიდი მეტანია —
 არც ზედმეტი და არც ნამეტანია.
 ჩემი სამლოცველო მეუფეთანია,
 თვითონ ავიშენე ჩემი ბეთანია.

ექვი არავისზე არ მიმიტანია,
 თუმცა რამდენიმემ არ მიმეტანია.
 ხოლო, რაკი ექვი მონამეტანია,
 პრინციმა გამახსენა მონამე დანია.
 გამებს მოვუსმინოთ, გამის მეტანია
 ანუ მელოდია მეგამეტანია.
 მეტა-მეტანია,
 მეგა-მეტანია —
 ყველა მეტანია შესაქმეთანია.
 სულ სხვა მეტალია,
 სულ სხვა მედალია,
 სიწუმეთანია, სიამეთანია,
 მეორეთანია, მესამეთანია,
 რამოდენიმეთანია,
 მაშასადამეთანია,
 შენი კვენესა მე-თანია,
 შენი ჭირი მე-თანია.

ავტოპორტრეტი სარკეში — 2018

ოთხმოციანელთა მოკლე პარადია
 და მე — საკუთარი თავის პაროდია!
 აღარ გავიხედავ ანი სარკისაკენ,
 როგორც შემოვბრუნდი ადრე არყისაგან.
 მახსოვს ბონაპარტი, მახსოვს მიურატი,
 მაგრამ არკი მინდა ვიყო მეორადი
 და თუ ამ ქვეყნისა რამე გამეგება,
 აქ რა მახადია და იქ რა მექნება?
 აღარ მევასება ნახევარი ანტი,
 აღარც ასლი მომწონს, აღარც ვარიანტი.
 ველარ ვიგერიებ პასუხს სარკისაგან —
 დაპაუზებული საკან-საკან-საკან.
 მესმის: ჩქარა, ჩქარა! მესმის: მალე, მალე!
 სარკის ავტოპორტრეტს ველარ დავემალე.
 და მე მეტვერება ჩემი პაროდია:
 მომეპაროდია, მომეჯაროდია.
 ველარ ჩავასწორე კოჭლი შედარება:
 ახალ წიგნში ძველი ფოტო მედავება.

სიცილია, 1988 წლის 7 დეკემბერი

თუმცა მშვიდი დღეებია ახლა რომის კალენდარზე,
 იტალია მაფიოზთა დიდი მეგაპოლისია,
 და თითების ანაბეჭდი მე და ანა კალანდაძემ
 სამხილივით ჩავაბარეთ სიცილიის პოლიციას.

რიალტო

ხილია ვენეციაში უცხო და უვარიანტო,
 ადიდებს მილიარდერი და ბევრიც უმილიარდო,
 პოეტმაც აქო და თუკი ჩვენ ვერ ვიხილეთ რიალტო,
 მემკვიდრე გვისაყვედურებს: ამაოდ გიცხოვრიათო.

ანთონიო გაუდი

დაჰკრა ბარსელონაში
 ზარმა ტაიმაუტის,
 რადგან ვადა — გაუდის
 გარდა — ყველას გაუდის.
 არ არსებობს ამჯერად
 შანსი სხვა ვარაუდის:
 სხვას არავის გაუვა,
 რაც გაუდის გაუდის.

უკეთესი

ლექს დავენერ და უკეთესი დღეა ჩემი იგი დღე
 ვიკითხე და სტრიქონ-სტრიქონ ბევრჯერ გადავიკითხე.
 ჯერჯერობით მარცვალ-მარცვალ მანონივით ვადეძებ,
 და საცაა, უკანასკნელს მალე გადავათეთრებ.
 ვეფერები ვარიანტებს, დამიგროვდა შავები,
 გავები და დავები და წავეები და ჩავეები.
 არ ვაპირებ შევისვენო და ქადაგად დავეცი:
 ალაგ-ალაგ, ქალაქ-ქალაქ, ჭალაკ-ჭალაკ დავეძებ.
 გამაფრთხილეს: ცერცვი აღარ შეაყარო კედელსო,
 უკეთესი იკმარე და არა საუკეთესო.
 თუმცა ბევრჯერ მხატვარივით დამეღალა ნიჭები,
 უარესზე უკეთესებს მაინც ვეჩაღიჩები.
 ბელადივით მეძალემა მატადორი გორიდან
 და მე ჩვენი სისხლიანი მახსენდება კორიდა.
 უარესზე უკეთესებს ისევ ვებლატავები,
 რადგან ვიცი, უსათუოდ ამოყვინთავს ტაეპი.
 უკან თეთრი თოვლია და წინ წითელი ხარია,
 მიხარია, მაგრამ არკი ვიცი, რა მიხარია.

შენა!

ღმერთმა მომცა თვალეები და
 ღმერთმა მომცა ფანჯრები,
 ველარავის ვერაფერზე ველარ შევევაჭრები.
 აგერ უფლისციხეა და აქვე ზედაზენია,
 შეხე: რასაც დაინახავ, ყველაფერი შენია.



ცას და ზეცას, კაცს და ზეკაცს,
ხედებსა და ზეხედებს —
შეხე, უკანასკნელივით, შეხე, შეხე, შეხედე.
შეხე, ახლა წადილს ჩემსას ვერ დააბამთ ჯაჭვითაც:
მინდა — თვალებს გამოვალბე,
მინდა — ფანჯრებს დავჭყიტავ
და — თვალების ფანჯრებიდან
გადაღებულ კადრებით —
ისეთ დეტალს აღმოგიჩინო,

როგორც თქვენ გეკადრებათ.
იმას როგორ გამოარჩევ, წინ როდესაც ეს გიზის,
ჩარჩო-ჩარჩო მოვიხელთე მოციმციმე ესკიზი.
ათასერთი გავაგრძელე მეთორმეტე ლამეთი,
თვალი მითამაშებდა და ფანჯრებს ვახამხამებდი.
ჭოგრიტივით მივალნიე ნისლის ბარიკადამდე:
ფანჯარაში ნაჭერ-ნაჭერ კადრი მოვაკვადრატე
და ლექსივით წავიკითხე, როგორც ინტერმედია:
არსენალზე თოვლია და ფანჯარაში მტრედია.
შეხე: აღარ მემუქრება ფათერაკი „არგოსგან“,
მაგრამ უკვე დაინისლა დარიალის „აკოშკა“.
შეხე, შეხე, დაიხსომე კარგად, რასაც შეხედავ,
მოასწარი, ახლოვდება უთუმცაო შეხვედრა.
შეხე: მთავარანგელოზმა წარბი უკვე შეხარა,
დახამდი და დახარბდი და შეხე, შეხე, შეხე რა!
შეხე: ფანჯრებს ჯერ კიდევ და ჯერჯერობით ვაცეცებ,
მალე ველარ გავაცეცებ, ველაც გავაფაცეცებ.
ველარაფერს შეველავი, ხარჯიც დაიხარჯება
და ფანჯრები თვალებივით გახელილი დამრჩება.

მანსტრო

დაივინყა ტაშები და ბისები და ლაიქი და
გაგვებუტა დირიჟორი და დარბაზი დაიკიდა.
დაივინყა იგავი და სულხანი და ეზოზე და
პატივს არ სცემს უმონყალო კანონს უმრავლესობათა.
მანსტროო, ნუ გაგვრიყავ განშორების გისოსებთან:
ერთხელ მაინც მოიხედე, ღმერთი დედას გიცოცხლებსა,
თორემ მოვა განჩინება დიდი დემიურგისაგან
და გობრძანებს ერთადერთი —
ერთეულო, ზურგისა-კენ!

ღაღო

საუკუნის სავალალო მაგალითი:
მოზილურებს შეესია საქალეთი.
გაახსენდათ კაცებს მცნება სახარების,
გაეფიცნენ ცოლები და საყვარლები.
მოზრძანდება, მოდის დამა დიდებული,
მაგრამ მოზილურზე დამოკიდებული.
ოჯახია დიდებულზე დიდებული,
მაგრამ რძალი გახლავთ დამოკიდებული.
ვერ იქნები დიდებულზე დიდებული,
თუ იქნები დამო-დამოკიდებული.
დამეჩაგრა მეგობარი სამუდამო:
ერთი ქალიშვილი ჰყავს და ისიც დამო...
მიიჩქარის, მიდის ევა უადამო —
სარკესთან და საქესთანაც დამო-დამო...
დარბაზიდან გააქევეს ერთი დამო,
ერთსაც — თითქოს დაურეკა იუდამო.
საკაცეთმა მტკივნეულად განიცადა
დამების და დამოების გაფიცვა და
მეც ვეცადე, მაგრამ არვინ დამანება
დამოების დემონების დამონება.
აირია მიდამო და კარმიდამო
ამის გამო, დამის გამო, დამოს გამო.
აცხადებენ მოინონა პლანეტამო —
აქეთ დამო, იქით დამო, ყველგან დამო.
შეეჩვიე, გინდაც თავი ნაულუნე,
მაინც რომელს რომელი სჯობს საუკუნე?
დავანებოთ თავი ამდენ დებლობას,
გაუმარჯოს დამო-უკი-დებე-ლობას!

თორმეტსა და თოთხმეტს შორის

თორმეტსა და თოთხმეტს შორის,
თოთხმეტსა და თორმეტს შორის —
ბენვის ხიდზე გაგვატარებს უხილავი რეჟისორი,
ყველა ხარვეზს გაგვისწორებს უჩინარი რეტუშორი
და ერთბაშად მოგვეხსნება ყოველგვარი ფორსმაჟორი.
თორმეტსა და თოთხმეტს შორის,
თოთხმეტსა და თორმეტს შორის —
სინამდვილეს დაგვაინწყებს ინკოგნიტო დირიჟორი,
აგრემც დროზე დაისჯება აგრესორზე აგრესორი
და კრიმინალს აღმოაჩენს რევიზორთა რევიზორი.
არის გზები ფულის შოვნის, არის ბილიკები შოვის
და ბიჭვინთის რია-რიაც გამახსენდა, სხვათაშორის.
რია-რია-რიასა და ტია-ტია-ტიას შორის —
შრიალია შარიშორის და წყვედადი შავი შურის.
რია-იბერიასა და რია-არტარეას შორის —
ბევრი არხი გაიყიდა, ბევრი ტელე და ვიზორი.
აღარ გვინდა რია-რია, შემოვძახხოთ ტია-ტია,
ვინაიდან ორთა შორის ტია-ტია დიაღია.
თორმეტსა და თოთხმეტს შორის,
თორმეტსა და თოთხმეტს შუა —
ჩვენთან იყო იესო და ჩვენთან არის იეშუა.

ხორაგაულის ვაგზალი — 1911

„მასხოვს ხორაგაულის სევედიანი სადგური“.
გალაკტიონი

ხორაგაულის ვაგზალში შიგნიდან გატყდა ციხე და
მატარებლიდან აკაკიმ ღმერთივით გადმოიხედა.
დაიძრა, გამცილებლები წაშალა ორთქლის არშიამ,
მათ შორის გაცილებულმა ვერავინ გამოარჩია.
ხორაგაულის ვაგზალში ერთი ცაცხვი დგას ბებერი
და ახლა აღარ ჩერდება არცერთი მატარებელი.

და სხვები და ასე შემდეგ

ბირჟაზე დავინყე გადათვლა და მეცამეტესთან შევედექ:
გვარები მორჩა და დაინყო: და სხვები და ასე შემდეგ.
გამრიგემ ბევრი და მრავალი თავთავის სკამებზე დასხა,
გარიყა დანარჩენები და მეც ბევრჯერ ვიყავი და სხვა.
ვიყავი და ასე შემდეგაც და ველოდებოდი შედეგს,
კვლავ ველი, ნეტავ ვინ იქნება შემდეგი და ასე შემდეგ.
გასინჯა უსახელაური თამადამ და მისმა თასმა,
დათვრა და სასხვავთაშორისოდ

გამორჩა ცამეტი და სხვა.
მავანი მარიაზე გაგზავნეს, მავანი ტყემალზე დასვეს,
ხანდახან ვერც განასხვავებდი
და სხვებსა და არა და სხვებს.
და რაკი გვარი და სახელი
ანსხვავებს მარშალს და ზემდეგს,
სახელის მოხვეჭა სჯობია ყოველსა და ასე შემდეგ.
თბილისის აშულმა სასწორზე

დაგვიდო ვარდი და გოგრა,
ჩვენც სახელისათვის ვჩალიჩობთ
და გვესახელება გოგლა.
ვერ გადაარჩინა კრწანისი მაჩაბლის პატარა დასმა,
მარაბდას ახსოვს და თბილისსაც
ურიცხვზე ურიცხვი და სხვა.
თბილისთან — უარს არ გვეტყვიან
მცხეთა და ლისი და ძეგვი —
დიდგორის მახლობლად ჯვარივით
აღემართოთ და სხვების ძეგლი.
წავშალოთ ნიშნები კითხვისა,
გავშიფროთ — ვინ იყო ვინ და
ჩვენ სამი წერტილი არ გვინდა...
ჩვენ ორი წერტილი გვინდა:

ოცი უარი

მერის მუარი და პენუარი,
ბუდუარი და აქესუარი,
სხვა ქალაქი და სხვა ტროტუარი,
სხვა თეატრი და სხვა ბენუარი
და უტყუარი რეპერტუარი.
განა ცრუ არი, განა ყრუ არი
მოგონებათა რეზერვუარი,
ხამს მემუარი, ხამს კულუარი,
სოფელი, თონე და საფუარი,
ჯიქი და არა იაგუარი,
იანვარი და იანუარი,
ნიაღვარი და ნიაღუარი...
— რა საჭიროა ოცი უარი? —
გაოცდებოდა აქ რენუარი,
აგრეთვე — სიმონ დე ბოგუარი
და მითუმეტეს — პოლ ელუარი,
რომელსაც ერთად-ერთი უარი —
სალვადორ დალის გამოისობით —
უთხრა ცოლმა და გადაუარა.

პოშია

რაკი არის შაშები,
უნდა იყოს შიშები.
რაკი არის შიშები,
უნდა იყოს შაშები.
რაკი არის შაშები,
უნდა იყოს შიშები.
რაკი არის შიშები,
უნდა იყოს შაშები.
რაკი არის შაშები,
უნდა იყოს შიშები.
ესეც მოშიშინეთა
საანგარიშოშია.

ისევ გალაკტიონი

უკვე თოვლის მეშინია: მეშინია არ დავეცი,
ოლონდ ფეხი არ დამიცდეს, სხვას არაფერს არ დავეძებ,
ხშირად ვფიქრობ შიშების და ხიფათების სათავეზე,
თუ დავეცი, მე შენ გეტყვი, გალასავით არ დავეცი.

ბუქსირი

როგორც ამბობენ, ეს კანონი ყველგან მუსირებს,
არც შეიცვლება, საუკუნეც მრავალი გავა:
ვერის აღმართზე მამრის თვალებს მიაბუქსირებს
ლამაზი მდედრის ლამაზი გავა.

კონცერტი მუსიკის გარეშე

ნეტავ რამდენს აინონის წყვილი ასეთნაირი:
ათი ტონა ვერლიბრი და ათი ტონა შაირი?
შედარება დავანყვილე შეჯიბრებისნაირი:
ასი ტონა ვერლიბრი თუ ასი ტონა შაირი?
აბაზი და შაური და იორი და შაორი:
ვერლიბრი და ვერლიბრი თუ შაირი და შაირი?
უნებლიეთ გამახსენდა ხელაშვილი მისა და
მე შაირი არ მინდოდა, მე შაირი მიყვარდა.

ციმბირი და ცერბარი

მიხარია აწინდელი, მენატრება წინანდელი,
გამახსენდა ციმბირი და დამავინყა წინანდალი.
ზოგიერთი პირველია, ზოგიც უპირველესია,
გამახსენდა ციმბირი და დამავინყა ვენეცია.
ღრუბელივით ხელუხლებელს ხელი ვერვინ მიაკარა,
გამახსენდა ციმბირი და დამავინყა ნიაგარა.
მასხოვს ვარდი სილაში და მასხოვს ვარდი ირანიდან,
გამახსენდა ციმბირი და დამავინყა პირამიდა.
ბოლოს მრავალ ასეულთა გაიშიფრა კოდი ასი
და, როდესაც მოვისმინე საგა ლევან გოთუასი,
გამახსენდა ციმბირი და დამახსენდა ცერბერი.

გალმა-გამოღმა

ჩააგო ხმალი პატარა კახმა
და მეფე იგი გავიდა გალმა.
პოეტი, რომლის ცაცხვებიც გახმა,
მოგვეფერა და გავიდა გალმა.
ვინც ჩიჩერონეს საკუთარს გაყვა,
ყველაზე მალე გავიდა გალმა.
ამოიკითხა კილოკავი და
ამოკითხველიც გალმა გავიდა.
ხოლო, რომელსაც ენა დაემა,
გალმა ვერავინ შეედავება.
ბევრმა განაღმა გზა მენაღმეთა
და ხელს გვიქნევენ ახლა გაღმიდან.
ბოლო სტრიქონიც გამომეღექსა:
ჩვენც გაგვიმარჯოს — გამოღმელებსაც!

გახსოვდას თუშეთი!

ფლეიტა მესალამურება
და მასხოვს ჩუბჩიკას მურაბა.
შორიდან მესალამურება
ჩუბჩიკას ჩაი და მურაბა.
ნარსული მენინამურება,
მერმისი მენინამურება,
ბახმარო მეთხილამურება,
თბილისი მეთილისმურება,
ლექსივით მემაჯამურება
პოეტი: დიანა-მურაბა.
ბრძენი ხარ, შტერი ხარ თუ შეთე,
გახსოვდეს ჩუბჩიკას თუშეთი!

ზმა და სმა

დავანყვილე ზმა და ზმა,
გავაგრძელე სმა და სმა
და, ზმა ვიდრე მესმოდა,
ღვინოც კარგად მესმოდა.
რა სმა იყო და რა ზმა:
სასმისები დარაზმა.
ყველა დიდზე დიდი სმა
იყო ღვინის თილისმა.
ახლა ეხო კაი სმის
იშვიათად გაისმის
და მე საზეპირო ზმა
ანუ საზეფირო სმა,
როგორც ზმათა ზმანება,
მომეფიროსმანება.

ავტო-მატიანე

გაგირითმავთ ჩემსას ავტო-მატიანეს:
ეს ცხოვრება ჯარასავით მატრიალებს,
ალაგ-ალაგ არაყვივით მატრიალებს,
დამავინყებს დღეებს ანდამატიანებს,
გამახსენებს მაჰმადს და მაჰმადიანებს,
შემახსენებს ჩეჩნებსა და მათ იარებს,
პეტეფივით შემაყვარებს მადიარებს,
შეარჩევებს ჩემიანს და მათიანებს,
დამასტუმრებს მადიანს და მადლიანებს,
სამსალასაც გამიარომატიანებს,
და თუმცაღა მოვახვედრებ ათიანებს,
ველარ გავაგრძელე ავტო-მატიანეს,
რადგან რითმა რითმავს ავტომატიანებს.



1.
შამპანურს წკარუნა ჭიქები უხდება, ღვინოს ბოთლითაც მოიყუდებ. ღვინო მერჩინა, მაგრამ შამპანური მოჰქონდათ. ეს პეტოს კაპრიზი იყო, ფულს კი ის იხდიდა. მიმტანის თოვლისფერი მტევანი, რომელიც თითქოს ფუფუნებს ძერწავსო, ისეთივე ნატიფი იყო, როგორც მისი თითები, კლავიშებივით თეთრი და ფაქიზი. ჩანკრიალბურთი ჭურჭელი ოდნავ შეხებაზეც მუსიკალურ ბგერებს გამოსცემდა. გრაფინში მოტკბო წვენი ესხა და ყინულები ეყარა, რომლის ირგვლივაც გამჭვირვალე ჭიქები ელავა. კიდევ თავი იდო ვერცხლისფერი სამურბანით. ჩვენი თუ სითეთრის ზეიმი იყო, სხვა სუფრებზე იისფერ-მელნისფერი ჭარბობდა, ფორმა და ფერი ერთმანეთთან შესაბამისობაში მოდიოდა. ფანჯრიდან გარეუბნის რუხი ნაგებობა მოჩანდა, სარეცხით გადაჭედნილი აივნებით. ქარში ღრუბლებიც თეთრეულივით შრებოდა, ზენრების ტკაცუნის კი ისე გაისმოდა, თითქოს კონსერვის ქილებს ხსნიანო. შენობა, რომელშიც ლტოლვილები ცხოვრობდნენ, თავის ქალას ჰგავდა, თვალების ნაცვლად არაფრის მთქმელი ფოსოები შავი ნასვრეტებივით რომ უელავდა; კარიბჭე კი მართლაც მდიდრული ჰქონდა, ვერაფერს დაუნუნებდი, თითქოს ბაგეებზე მედიდური ღიმილი გადაჰფენოდა. შორიანლო, ქალაქის დასალიერთან მეჩხერი ტყეები იწყებოდა.

პარასკევი დღე იყო. გიო პეტოს ისე მისჩერებოდა, ამკარად რაღაცის თქმა უნდოდა. მაგიდას სამნი ვუსხედით, ერთ დროს წარმატებულნი, თუმცა ამან დიდხანს არ გასტანა. დარბაზი, სადაც ოდესღაც ხელგაშლილი ძვირადღირებულ ღვინოებს ვუკვეთავდით ხოლმე, შეიცვალა სარდაფით, ათასში ერთხელ „რუხ ბატს“ რომ გადავკრავდით. სიკვდილზე მეტხანს ვლაპარაკობდით, ვიდრე სიცოცხლეზე, რადგან გვეგონა, ფულს თუ ვიშოვიდით, რაღაც მნიშვნელოვანი უნდა დაგვეთმო, სიმდიდრეს სამოთხეში გადანაცვლება გვერჩინა, მაგრამ იმ დღეს გარეუბნის საუკეთესო რესტორანს ვენვით პეტოს დაბადების დღის აღსანიშნავად.

— გუშინ სიზმარში ვნახე! — როგორც იქნა ამოღერდა გიომ.
— არც მივირის! — მიუგო პეტომ, — ჩემსკენ აღარ გამოდიხარ და სიზმარში თუ მნახავ!
— ეგ საყვედური მეც მეთქმის!
— მაინც როგორ გამოვიყურებოდი?
— არც ისე! ბალიში ქვასავით მაგარი იყო, ასე მეგონა, თავი ეშაფოტზე მედო!
— ეგრე თუ მნახავდი, თორემ დალხენოლს სხვა სიზმრები გექნება!
ხანმოკლე სიცილი გიოს სიტყვებმა გადაჰფარა:
— ჩვენი ძმაცაცის საფლაზე როდის ავიდეთ?!

მათ სასახლოდ უნდა ითქვას, ხშირად ადიოდნენ, რასაც მე ვერ ვახერხებდი. განმარტოების მერიდებოდა, თითქოს ბრალი მიმიძლოდა მის წინაშე, რა უნდა მეთქვა? ჩვენ ხომ ერთად უნდა გვეცოცხლა და თუ წასვლა იქნებოდა, ერთ პერიოდში გავსულიყავით ამ ქვეყნიდან. ამიტომაც მერჩინა, მათთან ერთად ვწვეოდით საფლავს და ძველი ამბები გავგვსენებინა. ბოლოს რომ შემეხმინან, მორიგე ვიყავი. თავის გასამართლებლად რაღაცები მივიკიბმოვკიბე. ჯობდა, წარწერა გაგვეკეთებინა, ქვის ზედაპირი ისევე ისე ყოფილა. უკეთესი რა უნდა გვექნა? თვითონაც ასე იცოდა თქმა, რამე ისე თუ ვერ იყო, პატარები აღარ ვართ, დროა, გონს მოვხვედეთ. მოგონებებში წავედი. იმ წყეულ პერიოდში ჩვენი ცხოვრება მოლიპულ გზებზე მუხრუჭებით სიარულს ჰგავდა. კაცმა არ იცოდა, სად გადაგვჩეხავდა. უმადური დრო იყო. ვინმეს ხელს თუ გაუმართავდი, მერე მთელ ინფრასტრუქტურას მოგთხოვდა. მოწყალეების გამცემს მდიდრად აღიქვამდნენ, ქურდბაცაცებს მიანიშნებდნენ, ფული უნდა ჰქონდესო. ბედის გრიგალი სად აღარ დაგვაქროლებდა. ერთხელ მთებში დაგვიზამთრდა. ვერაგულმა ამინდებმა დადგანს გასტანა. მაგიდაზე წყალი რომ დაგვექცეოდა, სანამ ისედაც გაქვავებულ ჩვენს მოვიტანდით, გაყინული გვხვდებოდა. სიტყვები ორთქლდებოდნენ, თითქოს ეკრანზე ტიტრები ინერებო. ნახშირის ბოლი ოთახს ავსებდა, სარკმლებს სიცივის მიზეზით არ ვაღებდით. საკვებიც ისეთი გვქონდა, პირი რომ დაგეკარებინა,

მიმშლის ძალიან უნდა შეეწყო ხელი. ცეცხლზე შედგმულ ტაფას ტკაცატკაცი გაუდოდა. ზეთის წვეთები ჰაერში სკდებოდა. სკამები გულსაკლავად ჭრიალებდა, მაგიდა კი მყარი დასაყრდენით უძრავად იდგა. გარეთ არყის თვალუნდენელი ტყეები მოჩანდა. ხეები თეთრად ელავდნენ აბანოს გახამებულ ზენრებში გახვეული სლავი ქალებივით. მე ნაქსოვი ჯემპრე მეცვა, სარჩულები გახვეული ჰქონდა, მაგრამ არ ვიშორებდი. ყველაზე კარგად ეს მათობდა და ტანზეც კარგად მადგა. ოკრობოკო გორაკები თეთრად აქაფებულ ზღვას ისევე გადაჰყურებდნენ, როგორც ძველ ეპოქაში, თბომავლელი ხანაში.



დimitრი ნიკლაური

ძმაცაცები

კაცი კი ჩანდა, შესაძლოა უკვე გააკეთა კიდევ.
მეგობრობაზე ჩვენი საუბარი ჯავრის გამხელას ჰგავდა. თითოეულს თავისი მოსაზრება ჰქონდა. მე კი ასე მგონია, ღმერთს ყველასთან თავისი გარეგება აქვს, ჩარევა არ ღირს, რადგან არ იცი, რა პირობებზეა საუბარი. მეგობრებად კი ვინოდებოდი, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, რა შევძელით? არც არაფერი. შენთან ერთად, მგონი, არც ვყოფილვართო, მომმართა პეტომ, ჰოდა, ზვალ სამივენი წავიდეთო. დროზე შევთანხმდით, სანამ დავიშლებოდი, დელისთან რომ ჯიხურია, იქ შევიყაროთო. აგვიხსნა, რომელ ჯიხურსაც გულისხმობდა...

2.
შაბათს ადრიანად მივედი. ჯიხურში გამყიდველი ქალი ფუსფუსებდა. ათი წუთი მაინც ვიტრიალე შორიანლო, მაგრამ ჯერ არავინ ჩანდა. ჩვეულ ხმაურში ძლივს გავიგონე ტელეფონზე შემოსული ზარი.
— გიო ვარ, დიმიჩ, ვერ მოვდივარ! რაღაც ოხრობა კონფერენციას ატარებენ, დასწრება სავალდებულოაო, დირექციამ. პეტოს შენ უთხარი, მაგის ჯავჯანის თავი არა მაქვს. მერე შეეხმინადეთ!
წარმომიდგენია, კონფერენციაზე როგორი შემართებით ილაპარაკებდა. სიტყვები ისეთ აზრს ჩადებდა, გალიებში ლომებს რომ ამწყვდევენ და ისინიც მორჩილად კი არ ლოკავენ ცივ გისოსებს, გალიის გამონგრევას ლამობენ. გიო ისეთი კაცი იყო, განძის გადანახვას ანდობდით. მანქანა სვლას რომ შეანებებდა, პეტომ მეგონა. ვინრო ჩიხების ხმაური სანყალოზელ კნავილსა ჰგავდა, ვრცელი პროსპექტების — უსაშველო ბღავილს. ტელეფონზე ზარი შემოვიდა და ქუჩას გამოვმორდი.
— კვი, დიმიჩ, მანდ ხარ? — პეტო იყო.
— ჰო, რახანია!
— ქალაქგარეთ მომინია სასწრაფოდ გასვლა. დილით მანდ ვიყავი, ჯიხურის გამყიდველთან ღვინო დავტოვე, საფერავი, პლასტმასის ორლიტრიანი ბოთლით. სათვალისანი კაცია, მეგობარი მოვა-მეთქი, დაეუბარე. შენ და გიოს გეყოფათ!
— გიო ვერ მოდის.

— მაინც რაო?
— კონფერენციაო და რამე.
— ჯანდაბა!
ჯიხურში ფაშაფაშა ქალი დავლანდე.
— პეტო, გამყიდველს სათვალე არ უკეთია!
— იქნებ მოიხსნა? იქნებ თვალებს ასვენებებს? გამაგიჟებ, ძმაო! ქალაღლის პარკში ერთჯერადი ჭიქები დევს...
— თანაც ქალია! — განვაგრძობდი მე.
— ამკარად კაცი იყო, თუმცა დღეს რას გაიგებ! მოკლედ, შენ იცი! — ტელეფონი გათიშა.
— ღვინო? — შეიცხადა ჯიხურის გამყიდველმა და ტელეფონზე რამდენჯერმე გადარეკა, — არ იჭერს, ეტყობა მეტროშია!
ტელეფონი პერიოდულად ირთებოდა და, როგორც იქნა, დაიჭირა.
— ეპიფანე! ვილაც კაცი ღვინოს კითხულობს (პაუზა)... მერედა არ უნდა გეთქვა (პაუზა)... ახლა რა ჯანდაბა ვქნა, ის ბოთ-

ლი ვილაც ცოტის მივაშავე (პაუზა)... არაფრით არ მომშორდა (პაუზა)... მე შენი მოტანილი მეგონა (პაუზა)... როდის იყო, როდის იყო (ეტყობა. გამოაჯავრა)... იქნებ დღეიდან ყიდის-მეთქი! — ყურმილი გათიშა და დამამშვიდა, ავინაზღაურებოთო.
— ნუ ინერვიულებთ! — უარი განვუცხადე.
— ჭიქები არ დაგავინყდეთ! — მთელი სათნობა ჩააქსოვა ამ სიტყვებში, საქმე რახან იოლად მოგვარდა, მაგრამ სანამ მომანოდებდა, ენად გაიკრიფა:
— მე და ჩემ ქმარს შემოსავლის წყაროდ ეს ჯიხური გვაქვს მხოლოდ. გუშინდლიდან ისეთი დაღლილი ვარ, მაცივარი გავყიდე განცხადებით, რა ჯანდაბად მიმაცემინა ეს განცხადება. შეილიშვილი დამიტოვა რძალმა და სწორედ იმ დროს დამირეკეს, რამდენი წლის მაცივარიო, როგორ მდგომარეობაშია და სად შეიძინეთო. მოზრძანდით და ნახავთ-მეთქი. მეგონა, მოვიშორე, მაგრამ ხუთ წუთში გაჩნდნენ. დაათვალდით, მოეწონათ და ახლავე წავიღებთო, დაიფინეს. ჩუმად ილაპარაკეთ, ბავშვი ახალი ჩაძინებული მყავს-მეთქი, შევეხვენი, თანაც იქნებ მუშები მოგყვანათ, მძიმე! ქვა ააგდეს და თავი მუშვირეს, ასეთები წაგვიღიაო. რახარუხით გაიტანეს სადარბაზოში, მესამეზე ვცხოვრობ. მეზობლები გამოცვივდნენ, კიბეები გვენგებოდა. ამათ კი ათი საფეხური ძლივს ჩაათრის და დადგეს. ერთს სახელი გახეოდა, მეორეს შუბლიდან სისხლი სდიოდა. ბრაზობდნენ, რა ოხრობაა ესო, წავალთ და მერე მოვაკითხავთო, დამიბარეს. მაცივარი აქ უნდა დატოვოთ-მეთქი, შევიცხადე. აბა, ისევე სახლში ხომ არ ამოგვტანთო, ქალბატონო! გაავდნენ და კიბეზე თავქვე დაეშვენ. მოკლედ, იყიდეს, დალენეს, დასახირდნენ და წავიდნენ!
— ბავშვს არ გაუღვიძია? — დავინტერესდი მე.
— მაგ მხრივ გადავრჩი, მაგრამ მერე ტელეფონზე კიდევ ორი ზარი შემოვიდა. ჯერ ქალის ხმა იყო. აქციაში ხართო, კანის მოვლა გირჩევენიათ თუ თმის შეღებვაო. ბავშვის გაღვიძების მეშინოდა და არცერთი არ მჭირდება-მეთქი, ცოვად მოეუჭერი. ტელეფონმა მეორედ ორი დარე-

კა, ისევე ის ქალი მეგონა, გამოლონდლა მინდოდა, მაგრამ ვილაც სხვა კაცი შემოჩა, მაცივარს თქვენ ყიდითო, ისეთი უწყინარი ხმით მკითხა, ალბათ მის ფერხთით ჭიანჭველებიც უღარდელად დაცოცავდნენ. უკვე გავყიდე-მეთქი, ბრაზით ვუპასუხე ბავშვს მიჩრებულმა. ამან კი, მეტი აღარ გაქეთო, მკითხა დანანებით. საიდან უნდა მქონდეს, მაცივრების ბიზნესი კი არა მაქვს-მეთქი, გავცეცხლდი. ის კი განაგრძობდა, იქნებ მეზობლებში ჰქონდეს ვინმეს და გაიკითხოთო, ზუსტად ეგეთი მინდოდაო, ომსკი 112, ზილის მოტორითო. ნორმალური არ იყო, მეგონი. აქ კიდევ ამ ღვინოს ამბავი...
— მაგაზე არ იდარდოთ! — გაუფიქრე მე.

3.
ერთი ბოთლი ღვინო მარკეტში ვიყიდე და ერთჯერად ჭიქებთან ჩავდე. ნახევარ საათში სასაფლაოს აღმართს მივუყვებოდი. აქეთ-იქიდან ახალი საფლავებით გადაეჭედათ იქაურობა. სადაც სევდაა, იქ მხიარულება თავდახრილ ღვანლშია. მარმარილოს ქვებზე ბრინჯაო ელვარებდა. ზოგჯერ უბრალო მინაც ბრილიანტის ნახნაგზე მეტად ბრჭყვიალებს. მტკრიანი გზა დამლელი იყო. შორიანლო ექსკავატორი თუხთუხებდა, ხმა მკვეთრად გაისმოდა. დამწუხრებული ჭირისუფლები მძლოლს რაღაც მითითებებს აძლევდნენ. ბელტებისგან გაშავებული ნიჩბები შემალლებულ ბორცვზე ისე მიმოყვართ, თითქოს მიცვალბული დამარხოთ ახლახან. ტექნოლოგიები როგორც არ უნდა განვითარდეს, ნიჩაბი ყოველთვის საჭირო იქნება.
მაღე მივაღექი განმარტოებულ ვაკე ადგილს და საფლავის ძებნას შევეუდექი. ყველაფერი შეცვლილი დამხვდა. ერთ მხარეს მომცრო ბორცვი მახსოვდა, მაგრამ ეტყობა, სულ მოეწონებინათ, ოცამდე საფლავი მოჩანდა. მახსოვს, დასაფლავების დღეს რიგით მეოთხე იყო, ახლა კი რას გარკვევ, მთელი შემოგარენი საფლავებად ქცეულა. სამანქანო გზა კი ვინრო ბილიკად გადაკეთდა. მანქანები დაბლა ჩერდებოდნენ და ადამიანები დარჩენილ გზას ფეხით განაგრძობდნენ. სიკვდილი ავიწროვებდა მისასვლელ ალაგებს. ერთი ხანობა საფლავის ქვებს შორის ვიხეტიალე, მაგრამ ნაცნობ დეტალს ვერსად მივაკვილიე.
— სწორედ მოვედი, ნეტავ? — ვთქვი ხმამალა. მერე ისევე ძებნა განვაგრძე. ის ორიენტირი, ოდესღაც საპროექტო შენობა რომ იყო და მერე ლტოლვილები შეასახლეს, ისევე ისეთი ჩანდა, მაგრამ დანარჩენი ყველაფერი შეცვლილიყო. ამაოდ დავშვიდი და ტელეფონი ამოვიღე.
— პეტო! საფლავს ვერაფრით ვპოულობ. მათი უმეტესობა დაუსრულებელია და ერთმანეთს ჰგავს!
— წარწერები?
— ვერსად ვნახე!
— მამ ხელოსანი არ ყოფილა?
— ზემოდან მეოთხე საფლავი არ იყო?
— მაგას რაღას მიხვდები, იმდენია უკვე ლტოლვილების შენობას ხომ ხედავ? მასზე ორიენტირდი!
— როგორ?
— ასე არ დამხსომებია, მანდ რომ ვიყო, უცებ მივანებდი! უწარწერო საფლავები მონახე და გამოირიცხე, იპოვი როგორმე, ახიცი არის შენზე, ამდენი ხანი რომ არ ყოფილხარ! ერთხელ მაინც გამოგვყოლოდი. კარგი, მერე დავირეკე!
ფერდობზე სამჯერ დავეშვი და მერე უკანვე ამოვბრუნდი. უწარწერო საფლავები ბლომად იყო, ზოგი ერთიმეორის გვერდიგვერდ, ზოგიც ცოტა მოშორებით. ყოველი ამაო მცდელობის შემდეგ ერთი და იგივე ადგილს ვუბრუნდებოდი. პეტოსთან დარეკვა მომერიდა, იქნებ ისევე ჩემით მიმეგონა.
— ზვიად, ჩემო! ვერ გპოულობ! — აღმომხდა უცებ და ის დღე მომაგონდა, კისლოვოდსკში რომ ვიყავით ერთად და მთელი ღამე არ გამოჩნდა.
დილით დამადგა, ვითომც არაფერი. მაშინაც სად არ ვეძებდი, მეგონა, რაღაც შეემთხვა. თავის საქციელში ლალი იყო, ახლა რომ წაწყვილოდი, ქენჯნა მექნებოდა. სინდისის ხმასავით იყო — იღუმალი და მამხილებელი. იქნებ საფლავსაც იმიტომ ვერ ვაგნებდი, სათქმელი რომ არაფერი მქონდა. განა სიტყვებს გაიგონებდა, ან სიოს ქროლვას. თან ეს სიოც

მის ხმას მაგონებდა, ჩემს დახმულ გულს ეხმანებოდა, თითქოს მონატრებულ სიხარულს აფრქვევდა — მოხვედი, ძაო... თან საყვედურსაც გულისხმობდა — როგორც იქნა... მე კი თავის მართლებას მოვეყვებოდი. მაგრამ არაფერს ექნებოდა მნიშვნელობა. ჩვენ ხომ ყველაზე დიდმა გამყოფმა გაგვეყო.

— ზვიად, ჩემო! — რალაცის ახსნას შევეცადე, მაგრამ ხელი ჩავიქნე.

ან ეს ჩემო რას ავიჩემე. მერე სიჩუმე დიდხანს ჩამოწვა. შორიანლო მღვდელმა ჩაიარა, ბიჭი ახლდა; მათი დიალოგი მივხედი, შეილი იქნებოდა. მღვდელს შეჭყლეტილი სახე ჰქონდა, ერისკაცობაში კრივზე თუ დადიოდა. ერთ-ერთ საფლავთან შეჩერდნენ.

— აი, ეს საფლავია, რომ გიამბობდი. მთელი ცხოვრება ეგოსტი იყო, პირადი გამორჩენის მეტი არაფერი უძებნია.

— შეილი საფლავის მინას დაშტერებოდა და ხმას არ იღებდა, მერე ორიოდე საფლავის მოშორებით გადაინაცვლეს.

— ახლა ეს ნახე. სულ სიკეთეს ჩადიოდა და აი, რაოდენ დაუფასდა.

გამარჯვებული კილოთი გაასრულა სიტყვა მღვდელმა. შეილი იმ საფლავსაც ცნობისმოყვარედ დაჰყურებდა, თვალებს გაფაციცებით აჭყეტდა, ეტყობა, განსხვავების პოვნას ცდილობდა ამ ორ საფლავს შორის, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

— ახლა გამიგე? — კმაყოფილი შეაჩერდა შეილის ცხოვრების დიადი გაკვეთილის ახსნის შემდეგ. რალაც მომენტში მღვდელმა ჩემსკენ გამოიხედა:

— პანაშვიდის გადახდა ხომ არ გნებათ?

— სიამოვნებით, მაგრამ სამარეს ვერ ვპოულობ.

ეს სიტყვები სასაფლაოს სიმარტოვეში ისე გაისმა, როგორც უკიდურესი გადაძახილი საზოგადოების ორ სხვადასხვა ფენას შორის. მან ერთხანს მიყურა, მერე მხრები აიჩეჩა და შეილთან ერთად გზა განაგრძო. ერთი ხანობა მზერა მივადევნი. თვალს რომ მიეფარნენ, მთის იქით მდებარე მრავალსართულიანი შენობა დარჩა ფონად, სადაც ალბათ ოფისები იქნებოდა განთავსებული. იქ მრავლად ისხდებოდნენ ამაო ფუსფუსს მიცემული ადამიანები, მომცრო ფინჯნებით ყავას რომ ხვრტყენ და მთისას და ბარისას ყვებიან, მე კი ძებნას განვაგრძობდი, მაგრამ მნიშვნელოვანს ვერაფერს ვაკვლევდი. თითქმის გორის ძირამდე ჩავედი. ერთგან მოჩუქურთმებული სვეტებით აღემართათ, მონიშნების გრძობა რომ გაგჩენოდა. მინდვრები კორმებს გამოგლიჯეს და ასე გააფართოეს სიკვდილის არეალი. ეტყობა, დიდად სარფიანი საქმეც იყო. ჩემი უმოქმედობა ძალზე გაჯანჯლდა. გული არაფერს მაგრძნობინებდა, ხსოვნა გაუშვინო ნისლს დამგვანებოდა. ვერც ერთ დეტალს ვერ ვიხსენებდი; მხოლოდ იმას, რომ დასაფლავების დღეს თავს შუა რიცხვები იყო. დანარჩენზე თავს ვერ დავადებდი. სინდისი კი ისე მქეჯნიდა, თავი რომ ფხოჭნის ძველმანებით ამოვსებულ სკივრს. რამდენჯერმე დავზვერე მთელი შემოგარენი. ერთგან ნჯღრევა-ნჯღრევით და მძიმედ ჩაიარა ბეტონის შემრევა მანქანამ, ეტყობა, პირთამდე იყო სავსე. ტოტების მტვრევის ხმაც მისი გამოისობით გაისმა, რადგან რომელიღაც უსიცოცხლო ჭადარს წამოედო და ლანალუნს აუტყბა. სასაფლაო მკვდრების ქალაქია, სადაც აჩრდილები და მოჩვენებები სახლობენ, მაგრამ როგორც პეტრო განმომარტა, ცოცხლების და ხორცსავსე ხალხის უნდა გამოინოდეს, მკვდრების და მოჩვენებების კი არა...

მერე ვილაც გამვლელმა ჩამოიარა, ისეთი დალილი სახე ჰქონდა, თითქოს მეფის ჯარს ჩამორჩენოდეს და ერთი სული აქვს, ბრძოლის ველს დაუბრუნდესო. ჩემი მისალმება გაუჰკვირდა, მიხვდა, რალაც უნდა მეკითხა.

— მეგობრის საფლავს ვეძებ. მაშინ სულ რამდენიმე იყო, ახლა კი მათმა რიცხვმა თვალები ამიჭრელა.

მხრები აიჩეჩა, ალბათ ვერ მიხვდა, როგორ უნდა დაემხარებოდა.

— ნეტავ პირველი საფლავები რომელია? — დავაკონკრეტე სათქმელი.

— პირველი უთუოდ ის იქნება, ვინც უფრო ადრე დასაფლავდა! — მთლად უპასუხოდა არ დამტოვა მან და განმარტებაც მოაყოლა, — დანარჩენები მერე მიჰყვებოდნენ.

— ეგრე იქნება! — დავუმონმე მეც.
— ნარწერა არა აქვს?
— არა!
— მამ როგორ უნდა იპოვო?
— მეც მაგას არ ვამბობ! — მხრები ავიჩეჩე.

— რაიმე განსხვავებული ნიშანი არ გახსოვს? ხე ხომ არ ერგო, ან სხვა რაიმე საყურადღებო?

— არა, არა!
— სკამი ან მაგიდა? — მართლაც გულწრფელად ცდილობდა ჩემს დახმარებას.

— მსგავსი არაფერი მახსოვს!
— დიდი ხანია, არ ყოფილხარ?
— ჰო, დიდი ხანია!

— ეტყობა, არც ისე ახლობელი იყო! იყო, როგორ არა, მაგრამ როგორ ამეხსნა? ვუთხარი, ვინც იყო.

— ერთ ჭიქას ხომ არ ნაუქცევდით? — გაუხსნელ ბოთლზე მივანიშნე.

— მადლობთ, მაგრამ გზაზე ვარ, ათასი საქმე მაქვს კიდევ!
— ჰო, საქმე უზენაესია!

ეს სიტყვა, ეტყობა, დაცინვად მიიჩნია, რადგან ცოტაოდენი მანძილით რომ დამშორდა, მომძახხა:

— ძმაკაცი აუცილებლად ცოცხალი უნდა ყოფილიყო, ზოგჯერ მაინც რომ გენახა?

მართალი იყო, ვერაფერს ვიტყვოდი. უცებ ის დრო მომაგონდა, ბათუმში რომ ჩავედით შუალამისას. სარკესავით გზატკეცილები მთავარის შუქზე ელავდა, თითქოს უგრძობი მათრახებით გამოლტესო. თვითონ ქალაქი ვეება კორპუსებით მრავალხანაგოვანი კრისტალივით ბრწყინავდა უამრავი ბრჭყვილა, მზინავი და გამჭვირვალე მინით. ღამის გასათევად მისი ნათესავის ძებნას შევეუდექით. მისამართი ზუსტად არ გვახსოვდა, თანაც ბნელოდა და თითქოს მთელი მოსახლეობაც გაუჩინარებულიყო. ნამალად ხმის გამცემსაც ვერ ნახავდი. მთელ გაყოლებზე ცარიელი დახლები იდო, წვიმისგან დახეთქილი ფიცრები, სადაც დიდიდან გასაყიდი ნივთებს გამოყენდნენ. მხოლოდ ერთი გამყიდველი დავვლანდეთ, გზა ვინც მიგვასწავლა. გაცვეთილი ტანისამოსი მარილიან წყლებს გამოეშრო და გაეთეთრებინა, მაგრამ არაფერზე ნაღვლობდა.

არც ღამე აფიქრებდა და არც დალილობა. შინ ფანჯრის რაფაზე ჩამოსკუპებული შეილი ელოდა და მოვნიშობისთვის არ ეცალა. ვიცნობო, ნათესავზე თქვა, რომ ელსაც შუალამისას მივადევით. რომც ვერ გვეპოვა, დიდად არ შევწუხდებოდით, სინამდვილეში ერთად ყოფნა გვიხაროდა. ზარი რომ დავერკეთე, შუქი აანთეს, შენუხდნენ, ბებიამისმა კი სუფრა გავვიშალა, ნამგზავრებს გეშეებათო. საუცხოოდ შემწვარი თევზი გამოგვიტანა და ვერცხლისფერი დანით ლანგარზე სათუთად დანანავრა. ჩვენ თევშებზე ვიღებდით და მომცრო ჩანგლებით ვაქცვამაცვდით. ბებიას უხარობდა ჩვენი სტუმრობა, ყველაფერს ერთმანეთში ურევდა, კოვზები ზრიალა ჭიქით გამოჰქონდა, შაქარი სამურაბით. ცოტაოდენი მაგიდაზეც ეპნეოდა ამოღებისას და იატაკზე ფერთახვდა ხელისგულით. თავისი აკვირებები ჰქონდა, მოუწესრიგებლობას არად დაგიდევდა. შემდეგ კონიკი გავვიხსნა და დიდ ჭიქებში ფსკერი შეგვივსა. მაშინ მოჰყვა ზვიადი თავის ფანტასტიკურ ამბებს, ერთხელ მთვრალი აღმოვჩნდიო მიკარგულ ალაგს, გზას მხოლოდ იმიტომ განვაგრძობდი, რომ არ გავყინულიყავო. ასეთები ბევრჯერ განგვეცადა და არ მიკვირდა, მაგრამ მოულოდნელად განაცხადა, დღესავით მახსოვს, ოქროს ტყეს რომ გადავანყდიო, მნკრევი ოქროს ნაძვები იდგა, რომლის წინვებიც ოქროს ნემსები გეგონებოდაო.

— გირჩებიც ოქროსი ექნებოდა, — ავეყვი მეც.

— ჰო, ოქროსი ჰქონდა! ყველაზე მოზაიკური სანახავი სწორედ ეს იყო. სითხეც, მცენარის ძარღვებში რომ მოძრაობს, ოქროს ჭავლს ჰგავდა.

ნეტავ მართლა ვადაწყდომოდა. ახალგაზრდები ვიყავით. მთელი ფული არდადეგების პირველსავე დღეებში დავხარჯეთ, ბოლოს უკანასკნელ კაპიკებს ვზოგავდით. ამ კუთხით რალაც ისე ვერ ავანყეთ, მაგრამ ამაზე ფიქრი და ანგარიში გვეზარებოდა...

— როცა მარტო დავრჩი, გამორიცხვის მეთოდით განვაგრძე ძებნა. აქეთ-იქით

ვიყურებოდი, იქნებ რაიმე მოგონება აღმძვროდა, მაგრამ მაინც ვერ გავართვი თავი. ჩემთვის სიკვდილი მრავალ სილამაზესთან განშორებას ნიშნავდა, რომლის აღქმის უნარიც ჯერ კიდევ გამაჩნდა. მასშტაბურ თემებში შესვლა დეტალების მოხერხებას გულისხმობს. ცად მაშინ ამაღლდები, სხული მინაზე ხოხვით თუ აგინმატდა. ეს ასაფრენ ბილიკთან მიახლოებას ჰგავს. რა საჭიროა ვრცელი მონოგრაფია, თუკი საქმის არსს ორ სიტყვაში ჩაატყვე. ყოფას როგორღაც განვაგრძობთ, მაგრამ რისხვა ისე გვიპყრობს, თითქოს ცივ წვიმაში მოვეყვით და თუ ვერ დავძლიეთ, მამ ადამიანთა საწუგებულად არ გავჩენილვართ. ცხოვრება, რაც უნდა ხანგრძლივი იყოს, უკანასკნელ წამს გაეღვება დაემსგავსება. ყველაზე მშვენიერი დაბადება მგონია, როცა სალი და შეუცნობელი სამყარო გარშემო ზანზალაკით ნკარუნობს. ყოველივე უცხოა და ჟრუანტელის მომგვრელი. უჯრედები სიცოცხლით გაჯერებული ფერად-ფერადი წრებით ივსება და შენც ულევს სიხარულის შესაძლებლობა გეძლევა. სამყაროში შენგან დამოუკიდებლად რამდენი პროცესი მიმდინარეობს იმისთვის, რომ შედნიერი იყო, მაგრამ ამას დიდად არ აფასებ. ბავშვობა სახლის ზღურბლს ნააგავს, სადაც დიდი და თბილი სუფრაა გაშლილი. უცხო მელოდია ჩაგესმის და უცნაური ხიბლით გავსებს. ასე შეგაცილებენ წუთისოფელში, იქ კი შხამიც ბეობა და პრობლემებიც თავზუსაყრელი, ხოლო ვის სად მოუწევს დამკვიდრება, ეს ბედისწერის უცნაური გათვლა და ახირება მგონია.

ამ ფიქრებში ვიყავი, სხვა გამვლელი რომ გამოჩნდა. შემართული მიაბიჯებდა, დინჯად და ჟღარუნით. დროადრო ხელს ირდილაგადა, საფლავს თუ დაეძებდა. ადამიანს სანამ გაიცნობ, ბურთებით მოცული გეჩვენება. ცელოფანი, უხერხულად რომ ეჭირა ხელში, მოულოდნელად გაეხა და მობეტონებულ ფილაზე ჩხრიალით იწყო ცვენა მოუქროლილმა შიგთავსმა, ძირითადად მაკლენძის ასობის რომ წარმოადგენდა, მაგრამ ზოგიერთი ციფრსაც აღნიშნავდა. ისე უხვად ცვიოდა, თითქოს მდიდრულ მონყალებას გასცემენო. ზოგი გამოსაჩენ ადგილას დაენარცხა, ზოგიც ბალახებში შეიკარგა. არადა, როგორი სიფრთხილით მოჰქონდა. ჯიბეს, რომელშიც ფული უდევდა, ხომ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. მან რუდუნებით იწყო ნამოკრეფა, ნაწილს ჯიბეში იტენიდა, ნაწილს ცელოფანში ხვევდა, თან აქეთ-იქით იყურებოდა, კიდევ სადმე ხომ არ დამრჩაო.

— უვარგისი ცელოფნები, იმდენად თხელია, ადვილად იხევა. კიდევ კარგი, აქამდე მომევა, — თქვა მან.

— ღვინოს ხომ არ ნაუქცევდით?

— სიამოვნებით, მაგრამ ცოტაოდენი სამუშაო მაქვს, — დალილი ხმით გამეპასუხა, თვალი საფლავებს მიმოავლო და გზა განაგრძო. შემდეგ შორიანლო გაჩერდა და ასობით სიფრთხილით ამოალაგა. თან ხელში ატრიალებდა, გულდასმით ამონებდა, რომელიმე ხომ არ დაზიანდაო. მე ფიქრებმა წამილო, კარგა ხანს ვდუმდი და მისკენ აღარც გამიხედავს. ერთ მომენტში მბრწყინებმა საგანმა მომჭრა თვალი, ბალახში რომ ბრჭყვილებდა. როგორც აღმოჩნდა „ზ“ ასო იყო, ან რვიანი. ხელი დავავლე და ხელოსანს ვუჩვენე.

— მადლობელი ვარ! საერთოდ საქმის ბოლოდან დანყება მჩვევია, ამის გამო უკუღმართსაც მეძახიან, ჯერ თარიღები დავამაგრე და არც შემიძინავეს, რომელიმე ასო თუ აკლდა.

— უცაბედად აღნიშნული თარიღები მენიშნა.

— რომელი სახელი უნდა გამოსახოთ? ხელოსანმა გამომცდელოდ შემომხედა.

— ზვიად ჩინჩალაძე?

— ჰო! — გაიკვირვა მან, — იცნობდით?

— იმ საფლავთან მისი შესანდობრის შესმას გთავაზობდით.

— ნუთუ შემეშალა, მე ეს საფლავი მიჩვენეს, — თქვა მან და ყურადღებით მიმოიხედა, — არა, ეს არის, წყალი არ გაუვა!

— ეს იქნება. მე დიდი ხანია, არ ვყოფილვარ, მამ აქ გვიხივებებს?

— ჰო, ასე მითხრეს! — ცივ ქვას ხელი მზრუნველად გადაუხევა, — საერთოდ, საქმეს უგულოდ არ ვაკეთებ, მაგრამ რატომღაც ახლა მეტად მოვიწონებო.

— საუკეთესო ვინმე იყო, პათეტიკის გარეშე.

მერე ენად გაიკრიფა და იმდენი ილაპარაკა, ვიფიქრე, კიდევ კარგი მხოლოდ ერთი ბოთლი რომ ვიყიდე-მეთქი. ბოლოს განმიცხადა:

— მაგიდა და სკამი ხომ არ დავამონტაჟოთ, ადგილი იძლევა ამის საშუალებას, საუკეთესო გამოვა, პასუხს ვაგებ, ათასი ლარის ფარგლებში დავდეგებ.

— ცხრადად არა? — შევევაჭრე მე, — სამნი ვართ, თანაბრად გავიღებდით სამას-სამასს.

— გამოვიყვანოთ, ჩვენ ხელში არაა?! ჩემი მობილურის ნომერი შენ მეგობარს კი აქვს, მაგრამ შენც ჩაინერე.

ცხრა ციფრი ჰაუზებით წარმოთქვა და ბოლოს სახელიც მიკარნახა:

— ჰონსკი!
— წარმოშობით პოლონელი ხარ?
— არა, ხონელი!

პოლონეთი არაფერ შუაში იყო, მე გამიგია არასწორად.

4.

ხონსკიმ თავისი საქმე ფრიადზე შეასრულა და გამომემშვიდობა. მარტო დავრჩი, ოქროსფერი ასობები ჩვრით გავაპრი-ალე და ერთხანს ნამუშევარს დავყურებდი. ზვიად, ჩემო — გავიფიქრე — გული არ დაგწყდეს, ბევრი არაფერი დაგიკარგავს. შენი ნასვლის შემდეგ მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, არც არაფერი მოხდება კარგა ხანს, არაფერია გამოსაკიდი. მე ის უფრო მაინტერესებს, მაქვთ ხა ხდებდა, როგორი რეალობაა, თორემ აქ ყველაფერი მომყირჭდა. ჰაერიც ამაოების მწველი სურნელით გაჯერდა. აგერ იქ უცნობი მექანიზმი მონოტონურ ხმებს გამოსცემს და ისედაც მოსაბუნრებულ ცხოვრებას კიდევ უფრო აუტანელს ხდის. ცხოვრება ერთფეროვნად გრძელდება, რომელმაც ჩემთვისაც, არა მგონია, დიდხანს გასტანოს. წარსული კი არ დაილია, ჩანაცრდა და გახსენებები უსიამოვნო შეგრძნებებს ბადებს. განა რა მნიშვნელობა აქვს, შენ ამოხვიდოდი ჩემ საფლავზე, თუ მე შენსაზე? უნდა შემინდო, თუკი დიდხანს ვერ ამოვედი; მეც შევიწინდები, პირიქით რომ მომხდარიყო. საამბობელიც, როგორც გითხარი, არაფერი მაქვს. გახსოვს, ბოლოს სიჩუმე გვიჩვენებდა, რომ სათქმელი აღარაფერი გვექონდა. ყველაზე ტკბილი ჩვენი ახალგაზრდობის წლები იყო, რომელიც აღარ განმეორდება. დანარჩენს, აბა, რა ზარი აქვს. აქამდე რატომ არ ამოვედი? ვშიშობდი, გული ამომიჯდება-მეთქი. ასაკში ვარ, ასეთი რამ აღარ შემფერის. გული გამიქვავდა და ცრემლები დამიშრა, ძველი, მიტოვებული ტბების მსგავსად. არ ძალუძს რიგით ადამიანს გვერდში დგომა, ყოველ შემთხვევაში ისე, როგორც ამას ღვთისნიერი ხალხი ახერხებს. შენი სახლი მაგონდება ზემელზე, ხვეულა კიბით სხვენში ამავალი, საიდანაც დერეფანში ვხვდებოდით, უანგისფერი სახურავთან, ვინრო სარკმლები არანა ჰქონდა ჩატანებული და მტკვარს და პლენ-ანოვს გადაჰყურებდა. იმ სასტიკ წლებში ბინის გაყიდვაც მოვიწია და ახლა ამ ყველაფერს ისე ვიგონებ, როგორც გამოგონილ დროს, რომელიც არასოდეს არსებულა. უღრანებში ნანწალი ჩვენითვის უცხო არ იყო. კაპიკების იმედად დიდი მანძილების გადაფარვა გვჩვეოდა. იმ პერიოდში ხეტიალი იმიტომ გვიყვარდა, რომ სული უკიდევანო ტრამალებს მიგვიგავდა, უდაბნოს ქარს, ჰაერში რომ დამრწის. შენი საფლავი უტყვია, ზვიად, ჩემო! ზემოდან ზეცა გადაკვირია, ზეცა კი მტრედების სამშობლოა! ერთხელ სამსახურში წავედი უთენია. ადრე გავდიოდი ხოლმე, რადგან შორს მდებარეობდა. ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ბინდი იყო. ძე ხორციელი არ ჭაჭანებდა და არც მანქანები იდგა. ირგვლივ მკვდარი სიმარტოვე გამოფებულიყო. სხვა პლანეტაზე ხომ არ მოვხვდით-მეთქი, გავიფიქრე და ისევ ქუჩაზე გამოვედი. შუქნიშანი ფერებს მონაცვლეობით ანთებდა, ისე, თავისთვის, გზაზე სატრანსპორტო საშუალებები არ ჩანდა და ნაწვი-მარი ასფალტზეც ლამაზობინებს ქუჩზე შავად ბრწყინავდა. დაცვის კორპუსს შევეხმინა, მორიგე თვალების ფშვნივით შემხვდა, დიმიჩ, ამ კვირა დღეს რამ მოგიყვანაო. რამსები ამერია, თურმე კვირა ყოფილა.



სწავლა დაიწყო!

სწავლა დაიწყო
კარაჭედილ, დაცლილ სკოლებში,
სწავლა დაიწყო!

გეორგინა

რა ლამაზი ყვავილია გეორგინა.
ადრე სოფელში ყველას ერგო.
ზოგი ყვითლად ჩახჩახებდა, ზოგი — შინდისფრად.

მკვდრის ყვავილია გეორგინა,
სულ მეგონა, მხოლოდ იმისთვის ახარებდნენ,
რომ პანაშვიდზე მიეტანათ,

მაშინ მომწონდა გეორგინები,
ბაღის ზეიმისთვის პრილა ქალაღდისგან
გაკეთებულ ყვავილებს ჰგავდნენ.

სუსტი ყვავილია გეორგინა,
მოვერე და სამუდამოდ შევიძულე.
წყალი კი მოდის, მოდის, მოდის,

მზისფერ ვაშლებში ჩაყვინთული
დღეებია,
ელი, ბატები უნდა მწყემსო.



ლელა ცუცქირიძე

როცა ძაფობანას თამაშის დროს
თითებზე წამოცმული ბილიკები აგებლარებდა,
გაჰყვივს ისრებს,

ართხელ მაჩუქეს ქოთან

ერთხელ მაჩუქეს ქოთან,
ქოთანში ჩაგრეგ ბაღბა.
ბაღბა ვიყიდე ქალისგან,
რომელიც იდგა მეტროში,

ბაღბა იყიდა ქალმა,
რომელსაც აცვია შავი,
რომელსაც აჩუქეს ქოთან,
რომელსაც არ აქვს ბაღბა.

ქოთანში ხარობს ბაღბა,
საცაა გარეთ გავა.
საცაა
გარეთ
გავა.

„ბავშვებს რომ ვუყურებ, სულ ხეები მახსენდება,
ხეებს რომ ვუყურებ — ბავშვები...“ — ფიქრი

თოვლი მოვიდა
და ზამთარი ხეებს — დიდ და მიამიტ ბავშვებს —
შეშლილების ხალათებს აცმევს,

როგორ იხსნიან სახელოებს
და მომტვრეული, მტკივანი ფრთებით
ფრენას სწავლობენ.

უნდა ავუსხსნა სიყვარული დედას

უნდა ავუსხსნა სიყვარული დედას,
ჩავიცვა კაბა, თავისთვის რომ შეიკერა და მე მაჩუქა,
გამოაყოლა ვერდატეული სიყვარული,

თუ შავი კაბების საყელოდან ჩატოვებული
ქინძისთავივით იჩხვლიტებოდა სევდა, ტკივილი,
ფერადი კაბის გაშლილ მკლავეში მოხტუნავე სიხარული

ნაირ-ნაირი ქსოვილები ელაგა ირგვლივ:
შიფონი, ჩითი, კრეპდინინი, ქიშირი, ტვიდი...
მეზობლების, ნათესავების, თანამშრომლების...
ათასში ერთხელ გამოჩნდებოდნენ უცხოებიც

მოვიდა დედა, გაიხადა მწვანე პალტო ხელოვნური,
ყვითელი ბუნვით (ეს კიდევ ცალკე ისტორია —
შემოდგომობით

შუქ-ჩრდილები აათამაშეს...
კერავდა დედა თავისთვის კაბას და
ჩვენ თვალწინ, როგორც

მთელი ცხოვრება რომ შეძლებოდა ჩვენი დაფარვა.
არც ოქროს ძაფი, არც ვერცხლისა,
არც ლალის ღილი, არც მარგალიტის.
მაგრამ დედა — ის ყველაზე ლამაზი ჩიტი აბრეშუმისა,



უნდა ავუხსნა სიყვარული დედას, უკვე მოხუცს და ხელეზობიანს...

ასეთი სიყვარულიცაა: ტელევიზორის ანტენებმა რკინის ფეხები აიკეცეს...

წიგნი

დილის სიჩუმეში ეკლესიის ზარის ხმა ისმის. ნაგვის ბუნკერთან, პურის ნატეხს რიგრიგობით კენკავენ ბელურები.

ზაფხული

სალამობით კორპუსების ღია ფანჯრებით ქალაქი ჰგავს ამოხსნილ კროსვორდს.

რა თქვა ლეილა მისი უმცროსი

შენ არ იცი, ჩემო კარგო, რატომ მიყვარს ეს ჯართითა და ძველმანებით მოღობილი

მინის ნაგლეჯი. აქ, ყოველი წვიმის მერე, სისველისგან ზღვისფერად გადაღბნილ ბალახებში ჯიუტად გაჰყავთ ვერცხლისფერი ლიანადაგები...

აქ გაივლიან მატარებლები, რომლებსაც ერთხელ ბოლო სადგური ხვლიკის კუდივით მოაწყვიტეს.

რომლებიც ერთხელ გამოვიდნენ ცეცხლმოდებული ნარსულიდან, გამოიტანეს გვერდმომწვარი სიზმრები და ფოტოები,

ანარეკლი თეთრი სახლების მალაქი ყელის — რკინის ჭიშკრების გიპიურით... გამოიტანეს მოულოდნელად

მკვდრადქცეული ახლობლების და ჯარისკაცების ხმების ექო — ყელზე შებმული სამახსოვრო ზანზალაკივით.

ოდესმე, როცა უსახლკარო მგზავრების ყელზე ეს ზანზალაკი ანკრიალდება, აქ გაივლიან მატარებლები. შევლენ სადგურში, —

ხვლიკის კუდივით წამოზრდილში, მწვანე სისავსით და სიმშვიდით.

ჩემზე ჯიუტი ლოკოკინები! ლიანდაგები გაჰყავთ და გაჰყავთ! ყველაზე უკეთ მათ იციან,

თუ რას ნიშნავს, დატოვო სახლი, რომელიც მუდამ შენთანაა,

დატოვო სახლი და ვერ დაბრუნდე.

ჩვენება

„უცებ ყვავილის ქოთანით...“ გიორგი ლობჯანიძე

1.

— როგორც ყოველთვის, ის დილითაც ჩვეულებრივად გამოვიდა სადარბაზოდან და მომესალმა.

— უცნაური ხომ არაფერი შეგინიშნავთ? — არა, უბრალოდ, მითხრა, რომ მისმა ქოთნის ყვავილმა მოინყინა.

მე არ მეცალა, მეკითხა, რატომ. მე არ მეცალა, მეკითხა, რატომ. იმ წუთას სხვებიც შემოვიდნენ, ხომ გესმით, ეს არცთუ ისე ხშირად ხდება და დროს ქოთნის ყვავილის მოსაკითხად ვერ დავკარგავდი.

2.

— როგორც ყოველთვის, ის დილითაც შემოვიდა მაღაზიაში და მომესალმა.

— უცნაური ხომ არაფერი შეგინიშნავთ? — არა, უბრალოდ, მითხრა, რომ მისმა ქოთნის ყვავილმა მოინყინა.

მე არ მეცალა, მეკითხა, რატომ. იმ წუთას სხვებიც შემოვიდნენ, ხომ გესმით, ეს არცთუ ისე ხშირად ხდება და დროს ქოთნის ყვავილის მოსაკითხად ვერ დავკარგავდი.

3.

— როგორც ყოველთვის, ის დილითაც მოვიდა სამსახურში და მომესალმა.

— უცნაური ხომ არაფერი შეგინიშნავთ? — არა, უბრალოდ, მითხრა, რომ მისმა ქოთნის ყვავილმა მოინყინა.

მერე მთელი დღე მე ჩემს საქმეს ვუტრიალებდი, ის — თავისას. ქოთნის ყვავილი? სიმართლე გითხრა, საერთოდ არ გამხსენებია, ან რატომ უნდა გამხსენებოდა?

4.

— როგორც ყოველთვის, ის საღამოს მოვიდა ჩემთან. მოგესხენებათ, მეგობრები ვართ და ერთმანეთს ხშირად ვნახულობთ.

— უცნაური ხომ არაფერი შეგინიშნავთ? — არა, უბრალოდ, მითხრა, რომ მისმა ქოთნის ყვავილმა მოინყინა.

მე გამეცინა და ვუთხარი, სულ გარეკე-მეთქი. — რატომ? — მას არასდროს არ ჰქონია ქოთნის ყვავილი.

ზუსტად ვიცი, ათასჯერ ვარ მასთან ნამყოფი. კი მაგრამ, რატომ მეკითხებით? — გამთენიისას მისი ფანჯრიდან ქოთნის ყვავილი გადმოვარდა.

უფრო სწორედ... ის თავად ჰგავდა ქოთნის ყვავილს, ძალიან ჰგავდა.

პუდინგები

ლოყებზე შერჩენილი სიზმრის სუნით მერხებთან სხედან პუდინგები, ჩუმად თამაშობენ ერთმანეთში კუბები და კუბიკებით.

ფრთები გაკრული აქვთ ათი კილო განათლებითა და ზურგჩანთებით, სკოლებში, სახლებში, ავტობუსში ჭკუას ვარიგებთ და ვუჯავრდებით.

თავი გაასწორეთ! სმენა! სწორდით! ჩუმად! ნუ იცინით! ნუ თამაშობთ! ახლავე დაიზუთხეთ საზეპირო! აქედან მოაშორეთ სათამაშო!

ცაში ახედვისთვის დრო არ რჩებათ, აღარც შეუძლიათ თავჩახრილებს, ან რა საჭიროა, იქ სივრცეა, უაზრო სივრცე და ვარსკვლავები.

კუბები თანდათან წახნაგთან ქვებდა და ლოდებად გადაექცათ, ქუჩები. სასტიკი თამაშები — ბავშვების ახალი გატაცება.

ლოყებზე შერჩენილი სიზმრის სუნით მერხებთან ისხდნენ პუდინგები, თამაში უნდოდათ ერთმანეთთან კუბებითა და კუბიკებით.

სასკინი ნიშნების პოეზია

ცხოვრება

;;;

სიყვარული

:

ოჯახი

...

ჩხუბი

?! ?!

ბავშვი

??????

შიში

” ”

პროტესტი

!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!

მარტოობა

()

აპათია

— — — —

სიბერე

” ” ” ”

კარდიოგრამა

.....



დიმიტრი ნიკლაური ქმაკაცები

დასასრული

მაშინ შენთან წამოვედი, სოლოლაკში, ნაქირავე ბინაში, სადაც ბოლო პერიოდში ცხოვრობდი. გული ვიჯერეთ საუბრით, ათასი რამე გავიხსენეთ და ყავა დავლიეთ. მერე პარმალამდე გამომაცილეთ. ასეთი დამამახსოვრდი სწორედ, ოდნავ ჭალარაშერეული, ხის ქვეშ მდგარი. მიწა ყვითელი ფოთლებით იყო სავსე, ზოგან ნაბლები ეყარა, შენ კი ისეთი მაღლივი მზერით იყურებოდი, თითქოს ცხოვრება ცუდად არ მოგპყრობია და სულ ფანდახებს გიგებდა... ეჰ, ზვიად, ჩემო! როცა მონატრება გორგუნავს და დაეინყება ცდილობ, შეუძლებელ საქმეს შედგომიხარ. გამაყრუებელი სიჩუმე ჩემზე ყოველთვის მძიმედ მოქმედებდა, ხმაური მერჩივნა. თუკი ცხოვრება ოდესმე ფერფლივით არარად გვაქცევს, როგორ გინდა, ამ შეგრძნებებს რომ გაუმკლავდე?! ჩვენ საქმომი ისედაც არავის ჩვეოდა ბედზე ზრუნვა. ეს საქმე მიგდებული გექნდა და ჰაი-ჰარად ვეკიდებოდი. დიდი ცვლილება ამიტომაც ვერ მოვხდინეთ, თუმცა მთლად ჩვენი ბრალიც არ იყო, ჩვენ ხომ არასდროს გადავწყვიტეთ ერთმანეთს და გვიჩვენებდა...

გვიანი იყო, გორაკს რომ ჩავუყვე და ღამის თბილისს შევერიე. ზეცა და კამკაშა ვარსკვლავები უცნობი მხატვრის დიდებულ ტილოს ნაგავდა. მოზიემ ცის მნათობები სახშობიანი საყვირებით მშვენიერ ჰიმნს აუღებდნენ. ტრანსპორტის ყრუ ხრიგინი ნაკადულის ჩხრილივით გაისმოდა. შორს სადენებმა გაილევა. მთელი ეს პეიზაჟი ზეპირად ვიცოდი. რიჟრაჟზე იქით მხარეს პატარა ტყე გამოჩნდებოდა, მშვენიერი მდელოების შემნახავი, ხავსზე წამოწოლის და სუფთა ჰაერზე მეფური ძილის შემთავაზებელი. ხმაურიანი ქუჩა ჩვეულ რიტმში განაგრძობდა არსებობას. გაჩერებაზე ჩემს საცხოვრებელთან ახლოს მიმავალი ავტობუსი მძიმედ შედგა. სკამზე მივესვენე და თვალები დავხუჭე. ტელეფონმა დარეკა, პეტო იყო.

— დიმიჩ! მე და გიო ერთად ვართ. როგორც იქნა, დაგიკავშირდით, ხომ მშვიდობაა?

— ჰო! — თავი დავიქნიე, თითქოს ამ შესტს დანახავდა.

— გვიანია, ჩვენც უნდა დავიშალოთ, საფლავს მიაგენი?

— მივაგენი, წარწერაც გაუკეთდა. — რას ამბობ, როგორ გამიხარდა!

— დილით ვაპირებდი თქვენთან დარეკვას. — კარგი გამოვიდა?

— საუკეთესო! — უახლოეს დღეებში სამივენი წავიდეთ. — კარგი იქნება, მთავარია, ყველას გვეცალოს.

— მოვიცლით როგორმე! — წარმოთქვა საქმიანად და დაბეჯითებით.

გაჩერებაზე ავტობუსმა ორიოდ მგზავრი კიდევ შეიმატა და ისევ განაგრძო წამოწყებული საქმე, ლამპინებით განათებული გზის გადაფარვა.



ვახტანგ
ჯავახიძე

მარცხენა და მარჯვენა

ზოგი — მარჯვენა საჭესთან,
ზოგი — მარცხენა საჭესთან —
დასხდნენ და გრძელი ესკორტი ბედაურივით გაჭენდა.
მე, რაკი მემარცხენე ვარ, ცხრამეტი მომისაჯეს და
ცხრამეტი წელი დავყავი მხოლოდ მარცხენა საჭესთან,
და ასე გამოვერიდე მარჯვენა საჭე-სავარძელს,
რომელიც დაყოვნებული ნაღმივით შემოგვთავაზეს.
ერთმანეთს შევადარე და, როგორც ცხოვრებამ მაჩვენა,
ხშირად არ იცის მარცხენამ, რას გააკეთებს მარჯვენა.
შენ არ გეგონოს თბილისი მართლა მეორე პარიზი:
მარცხენა ფეხზე ადგები თუ მარჯვენაზე — არ იცი.
გენებიც შეამოწმეს და ინვევენ, როგორც დანესდა:
მდიდარს — მარცხენა საჭესთან,
ღარიბს — მარჯვენა საჭესთან.

დასძინა

სიტყვა არ უთქვამს, სეფე-სიტყვა, მხოლოდ დასძინა,
თითქოს შემთხვევა მერმინდელი იწინდანინა.
მხოლოდ მენიშნა, შეედავა, განა დასცინა.
გაითავისა ავანსცენა: სცენა და სცენა.
მხოლოდ დასძინა, დასძინა და, როგორც თითქოსდა
ნაგვიანებმა ნაშიერმა რომანტიკოსთა,
ბოლო რიგიდან, როგორც დაძრულ მატარებლიდან,
დაანია და შეანია მხოლოდ რეპლიკა
ანუ დასძინა, ნამოდგა და როცა დანინა-
ურდა, დასძინა, დასძინა და კიდევ დასძინა.

ამნე და დამნე

გვედრები, ამნე,
ძალიან ნუ ამნე,
შენ კი, ჩემო დამნე,
ძალიან ნუ დამნე,
მინაზე ნუ დამცემ,
ბეჭებზე ნუ დამცემ,
დასტურს თუ არ დამცემ,
თავზარსაც ნუ დამცემ
და ჯვარს თუ არ დამნერ,
გვირგვინივით დამნენ,
იყავ ჩემი ფუძის
ანგელოზი და მწე —
ჩემი ამნე-დამნე.

ნამყა პათანისაკნე

ფალავანთა ტენდერია ფარავანთან,
მე კი, რაკი ფალავანი არა ვარ და
არც მემკვიდრე ყანთელაძე ყარამანთა,
არც რაინდი გალავანთა ქარავანთა,
შანსი ჩემი ყველას ეპატარავა და
გამივიდა ყველა რაგინდარა ვადა
და არავინ მელოდება ფარავანთან, —
მომელანდა ჭყვიშის ძველი შარა ვანთან
და მაღალი ლანდი მომეშარავანდა,
ჩამჩურჩულა: მე ხომ შენი გალა ვარ და
ნამომყევი ბეთანიის გალავანთან.

შელოცვა მახისა

გვედრები, მეხო,
არასდროს შემეხო,
რაც დამალოზანა
მეთამაშე, მეყო.
მე ხო, ჩემო მეხო,
არ მიკადრებია,
ენა გამომეყო
ან ხმა ამომელო.
მეხო ჩემო, მე ხო
ზონა გამომეყო,
რათა დავივიწყო
შენი ეხო-მეხო.
სჯობდა, ყურად მელო,
ელვა გადამელო
და რეკლამასავით
გამეყიდა, მეხო.
ვიცი, არაერთხელ
ამიქციე გვედრი,
ამ ერთხელაც გვედრი,
ნულარ დამაყვედრი.
ჩემი სამოსახლო,
ჩემი ახლომახლო —
მხოლოდ გამინათე
და ხელი არ მახლო.
ნეკროლოგიანებს
გამარიდე, მეხო,
ფემქამ ოკეანეს
შენ და შენი ეხო!

გამოსარჩლება

გალაკტიონს წამოცდა იმერული: ისთე!
იქნებ გაგვინანყენდეს ვინმე მელინგვისტი,
მე კი გამოსარჩლება ჩამოვაგვირისტე:
ერთი სიტყვა ამართლებს, ერთი რითმა: ქრისტე!

მოსუცი და მოქლვარი

აღარ ჰყავდა ღვინის
დამალევენებელი
და მალე —
აღარ ჰყავდა არყის
დამალევენებელი
და მალე —
აღარ ჰყავდა ყავის
დამალევენებელი
და მალე —
აღარ ჰყავდა ჩაის
დამალევენებელი
და მალე —
აღარ ჰყავდა არც წყლის
დამალევენებელი
და მალე —
ჰყავდა მხოლოდ სულის
დამალევენებელი:
დამალე! დამალე! დამალე!

შემოქმედის მონასტრიდან

შემოქმედის მონასტრიდან შიშის გარეშე —
ვინვევდით და ვუხმობდით და ვეძახოდით: შე...

მიიწურა შემოდგომა ტაძრის გარეშემო,
ვინვევდით და ვუხმობდით და ვეძახოდით: შემო...

შეპყრობილნი შემოქმედის ტაძრის გარეშემოთი —
ვინვევდით და ვუხმობდით და ვეძახოდით: შემოდი!

შევეგებეთ შემოქმედის შესანიშნავ შენობიდან
და როდესაც შემოქმედში შემოქმედი შემოვიდა,

ყველამ თავი მოვიწონეთ შემოქმედის შენობით
და შემოქმედს ვესაუბრეთ შენობით და შენობით.

ყავარჯენი

ყავარჯენი დამეძებს, ვემალები ყავარჯენს,
როგორც უზენაესის განჩინება-განაჩენს.
იღუმალი მაფრთხილებს: საჭიროა, საჭირო,
მემუქრება ათასი კიბე უმოაჯირო.
მახსენდება ნაცნობი კიბე მოაჯირითა,
სადაც ერთხელ მაჯამა გალამ მოაჯირითა.
დიდი წონასწორობის ზონას გამოვესალმე,
ჩამორჩენილ ფეხოსანს მაიმედებს მესამე
ფეხი, თანაც მოყვასთა რჩევას უნდა მივდიო:
ორთავ ფეხს და ერთადერთ კისერს გაუფრთხილდო.
ვცდილობ, მაგრამ ვაითუ მაინც წავიბარბაცე
ან ყინულის სარკეზე, ანდა თოვლის ბამბაზე...
ვფიქრობ, ვფიქრობ, საფიქრალს
ვინ იფიქრებს ჩემოდენს,
მანამ უნდა წამოვდგე, ვიდრე დავეცემოდე.
რაც არ უნდა ავჩქარდე, დამასწრებენ ზანტები,
რამდენიმე ნაბიჯით ყველგან დავგვიანდები.
რაკი ვერ გავერიდე დაღმართებს და დამრეცებს,
უსათუოდ მიპოვნის ის, რომელიც დამეძებს.
და მე, რათა დავაცხრო ავ ენათა ქავილი,
რუსთაველზე აკაკის ყავარჯენით გავივილი.

მცირე ანდერძი

ჩემო ჭკვიანო ცოლო,
ისმინე ჩემი სოლო:

ჩემო ჭკვიანო ცოლო,
შენ უნდა გააცილო —
ქარებთან მეომარი —
შენი სულელი ქმარი.

ანდერძი დაისწავლე
და როცა სხვები წავლენ...

ხმა გულში ჩაიმარხე,
შემინდე საცოდავი,
რაკი სულელი არ ხარ,
მოისულელე თავი.

განენწყვე საცოდავად
და როცა ყველა წავა...

კაცი, ერი და ბერი,
მინა, წყალი და ღელე —
ყველა და ყველაფერი
ყოფილა სისულელე.

გადადე შავი მანტო
და როცა დარჩე მარტო,
ფრთხილად გათიშე ზარი,
მაგრად ჩაკეტე კარი,
მონახე მეცხრე თარო,
მოძებნე მერვე ნიგნი, —
სანატრულ-სანეტარო
უსტარს იპოვნი შიგნით:

მიიღე ჩემგან, როგორც
წაწრთობი გულის ცეცხლის —
ათი სტრიქონი ოქრო,
ოცი სტრიქონი ვერცხლი,
აგრეთვე — ქარიზმათა
შაირი საშენო და
ასი მისხალი ზმა და
ასი კარატი ოდა.

გეგონა სასაცილო,
ყოფილა ჯადოქარი,
ჩემო ჭკვიანო ცოლო,
შენი სულელი ქმარი.

ამიერიდან ქარებს
შენ უნდა შეებრძოლო,
ჩემო მდიდარო ცოლო,
ჩემო ღარიბო ცოლო.



გიორგი ორაძე ზღაპრული მხარე ეპიზოდი

ზომბჯირი ჩემი აზრები უნებლიედ უბრუნდება იმ უდარდელ დღეებს, რომელიც ჩემი ცხოვრების მომავადობებელ და ბედნიერ ნაწილს მოიცავდა და რომლითაც დაუფიქრებლად შემეძლო დავმტკბარიყავი, როგორც კეთილი უცნობის მიერ ნაბობები საჩუქრით. ჩემს მეხსიერებაში ხელმეორედ ცოცხლდება პატარა ქალაქი ხეობის ფსკერზე: ფართო მთავარი ქუჩა, რომლის ცენტრშიც გადაჭიმულია გრძელი ხეივანი დიდებული ცაცხვებისა; ვაჭრებისა და ხელოსნების იდუმალ-მოუსვენარი ცხოვრებით სავსე ქუჩა-ბანდებიანი შესახვევები და მოედნის შუაში ქალაქის ძველებური შადრევანი, რომელიც მზის სხივთქვეშ ძალზედ მომავადობებლად ცეკვავს; წყლის ხმაურს ბანს აძლევს შეყვარებულთა ჩურჩული, ქალაქი კი ამ დროს თითქოს წარსულზე ოცნებობს.

მდოვრედ გადახრილი გორაკები, რომლებზეც დიდებული, მდუმარე ნაძვანარი ნამოჭიმულა, ამ ხეობას გარე სამყაროსგან მალავს. ნაძვთა მწვერვალები მსუბუქად ებჯინება შორეულ, ნათელ ცას. ცისა და მიწის ამგვარი შეკავშირებით სამყარო ჩვენთვის მეტად მშობლიური ხდება. ადამიანთა სახეობაც უმაღლეს წარმომადგენლებს მესხიერებაში და ჩემ თვალწინ ისევ ცოცხ-

ლდება მათი გარდასული ცხოვრება, მათი ყოველი ვაება და ბედნიერება, რომელთაც ისინი უშიშრად ანდობდნენ ერთმანეთს. რვა კვირა დავეყავი ამ მივარდნილ ადგილას. ეს რვა კვირა ცალკეული ნაწილია ჩემი ცხოვრებისა. ეს რვა კვირა სავსეა ენით აუნერული ყმანვილური ბედნიერებით, სავსეა განუზრდობელი ტანჯვით. აქ ჩემს ყმანვილურ სულში პირველად აღიბეჭდა დიდებული განცდები.

ისევ ვხედავ საკუთარ თავს — მონაფეს იმ სახლში, პატარა ბალი რომ ჰქონდა და რომელიც ქალაქის გარეუბანში მდებარეობდა; იგი თითქმის სრულიად დაეფარა ხეებსა თუ ბუჩქნარებს. პატარა ოთახი მქონდა დაკავებული მანსარდაზე, რომელიც საოცრად ძველი, გახუნებული სურათებით იყო მოპირკეთებული. ხშირად გამყავდა აქ სალამოები და ვიძირებოდი ოცნებებში, სიჩუმეში, და სიჩუმე ფრთხილად შთანთქავდა ღრუბელთმიერ, სულელურ, მაამებელ ყმანვილურ ოცნებებს, ინახავდა მას, ხოლო მოგვიანებით — შებინდებისას ისევ უკან მიბრუნებდა. ამგვარი სალამოების დროს ხშირად ჩავდიოდი ქვემოთ, ჩემს მოხუც ძიასთან, რომელიც თითქმის მთელ დღეს მის სწულ ქალიშვილთან — მარიასთან — ატარებდა. იქ ჩვენ სამი საათის განმავლობაში ჩუმად ვისხედით. თბილი სალამოს ქარი შემოფრინდებოდა ხოლმე ფანჯარაში და თან მოიტანდა ხმების ნაფლეთებს, რომლებიც ბუნდოვან საოცარ აზრებს მიღვიძებდა. ჰაერში გაჟღერებულიყო ძლიერი, დამატორობელი არომატი ვარდებისა, რომლებიც მესერის გასწვრივ ყვავდა. თანდათანობით ოთახში ღამე იპარებოდა და ამ დროს ვდგებოდი, ვამბობდი „ღამე მშვიდობისა“ და მივემართებოდი ზემოთ, საკუთარი ოთახისკენ, რათა კიდევ ერთი საათითაც გავეტყუებინე ღამის ოცნებებს.

თავდაპირველად პატარა ავადმყოფის სიხალოვე ჩემში თითქოს უსუსური შებოჭილობის განცდას აღძრავდა, შემდგომ კი მუნჯი, უცნაურად მიმზიდველი ტანჯვის მიმართ ეს განცდა წმინდა, მღელვარე მოკრძალებად იქცა. როდესაც სწულს ვხედავდი, ძალზედ ბუნდოვანი გრძობა იღვიძებდა ჩემში; გრძობა, რომელიც მკარნახობდა, რომ მარია აუცილებლად მოკვდებოდა. და ასეთ დროს მეშინოდა, მისთვის შემეხედა.

როდესაც მთელი დღის განმავლობაში ტყეში დავვებტებოდი და სიამოვნებას ვიღებდი სიჩუმისგან, მარტობისგან, და როდესაც შემდგომ დაქანცული ვიჭიმებოდი რბილ ბუნებზე და საათობით ვუმზერდი სუფთა, ბრწყინვალე ცას, რომლის თვალუნვდენელ სივრცეში უკიდევანო ბედნიერების დროს განსაკუთრებით ღრმად შემეძლო ჩამეხედა — ანაზად მახსენდებოდა სწული მარია — და მაშინვე ნამოვარდებოდი ხოლმე და, გაუგებარი აზრებით შეპყრობილი, უშიშროდ ვაგრძელებდი ხეტივს; ასეთ დროს თავშიც და გულშიც ყრუ სიმძიმეს ვგრძობდი და ცრემლთა შეკავება მიჭირდა.

ზოგჯერ სალამოებით, ცაცხვის არო-



მატით დამთვრალი, მტვრიან მთავარ ქუჩაზე ვსეირნობდი და ვამჩნევდი შეყვარებულ წყვილებს, რომლებიც ხეთა ჩრდილქვეშ ჩურჩულებდნენ. როდესაც შევნიშნე, მთავარიანი ღამით წყნარად მოჩუხჩუხე შადრევანთან როგორ მისეირნობდა წყვილი, უმაღლეს მენვია ზემთაგონების ძლიერი თრთოლა — მაშინვე გამახსენდა სწული მარია; და ისევ მსანსლავდა ჩუმი სევდა, რომელსაც მიზეზი ვერ ვუპოვე, და ნათლად ვხედავდი ხოლმე, თუ როგორ ვსეირნობდით ხელჩაკიდულნი კეთილსურნელოვან ცაცხვთა ჩრდილებქვეშ. მარიას დიდრონ, ბნელ თვალბეჭში საუცხოო სინათლე ბრწყინავდა, და მზის შუქზე მისი ვინრო სახე უფრო ფერმკრთალი და გამჭვირვალე ხდებოდა. ასეთ დროს ისევ მივბობდი საკუთარ ოთახში, ფანჯარას მივეყრდნობოდი და თვალებს ვაპყრობდი ღრმა, უკუნითმოცულ ცას, რომელზეც თითქოს ვარსკვლავები უჩინარდებოდა, და სანამ სიზმარი მენვეოდა, საათების განმავლობაში ვეძლეოდი ბუნდოვან, განმაცვიფრებელ ოცნებებს.

მაგრამ სწულ მარიასთან ათიოდე სიტყვაც არ გამიცვლია. იგი ჩუმად იწვა, მე კი საათობით ვიჯექი ხოლმე მის სანოლთან და ვუცქერდი ავადმყოფურ, დატანჯულ თვალებს. გამუდმებით ვგრძობდი, რომ იგი მოკვდებოდა. ბაღში მინდორზე ვწვებოდი და უთვალავ ყვავილთა სურნელებით ვტკებოდი. მზის სხივებით მოფენილი ბრწყინვალე მრავალფეროვნება თვალებს მიბინდავდა. ჰაერში გამეფებულ სიჩუმეს ყურს ვუგდებდი; იშვიათად თუ დაარღვევდა სიჩუმეს ჩიტის შეძახილი; ყურადღებით ვისმენდი ამ ნაყოფიერი, შეხუთული მიწის მღელვარებას, ამ იდუმალ ფაჩუნს მარად ქმნადისა. მაშინ ბუნდოვანად ვგრძობდი ცხოვრების დიდებასა და სილამაზეს. სწორედ ასეთ დროს მენვეოდა ხოლმე გრძობა, რომელიც მკარნახობდა, რომ ცხოვრება მე მეკუთვნის. თუმცა მაშინვე ერკერულ ფანჯარას ვაპყრობდი მზურას. ვხედავდი, როგორ ზის იქ სწული მარია — ჩუმად და გაუნძრევლად, დახუჭული თვალებით. და ყოველი ჩემი განცდა ისევ ეჭიდებოდა ტანჯვას ამ ერთადერთი ადამიანისა, მიიღვოდა მისკენ — გარდაიქმნებოდა მძიმე ნაღველად, რომელსაც საკუთარ თავთან ვერ ვაღიარებდი და რომელიც იდუმალ და უცნაურ მოვლენად მეჩვენებოდა. მოკრძალებულად, ჩუმად გავდიოდი ბაღიდან, თითქოს ამ ტაძარში გაჩერების უფლება აღარ მქონოდა.

ერთხელაც, როდესაც მესერთან გავიარე, დიდი, დამაბრმავებლად წითელი, სურნელებით დამძიმებული ვარდი მოვწყვიტე. ფანჯარასთან ჩუმად გაძვრომას ვლამობდი და შევნიშნე, რომ მარიას გამჭვირვალე ჩრდილი ხრეშით მოფენილ გზას ეცემოდა. და ჩემი ჩრდილი ეხებოდა მარიას ჩრდილს, ეს ჩახუტებას მაგონებდა. მაშინ მე, თითქოს უეცარი სწრაფვით შეპყ-

რობილმა, ფანჯრისკენ გადავდგი ნაბიჯი და ახლადმოწყვეტილი ვარდი მარიას კალთაზე დავედე, შემდგომ კი ოთახი ჩუმად დავეტოვე, თითქოს მეშინოდა, რომ ვილაც მომისწრებდა.

რამდენად ხშირად მეორდებოდა ეს უმჩინვადი, ჩემთვის მნიშვნელოვანი მოვლენები? არ ვიცი. ისეთი გრძობა მეუფლებოდა, თითქოს მარიას კალთაზე ათასობით ვარდი დამედოს, თითქოს ჩვენი ჩრდილები ერთმანეთს უამრავჯერ მოხვეოდეს. მარიას არაფერი უთქვამს, მაგრამ მის თვალთა ბრწყინვალეობით ვხვდებოდი, რომ ყოველივე ეს სიხარულით ალავესებდა.

ალბათ, ის დრო, როდესაც ჩვენ ერთად ვისხედით და ჩუმად ვეფლობოდით ვეება, წყნარ, უკიდევანო ბედნიერებაში, იმდენად მშვენიერი იყო, რომ ამაზე მშვენიერი რამ ვერც კი წარმომედგინა. ჩემი მოხუცი ძია ცდილობდა, რომ ხელი არ შეეშალა. მაგრამ ერთხელ, როდესაც მასთან ერთად ბაღში ვიჯექი, ჭრელაჭრულა ყვავილებს შორის, რომელთა თავზედაც დიდრონი ყვითელი პეპლები დაფარვებდნენ, ჩუმად და ჩაფიქრებულად მითხრა: „შენი სული წუხილს დაეძებს, ჩემო ბიჭო“. და ამ დროს ხელი თავზე დამადო; თითქოს კიდევ რალაცის თქმა სურდა. მაგრამ დუმდა. ის, სავარაუდოდ, ვერც კი ხვდებოდა, რა გამოიწვია და გამოაცოცხლა ჩემს სულში თავისი სიტყვებით.

ერთხელ, როდესაც მე ისევ, როგორც ჩვეულებრივ, იმ ფანჯარას მივუახლოვდი, რომელთანაც ყოველთვის იჯდა მარია, შევნიშნე, რომ მკვდარივით გაფითრებული და გაშეშებული სახე ჰქონდა. მზის ათინათი დაძრწოდა მის ნათელ, ნახ სახეზე; ჩამოშვებულ ოქროსფერი თმებს ქარი ეაღერებოდა. უცნაური გრძობა დამეუფლა მაშინ: თითქოს დაავადებას არ წაურთმევია მისი სიცოცხლე, თითქოს იგი ყოველგვარი მიზეზის გარეშე მოკვდა — თითქოს ეს გამოცანაა. უკანასკნელი ვარდი, რომელიც ხელში ჩავუდე, მარიამ სამარეში გაიყვალა.

მარიას სიკვდილის შემდგომ მალევე დიდ ქალაქში გადავსახლდი. მაგრამ იმ ჩუმი დღეების მოგონებები, რომლებიც მზის სინათლითაა სავსე, ცოცხალია ჩემში და, ვგონებ, უფრო ცოცხალია, ვიდრე ჩემი ხმაურისა და ანგელოზების ვიხილავ — დაახ, მეშინია მისი ხელმეორედ ნახვა. ვფიქრობ, ვერასდროს შევძლებდი ამგვარი გადანწყვტილების მიღებას, თუმცა ზოგჯერ მტანჯველი სევდა, რომელსაც მარად ყრმული წარსულის მოვლენები იწვევს, ისევ მეუფლება. ვინაიდან ვიცი, რომ ამაო იქნება იმის ძიება, რაც უკვლოდ გაქრა; იქ უკვე ვეღარ ვიპოვი იმას, რაც ჯერ კიდევ ცოცხალია ჩემს მესხიერებაში როგორც დღევანდელი დღე და ეს მხოლოდ არაფრისმოცემ ტანჯვად იქცევა.





ნინო ქადაგიძე ცერცვისტოლა ამბები

ომი და ჩვენი კაკლები

ბოდბისხევიდან ძმაკაცს გამოუტანებია კაკლის ნერგები პაპაჩემისთვის. ერთი ეზოს დასაწყისში — ჭიშკრიდან ხელმარჯვნივ, საძროხის გვერდით დაურგავს; მეორე — ცოტა ზევით, ეზოს შუაში; მესამე კი სახლის უკან — ბაღის ბოლოში. ისე უვლიდა, ისე უვლიდა, პაპაჩემი სამი კაკლის ხეს თურმე, როგორც სამ ბიჭს — ბებიაჩემი, ცივ ნიაგს არ აკარებდაო. იდგნენ მდუმარედ და იზრდებოდნენ შვილებთან ერთად. თუმცა პაპაჩემი ამბობდა, რომ საუბრობენო. საუბრობენ არა და ისა — შევყურებდით უზარმაზარ კაკლის ხეებს და ვიხოცებოდით სიცლით ბავშვები. ჩვენთან ერთად ჩვენს ორ სიტყვაძუნს ბიძასაც ჩუმ-ჩუმად ელიმებოდა.

სოფელში ყოველ ჩასვლაზე თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ კაკლები მართლაც კაცებივით იდგნენ, ვარჯიანი, სქელქორორა, სქელქედიანი ბიჭები და ცასა სწვდებოდნენ თავიანთი მდუმარებით. ეზოს შუაში რომ კაკალი იდგა, ერთ ზაფხულსაც შვილიშვილებმა ვთხოვეთ პაპაჩემს, საქანელა ჩამოგვიბრა, პაპო. იუარა, შაფრანი ვაშლის ხეზე ჩამოგვიკიდა, ოღონდაც აქ არაო, როგორ ვაკადრებ კაკალსაო, რა ვაუკაცის საქმეა საქანელის ფრიალი. არა და შენმა მზემ, ომში წავივლი — სიცლით გაემზადა ორი კუბო შვილებისათვის. მძიმე იქნება, ნეღლი ფიცარია და არ ივარგებსო — ვერაფერი შეასმინეს გახევებულს, გამტკნარებულს, მიტკლისა და მიწიფერასა.

ომის შემდეგ, სამი წლის თავზე, ისევ თავზარი დაგვეცა. იმ ღამით ისეთი ჭექა-ქუხილი ატყდა, ისეთი თქუნი წამოვიდა, ისე ანათებდა ცა... პაპაჩემს დავუშალეთ, არ გახვიდე იქ, მაგრამ ძლიერ გრუხუნზე გავარდა გარეთ და, არიქა, ცეცხლი... ეზოს დასაწყისში, საძროხის გვერდით მესამე კაკლის ხეს დაეცა მეხი... ძლიერ ჩავეაქრეთ, რომ საძროხეს არ გადასდებოდა.

ახლა ვდაგავარ ჭიშკართან, გავყურებ ეზოს და ვფიქრობ, ის ნამეხარი, გადამწვარი კაკლის ხე უთუოდ პაპაჩემია, შუა ეზოსა და სახლს უკან გადაჭრილი კაკლის ხის კუნძები კი — აგვისტოს ომში დაღუპული ჩემი ორი ბიძის საფლავი. ამ გაზაფხ-

ულზე უნდა ვთხოვო, წავიდეს მამაჩემი პაპაჩემის მეგობართან ბოდბისხევი, ისევ ჩამოიტანოს სამი კი არა, ხუთი, ექვსი, შვიდი კაკლის ნერგი და დარგას ეზოში, მწკრივად, ჯარისკაცებად... აბა, სქელქორორა, სქელქედიანი, ვარჯიანი, კაკალა ბიჭების გარეშე ხომ არ დავრჩებით, რომლებიც ცასა სწვდებიან თავიანთი მდუმარებით.

ნარილი ღვთისმშობელს

გამარჯობა, ბრონლისფერო ღვთისმშობელო. წერილს გიგზავნი ჩიტის-გულისხელა საქართველოდან. აბა, მელოცვის შნო ვინ მომცა და ისევ ასე, წერილობითი, საუბარი ვარჩიე. წერილს ვატან ჩვენი ეზოს მტრედს, მარუსა ბაბოს სახლის სხვენზე რომ ღულუნებს ხოლმე. გეცოდინება, მარუსასაც მოუკლეს შვილი, ოღონდ ჯვარზე კი არა — აფხაზეთის ომში. შვილის დასაფლავებიდან მეორე მოცე დღეს ერთი თეთრი მტრედი მოფრინდა და მის სხვენზე დაბინავდა. დიდი-ლაობით მოაჯირზე ჩამოუსკუპდება ხოლმე და ის ხორბალს აჭმევს იმ ჯამიდან, მიცვალეხულს რომ ედგა თავით — შემოუნახავს, საფლავე არ მოუპნევია, თეთრ მტრედს უზოგავს. მტრედის მოსვლის შემდეგ მარუსა ბაბომაც გაიხადა შავი პერანგი, აღარა ვარო ჭირის პატრონი, თეთრი ხილაბანდი წაიკრა და ასე დადის.

ხვალ მარიამობაა, როგორც მარუსა ბაბო იძახის — მარიამულა. გამოაცხობს ახლა „ბურჟოიკა“ ნამცხვარს, ბაზარში იყიდის ბრიალა მაცვალს, თითისხელა ყურძენს, გადამსკვდარ ლეღებს, იქნება შინდაც, ტარხუნის ლიმონათს, გაშლის სუფრას, ანთებს საკმეველსა და სანთელს, კედლიდან ჩამოხსნის თავისი შვილის სურათსა და შენს ხატს, აი, ძონისფერი ქლამინდი რომ გახურავს მხრებზე. მეც დამიძახებს, თავჩალუნული ვზივარ ხოლმე სუფრასთან, ფოტოზე მისი შვილის თვალებიდან თალხისფერ მზერას ვიჭერ, მაგრამ შენ თვალს ვერ გისწორებ. ასე გონია ხოლმე, შენი ღალანა წითელი სამოსი ქრისტეს სისხლია, მხოლოდ ამ დღეს, ოცდარვა აგვისტოს ფეხშიშველა გადაივლი საღამოს ჩამავალ მზეზე და მზე განითლდება, ღრუბლებიცა და ამ სინითლეს აირეკლავს მინაზე წყალი. ჰო, გადავლაზე გამახსენდა, ღვთისმშობელო, აუცილებლად გექნებოდა გამოძეული კაბის კალთაზე ჩემი ჩიტისგულისხელა საქართველო, ეტყობა, ისევ ჩვენი ცოდვების ეკალ-

ღიჭოზე წამოგედო კაბის კალთა და გამოიხა აფხაზეთი და სამაჩაბლო, იქეთაც ტაო, ცოტაც ჰერეთი... ჩვენ დედისმაგინებელთა, ჩვენ ჩვილების მუცელში მკვლელთა, ჩვენ გულღრძობთა, ჩვენ შურიანთა, ჩვენ ძმის მკვლელთა, ჩვენ სიგარეტის მწვევლთა, ჩვენ ნარკოტიკებში შვილების მხოცველთა... მაგრამ შიგადაშიგა ვნანობთ ხოლმე, როგორც შეგვიძლია. არ გვიწყინო, პირისფერო, შეუწველო, ტკბილო ღვთისმშობელო, როგორც შეგვიძლია, ისე გვიყვარხარ, განა, არა?

მიძინებულო ღვთისმშობელო, ბევრს არ მოგაცდენ, დღეს კი არა გცალია, მაგრამ როცა მოიცლი, დაძინდილი საქართველო ამოიკემსე, განახლებ, შენი კაბის კალთაზევე გაამთლიანე.

მე და მარუსა ბაბო გვიანობამდე ვისხდებით ახლა მაგიდასთან, ის გაიხსენებს თავისი შვილის ბავშვობის ამბებს, ალბათ მესაყდ, მეც მესაყდ მოვუსმენ, რომ ჯიუტი იყო, კერპო... ჩაიწვება საკმევლის ნატეხივით დღევანდელი დღეც და შენს სულს გაზაფხულზე ჯავრცხილებიდან ამოპარული იის სუნი აუვა, საკმევლის კვამლივით აინეც ცაში.

ნახვამდის, ჩემო ბრონლისფერო ღვთისმშობელო. წერილს გიგზავნი ჩიტის-გულისხელა საქართველოდან. აბა, მელოცვის შნო ვინ მომცა და ისევ ასე, წერილობითი, საუბარი ვარჩიე. წერილს ვატან ჩვენი ეზოს მტრედს, მარუსა ბაბოს სახლის სხვენზე რომ ღულუნებს ხოლმე. გეცოდინება...

სიყვარული

ჩრჩილისგან შემოჭმული მისი პიჯაკის უბეში რას არ ნახავდით: ხის გამხმარ ფოთოლს, ჭრელ კენჭს, პეპლის ვაცრეცილ ფრთას, ძონისფერი ღარნაკის ნატეხს, ინდაურის ან ბატის განკეპილ ბუმბულს, ჩამომტვრეულ ოქროს კბილს, ქალაღდის ნაგლეჯს, სადაც რაღაც ეწერა და არავის აკითხებდა, ჯერ არაო... სულ მოხრილი, მხრების თრთოლვით დადიოდა, გეგონება, კეთილნება. თავისივე მარცხენა ხელი ისე ჰქონდა მიკრული მკერდზე და მარჯვენა ხელითა ფარავდა, იცოვდი, თითო ბავშვი თუ ჰყავს გადაწვენილი მკლავზეო. მერე წვერით გაბურძენილ-გაჩეჩილ ლოყას თავისსავე ხელს მიადებდა და მიეფერებოდა — შენი ჭირიმე, ჩემო გაუხარელო, ჩემო საბრალოო... ამ სიტყვებსაც ისე ამბობდა, გულის სისხლს ატანდა პირიდან.

რა დაგაქვსო, რომ ჰკითხავდით — სიყვარული, გიპასუხებდაო. ერთი ნახვით შეჰყვარებია. ღრუბლის მხრებზე დგომას ჰგავდა მათი შეხვედრა. მთის მწვერვალზე გულის ავარდნას, აქანებას, აქოშინებას. თითქოს იყვნენ და არც იყვნენ... უყურებდა ბიჭი და ნანვიმარი გუბებზე ემღვრებოდა თვალები. უყურებდა გოგო და ნამაყვლარივით ახმებოდა ბიჭი ზედ პირსახეზე. იდგნენ ჩანაც-რილები, ნადუმარები.

რა შავწყალი გადაგესხათო? რა აქვარმა დაგქროლათო? რომელმა შეშლილმა ვარსკვლავმა შეგახვედრათო?

არაო — იუარეს გოგოს მშობლებმა. უცხო საქმრო გამოუძებნეს, უცხო მინისა, უცხოპაერისა. გადმოიღეს ჭრელი ნარმა, ჩიგორგალი, ზამბაკები-სადაფქარები...

წყალთალია ცრემლებს ღვრიდნენ თურმე ორთავე. გადაწყვიტეს, ნიშნობის დღეს უნდა გაპარულიყვნენ.

გათენდა და თვალსიერის საყურებლად დადგა მზეც ცაზე.

მოირთო გოგო ჩალამბარაყ-ვაილებით, ჩალამძივით, ჩალაყვავილით, დაიჭირა აბილილები. მოვიდა საქმრო ღირსაცნობი, ღირსახსენებელი, უცხო. რალაცნაირად გამოიპარა გოგო სახლიდან, ჩავიდა მდინარესთან დათქმულ ადგილზე და სად არის ბიჭი? დადგა თავთხელთან, ფიქრობს, წყალს გაჰყვებს თუ იმ უცხო საქმროს?! გაიბზარა გოგო, ფხოქნა მინა და ბალახი. აიღუფხა ცრემლი და სისხლი. ჩიტვაშლებმა თავი დალუნეს. ადგა და გაჰყვა შორიდან მოსულ საქმროს შორს, სხვა რა გზა იყო...

გავიდა წლები. ამბობენ, იმ გოგომ მაინც ვერ გაიხარა, მშობიარობას გადაჰყვაო. გაიგო ეს ამბავი თუ არა, იქცა ეს ბეჩავ-ტერეალიც ტინად, ქვაგრილად. აღარც გარეთ გამოდიოდა, აღარც ხმას სცემდა არავის. აღარც თავის თავს პატრონობდა, გახდა, ჩამოხმმა, ჩამოტილდა. ჩრჩილისგან შემოჭმული მისი პიჯაკის უბეში რას არ ნახავდით: ხის გამხმარ ფოთოლს, ჭრელ კენჭს, პეპლის ვაცრეცილ ფრთას, ძონისფერი ღარნაკის ნატეხს, ინდაურის ან ბატის განკეპილ ბუმბულს, ჩამომტვრეულ ოქროს კბილს და როცა მკვდარი იპოვეს და პირქვედამხოვილი გადმოიბრუნეს, ერთი მუჭა მინაც გადმოიპნა გულის უბიდან. იმ დაკუჭულ ქალაღდზე კი ანდერძად ეწერა — ადამიანებო, ერთი სურვილი შემისრულეთ და სიკვდილის შემდეგ ჩემს საფლავეზე მოაპნით ეს ერთი მუჭა მინა, რომელიც იმ გოგოს საფლავიდან წამოვიღე და წლები გულით ვატარებო.

მიწასთან ერთად ყველაფერიც ჩაატანეს, ხის გამხმარი ფოთოლიცა და ჭრელი კენჭებიც... აი, სიყვარულს კი ალბათ თვითონ წაიღებდა თან.

მკარავი ნახვე

ღვთის მზერასავით ედგა მზე თავზე და დაჰნათოდა. მაღალი კორპუსის პირველ სართულზე ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა. ფანჯრების წინ თავისი წილი პატარა ეზო ხის ღობით შემოეკრა, ნაცარბუმბულა ბელურებით ავესო. ფანჯრის რაფა სავეს ჰქონდა ხოლმე პურის ნამცეცებით, ხორბლის მარცვლებით, ხელიდან აცლილი დასორსოლავებული ცომით, ქერით ან კობოტონითაც. გამოიხედავდა და მოაპნევდა საკენკს, გაიხედავდა და მოაპნევდა. ჭიკჭიკებდნენ, ლულუნებდნენ და ნივნივებდნენ მერე მისი ფანჯრების წინ მტრედები და ჩიტები. ეგ ჯერ კიდევ რა იყო?

კაბის ზემოდან წინსაფრები ეკეთა სხვადასხვანაირი. ერთ წინსაფარს კოპლებიანი აბრეშუმის დიდი ჯიბე ეკერა, მეორეს — ჩითის, მესამეს — ზამბახის... სულ ჭრელ-ჭრელები, მორჩენილი ქსოვილები-სგან. მკერავი იყო და დაჭრილ ნაჭრებს არ ყრიდა, მერე იკერავდა ან რთავდა ხან რასა და ხან — რას. პატარა გოგოების პლასტმასის თოჯინების ტანსაცმელი ხომ მისი შეკერილი იყო და იყო... მიადგებოდნენ ეზოს მატრაკეცები თხოვნი და ისიც უკერავდა ხან საბანს, ხან კაბას, ხან თავსაფარს, ხან ნაჭრის ჩანთას, მოსავდა მათ თოჯინებსაც ათასნაირად. რვეულის ყდებსაც კი ანებებდნენ ხოლმე მისი ძვირფასი ხავერდისა თუ ზარბაზის მატერიების დან-



არჩენებს, ალამაზებდნენ და წერდნენ შიგნით დღეობებს.

გვიან ლამემდე ენთო ხოლმე პატარა ნათურა საკერავი მანქანის გვერდით და მონოტონურად ისმოდა დაგვირისტიების ან დალაშქვის დროს საკერავი მანქანის რახრახი. უკერავდა საპატარძლოებს საბედნიერო კაბებს, ქერივებს — საჭირისუფლოს, მოსწავლეებს — სასკოლოს, დიასახლისებს — ხალათებს; ავიწროებდა, აფართოებდა, ჩამოშლიდა, ტოტებს შემოჭრიდა-შემოუკეცავდა შარვლებს. მერე ყველა ნაჭერი ნაკუნებად თავ-თავიანთ ამბავს ტოვებდა, ზოგი სასიხარულოს, ზოგი — სამწუხაროს. იყო ამ სიხარულ-წუხილშიც ჩვენი მკერავი, თავისი ეზოს ნაცარბუშბულა ბელურებით სავსე. სულ რიგი ედგა ადამიანებისა და ჩიტების. მაღალი ხეები ხომ სავსე იყო ქსოვილებითა და ძაფებით, სადაფის ღილებით, მარგალიტის ქინძისთავებით, მაგრამ მასთან პერიოდულად ერთი ქურთი ბაზაზი მოდიოდა ხოლმე — ფართლელისა და საქსოვ-საკერავი ძაფების მოვაჭრე. ფერად-ფერადი ძაფებითა და ბანრებით ჰქონდა ხოლმე ჩანთა და კისერი სავსე. აზიზა ერქვა, მაგრამ აზიზაც ისეთივე უცხო სიტყვა იყო ბავშვებისთვის, როგორც ბაზაზი, ამიტომ ზოგი აზიზა ძიას ეძახდა, ზოგი — ბაზაზი ძიას. ისიც იცინოდა და პასუხობდა, თავს არ არიდებდა. წლების წინ ბაზაზის ცოლს თავი ჩამოუხრჩია, ერთადერთი ბიჭი ჯარიდან სახლში მკვდარი რომ მოუსვენესო. დასაფლავა ცოლიც, ჩაალაგა ფერადი ძაფები და ბანრები ჩანთაში, ზოგიც ყელზე შეიბა და დააქვს ასე ნაცნობ მკერავებთან კარდაკარო. რატომ მოიქცა ასე, ვინ იცის, ეგ მარტო თავად აზიზამ იცის. ცოლს საფლავზეც ფერადი ბანრები შეაბაო; არადა, ქალს ფერადი, მინდვრის ყვავილები ჰყვარებია... მოკლედ, დარდისაგან გაღუული მთვარის დანარჩენია ეს ჩვენი ბაზაზი. არც ეს ჩვენი მკერავი უნდა იყოს უდარდელი. ერთხელ ბავშვი ჩაიყვანე სკოლის ფორმის ქვედაბოლოს შემოსაქეცად და თავზე ძაფი დაადო, იგი ჩაინიშნა და შემოალაშა ზედ. ძაფი რაღად უნდა თავზე-მეთქი, დეიდა ნავნე, და ბედი შემოეკერებო. სიცილი ძლივს შევიკავე, მაგრამ მაინც გაეუბნე, ჯერ ბედი რა არის და ისიც სკოლის ფორმაზე შემოკერებული-მეთქი. მასეც ნუ იტყვიო, მწარედ ჩაეცინა. საპატარძლო კაბაზე კისერთან აწყვეტილი ღილი რომ ზედ შემომაკერა ბებიაჩემმა, იმიტომაც დავრჩი ბელურებისა და ნაჭრების ამარაო.

ეგ როგორ-მეთქი, და — ავერეო! ნავნეს ბებია ჰყოლია მკერავი, საპატარძლო კაბაზე ბებიას შინ შეუკერია. ზამთრის პირი იყო, თოვლს დავასწროთ ქორწილი და თეთრი კაბით შენ იყავი ზამთრისა და თოვლის მახარობელაო. ზამთრის მახარობლობისა არ ვიცი და საპატარძლო კაბით კი ვხარობდიო, ხან რომელი სარკის წინ ვიდექი, ხან რომელი სარკისაო. ქორწილის წინა ღამეს თოვლს დაუსწრია და მოსულა. ისეთი დიდი თოვლი იყო, ჩაიკეტა გზები, ჩაქრა სინათლეები, ხეებზე ტოტების ჩამოტყვის ხმა ისმოდა ალავო.

მერე-მეთქი? მერე თოვლი მოვიდა და სასიძო აღარო. დავრჩით მე, ბებია, დიდი თოვლი და ერთი მუჭა ბელურები ერთადო.

ალარც გაგიკითხია, ალარც გაგიკვეცია, რა დაემართა იმ კაცს, რატომ არ მოვიდა-მეთქი?

არაო... არ მოვიდა და მორჩაო! დიდი ზედ არ უნდა შემოეკერებინა ბებიაჩემს და იმიტომო.

უჰ, კარგი რა, ნავნე დეიდა-მეთქი, კარგი რა! ეგ ხომ ორივემ ვიცით, რომ ტყუილია-მეთქი.

რაც არის, ეგ არისო. ამ ორივემ წლის წინ ერთ ბელურა გოგოს შევუკერე საპატარძლო კაბა და გავიგე, იმისი შვილი ყოფილაო. აი, იმ საპატარძლო კაბის ნაჭერიო, აი, აზიზას ქრელი ძაფების ასხმულაო, აი, იმ ქირისუფლის ძაფების ნაკუნო, აი, ჩვენი მეზობლის ბიჭის შემოჭრილი შარვლის ტოტი, ავარით რომ დაიღუპაო, აი, ამის ესაო, აი, იმის ისაო... ნაჭრები, ნაჭრები, ნაჭრები, ნაირნაირები — თეთრები, წითლები, მწვანეები, შავები...

გაიტანა ეზოში და დიდი ცეცხლი ააბურბურა.

აბა, ეს ფერადი წინსაფრები-მეთქი და, არაო, ეგ საბედნიერო ამბებიდან შემორ-

ჩენილი ნაჭრებია, მაგითა ვკერავ წინსაფრებს, დიდ ჯიბეებს ვაკერებ და შიგ ვანყობ კარგ ამბებს გულის საოხადო.

ნეტა ნატვრის ხეზე როგორი ამბების ნარჩენები ჰქონდა ხოლმე ფერად-ფერად ნაჭრებად, სურვილებს რომ ასრულებს, ან ვერ ასრულებს, გახედვად და, ერთი შეხედვით, ლამაზია, გახედვად და დაძინძილი ხე რალაცნაირად შეგზარავს. მკერავი ნავნე-სავით ალბათ არ არჩევს საღებოს და სამწუხარო ამბების მონარჩენებს და იმიტომ.

სამნი

ქალაქში ორი იანვრის თოვლიანი დღეა გათენდა. ასფალტებსა და ქვაფენილებზეც კი კარგა ბარაქიანად იდო თოვლი. მანქანები კანტაკუნტად მოძრაობდა. თითქოს ქალაქმა ყოველდღიური სუნთქვა შეწყვიტა და ზამთრის გაბზულ სითეთრეში შეიყუწა. ახალი წელი კი ჯერ კიდევ შამპანურის ფუფუნებას და ნუგბარით სავსე სუფრებთან მოკალათებულყო და სადღეგრძელოებითა და კეთილი სურვილებით განებივრებული დათოვლილ ნამწამებს აფახურებდა.

შემთხვევით თუ გადაწყდებოდათ მძიმე ნაბიჯით მოსიარულე ადამიანს ქუჩაში, ისიც კანფეტით სავსე ჯიბეს ძლივს მიათრევდა; შემოგხედავდა, გაგიღიმებდა, ასე ტკბილად დამიბერდითო და სამ-ოთხ კანფეტს ჯიბიდან შიგ გათოშო ხელებში ჩაგიკუჭავდა.

ზოგიერთ ქუჩაზე კაციშვილის ჭაჭანებაც არ იყო — არც იმ ქუჩაზე, რომელზეც ახლა უნდა გიამბოთ. დეიდასთან წინა ღამით სტუმრად მისულმა პატარა გოგონამ იქვე ახლომხლო სეირნობის ნებართვა აიღო, რამდენიმე შოკოლადი ჩაიდო ხელთათმანებში ყოველი შემთხვევისათვის, ასევე გაშლილი სუფრიდან ერთი ნაჭერი პური აიღო, ხელსახოცში გადაახვია და კაშნე მოხვეულ-ჩაფუთული გავიდა გარეთ. ეზოსა და რკინის შავად შეღებულ ალაყაფის კარს გასცდა თუ არა, ქუჩის ბოლოსკენ გავლა გადაწყვიტა. ტროტუარებს არ აჩნდა ნაკვალევი, თოვლი კოჭებამდე სწვდებოდა, ჭადარნალსა თუ გზისპირას ჩამწკრივებულ ჭადრების კორმოს მსხვილად დათოვლილი ტოტები ძირს დაეხრათ და იდგნენ თავიანთ ზამთრის სიზმრებში კენწეროდ. თოვლქვეშ ყველაფერი საუცხოო სანახავი იყო — ქუჩაც, ხეც, ადამიანიცა და გზაც. სანვიმურებსა და აივნებზე ლოლუები ეკიდა და ყინვა ისე გასჯდომოდათ ძვალრბილში, რომ ჩამომსხვრევას არცა ფიქრობდნენ. თითქოს რალაც იდუმალს მოიცვა ყველაფერი. ქუჩის ბოლოში პატ-

არა ლურჯი მონასტერი იდგა, იმის იქით გზა აღარ მიდიოდა. ლურჯ მონასტერს იმიტომ ეძახდნენ, რომ ლურჯი გუმბათი ჰქონდა, მაგრამ ახლა ძნელად თუ გაარჩევდით გუმბათიდანაც ამოვარდნილ სილურჯებს, ისიც კარგა სქელ ფენად დაეფარა თოვლს. გოგონა მონასტრის ეზოში შეჩერდა, ასე აღრიანად და ასეთ თეთრ დილას ალბათ არავინ გააღებდა ტაძარსო, გაიფიქრა, მაგრამ შესასვლელ კარს ოდნავ მიანვა თუ არა, კარიც შეიხსნა. კარიდან მარჯვენა კუთხეში თეთრთავსაფრიანი მოხუცი მესანთლე იჯდა და ელექტრო გამათბობლის სპირალს მიმტერებელი გამოერკვა. გოგონას გაულიმა და სანთელი მიანოდა. გოგონამ სანაცვლოდ ხელთათმანებში შეკუჭული, ოდნავ შერბილებული შოკოლადები დაუნყო მაგიდაზე. გოგონას სანთელი არც აუნთია, უხმოდ ჩამოსკუბდა იქვე მდგარ სკამზე, მესანთლის გვერდით, და ასე ისხდნენ კარგა ხანს უხმოდ. ვინ იცის, გულში ფიქრობდა მესანთლე, ვინ გამოუშვა ორი იანვრის თოვლიანი დღეა გოგონა მარტო ქუჩაში? ვინ იცის, გოგონაც გულში ფიქრობდა, რამ გააღებინა ამ თეთრ და სუსხიან დილას მოხუცი მესანთლეს ტაძარი? კიდევ დიდხანს ისხდებოდნენ ჩაფიქრებულები, რომ არა თეთრი ღულუნა მტრედი, რომელიც გუმბათის თალიდან ჩამოფრინდა და მათ წინ გაიარა-გამოიარა. გოგონამ ახლა სახლიდან ნამოყოლებული ერთი ნაჭერი პური ამოაძვრინა პალტოს ჯიბიდან და მტრედს ფეხებთან დაუფშვნა. მტრედს არც უფიქრია აფრენა, ხალხის სიმრავლეს ნაჩვენებად მორჩილად დაიწყო ნამცეცხვის კენკვა.

ქალაქში არავინ იცოდა, იმ წამს რა ლამაზი სანახავი იყო თეთრთავსიანი მოხუცი მესანთლე, ხელთათმანამძერალო პატარა გოგონა და მათ წინ მოლულუნე მტრედი, თორემ ალბათ ყველა მიატოვებდა თავიანთ სიხარულითა და სტუმრებით აგუზგუზებულ საახალწლოდ მორთულ სახლებს და მათ სანახავად მივიდოდნენ.

სამწუხაროდ, ასეთ სურათებს ვერა ვხედავთ ხოლმე ადამიანები, ამას მხოლოდ ღმერთი ხედავს და ხარობს.

პაპა, ბიჭი, ხე და ჯარისკაცი

თურმე ხეებმაც იციან სიყვარული. თანაც ის ადამიანი უყვარდებოდა თურმე, ვინც ესაუბრება, მერე ხეები მის ხმასაც სცნობენ და ხელის სითბოსაც.

ახლა სწორედ ხეებსა და ბიჭზე უნდა გიამბოთ, მათ სიყვარულზე, მათ სიკეთეზე. ბიჭი იქნებოდა შვიდი-რვა წლისა, მისი ხეები კიდევ — დიდი, ვეებერთელა.



დამთავრდებოდა თუ არა სკოლა და დაიწყებოდა საზაფხულო არდადეგები, ბიჭი ყელგამონეული ეხვეწებოდა მშობლებს, სოფელში წაეყვანათ ბებია და პაპასთან. ბიჭს ბებია და პაპა ჰყავდა შაქრტკბილები, თეთრთამიანები, მოსიყვარულები, ბიჭის ჭკუაზე მოსიარულები. რასაც ბიჭი იტყოდა, ბებია თუ ცოტას შეიცხადებდა, უიმე, შვილო, ეს რამ მოგაფიქრაო, პაპა მაშინვე აუსრულებდა, ცუდი რა არის მის ნატვრაში, დედაკაცო, ნათელი ბიჭია და უნდა გავალალო, ყველა სურვილი უნდა შევესრულო, განა, უნდა ჩავწყვიტო პატარა გული, რაო?! ასე გადიოდა ბედნიერი დღეები ბებია-პაპასთან.

პაპას ხეხილის ბაღი ჰქონდა. სანამ ბიჭი დაიბადებოდა, მანამდე გაუშენებია, ძეძვის ბუჩქის ღობე შემოუვლია თავისსავე ძალიან წვრილი, თაფლოვანი ყვავილებითა და კარიც შეუბია. დაურგავს მერე ვაშლ-აჭამები, ალუბლები, ქლიავ-ალი-ბუხრები, ჭერამჭურამები, მსხალმ-რგვალეები, გარგარები, ჭანჭურები და კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი ძირი და რა ჯიშის ხეები... დადგებოდა თუ არა ზაფხული, ხეხილნარს სიმწიფის გუზგუზი გაჰქონდა ყვითლად, წითლად, ალისფრად...

პაპა ხშირად ბაღში იყო და ფუსფუსებდა, ხან მიწას გამოუთხონიდა, ხან ხეების ტანს შენამლავდა, მავნებლებმა არ დაზიანოსო, ხანა რწყავდა, თქვენ წარმოიდგინეთ და, ხანდახან უმძღვროდა ხოლმე კიდევ. მუშაობდა ბერიკაცი ხეების ძირში და ღილინებდა ტკბილად, ტკბილად, ისეთი ხმა ამოსდიოდა, გეგონება, თაფლაკვერები სცივია პირიდანო. პაპა ასწავლიდა ბიჭს, თუ როგორ უნდა გამოეთხონა მიწა, როდის უნდა მოერწყა, შეენამლა და როგორ უნდა ემღერა კიდევ. აბა, შვილო, ამყვიო და გუფუხუნდენ: „ივლი-დივლი, საყვარელო, და, ჩემო ლი-ახვოოო, ჰეე...“ ბიჭს უყვარდა პაპასთან ყოფნა, პაპასაც უხაროდა და მეტი ხალისითა შრომობდა, ახლა ვიშრომით და ზამთარი დაგვიტკებოდა. ხეებიც ბედნიერად გრძობდნენ თავს კეთილი პაპა-შვილიშვილის ხელში. იზრდებოდნენ, იზარჯებოდნენ, ბოძკინტებს იმტრევდნენ ნაყოფით. ბიჭიც მშვენდებოდა, ხმა უკოკლოზინდებოდა, მაჯა და ქედი უმსხვილდებოდა. სამაგიეროდ, პაპა კიდევ უფრო ბერდებოდა, ნელში იხრებოდა და უცვდებოდა სიცოცხლის გზა-შარა.

ზამთრის ერთ ცივ და სუსხიან დღეს ბიჭის პაპა გარდაიცვალა. წესია ასეთი, გენაცვალეო — უთხრა ბებია, — ჩვენ წარმავალები ვართ, შენ — მომავალი, გული ძალიან არ იტყინო, არ დაიადრო, არ დაინაღვლო, შენ გამიმრავლად და გაიხარე ჩვენი ხეხილის ბაღითაო. აბა, ბიჭი როგორ არ ატირდებოდა, მაგრამ ტირილით რას გახდებოდა. გადაწყვიტა, უფრო ხშირად ჩასულიყო სოფელში, პაპას ხეხილის ბაღისთვის მიეხედა, ხეებს გულში ჩახუტებოდა, ზამთრობით პაპის ნაქონი ხალათიც კი მოეხვია ხოლმე ზოგიერთი ხისთვის დამზრალ ტოტებზე.

ასე გადიოდა დრო. ის სოფელი, სადაც ბიჭი ჩადიოდა, საზღვრისპირა სოფელი იყო და მავთულხლართი თანდათან წინ მოცოცავდა. ერთ ზაფხულსაც, როდესაც ბიჭი სოფელში ჩავიდა, თავიანთი ხეხილის ბაღის ღობე მორღვეული დაუხვდა, წითელი შაფრანი კი — მავთულხლართის იქით. პაპა რომ გარდაიცვალა, პირველად მაშინ შეეკუმშა რალაცა გულში ბიჭს და საოცრად ეტკინა, მეორედ — ახლა.

ბიჭი მავთულხლართთან მივიდა და დაიძახა — სალდაააატ, სალდაააატ, ეტა მაიო დერევეო, ეტა მაია ზემლიააააო...

რუსმა ჯარისკაცმა მოიხედა და ავტომატის ჯერი დააცალა ხეს. წიოდნენ ტყვიები და წითელი ნაფლეთები სცივოდა ხეს ტანიდან. გამწარდა ბიჭი, არ იცოდა, რა ექნა, მავთულხლართს მკერდით აეკრა, უმწოებისგან ატირდა და მუჭისსისხო ცრემლები ნამოუვიდა ლოყებზე, გულისპირზე. სადაც კი ცრემლი ეცემოდა, იქ მავთულხლართი დნებოდა. არ შეეეშინდეს, შვილო — თითქოს უგურგურებდა პაპა.

ასე გაგრძელდა რამდენიმე წამს. ხეს ტანზე ნატყვიარი ეტყობოდა, ბიჭის სახეს — ცრემლების ღარი, ჰაერს — საიქიოდან მობერილი პაპის ხმა; აღარსად იყო მავთულხლართი და ჯარისკაცი!



მწერალი

ინა არჩუაშვილი

ინა არჩუაშვილი ყვარელში დაიბადა, სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1995 წლიდან მუშაობდა ჟურნალ-გაზეთებში „კავკასიონი“, „ცხელი შოკოლადი“, „არილი“. 1999-2002 წლებში თბილისის მე-6 საავტორო გიმნაზიაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. 2003-ში გიმნაზიის მოსწავლეებთან ერთად გამოცა საბავშვო კრებული „ლია გაკვეთილი“. 2008 წლიდან კი მკითხველმა ის, როგორც მწერალი, „ბილიკით“ გაიცნო. იმ დროიდან მოყოლებული, მისი მოთხრობები იბეჭდება ქართულ ლიტერატურულ პერიოდიკაში — „ლიტერატურული პალიტრა“, „ლიტერატურა“ (ცხელი შოკოლადის დამატება), „ქართულ მწერლობა“, „ჩვენი მწერლობა“, „ლიტერატურული გაზეთი“. 2010 წელს გამომცემლობა „საარმა“ მისი მოთხრობების პირველი კრებული „ინო“ დაბეჭდა. 2014-ში კი გამომცემლობა „ინტელექტ-მა“ საზოგადოებას ინას ნოველების მეორე კრებული „მას ერქვა ვატანაბე“ შესთავაზა.

ინა არჩუაშვილი ლიტერატურული კონკურსების — „პენმარათონი“ 2010-ის III პრემიისა და რეზონანსის სპეციალური პრიზის მფლობელია. 2011 წელს ლიტერატურული პრემია „საბას“ ნომინანტი იყო. 2013-ის ივნისში კი ლიტვაში მწერალთა და მთარგმნელთა საერთაშორისო ლიტერატურულ სემინარზე მიიწვიეს.

ინასთან ინტერვიუ „შორიდან“ ჩავენერე — დეკემბრის დასაწყისში კითხვები გადავუგზავნე და პასუხები მომწერა. იმ დღეს შინ გვიან დაბრუნებულმა მოვახერხე წამეკითხა მისი გზავნილი და მაშინვე თვალწინ დამიდგა ახალგაზრდა ქალი, რომელიც ხშირად მინახავს „მწერალთა სახლში“ ამა თუ იმ ავტორის პრეზენტაციაზე; ის ხან, როგორც ნიგნის რედაქტორი, ხანადგენდა ახალ გამოცემას, ხანაც, როგორც მწერლის მეგობარი და მისი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ტექსტების ერთ-ერთი პირველი წამკითხველი და შემფასებელი თავის შთაბეჭდილებებზე ესაუბრებოდა აუდიტორიას, და ყოველთვის, როცა მოვუსმინე, ისეთი ბუნებრივი და გულწრფელი იყო, როგორც ახლა, ამ ინტერვიუშია. აქ წერს, არა მგონია, ჩემი საჯარო და „ხშირი“ გამოსვლებით თავი დამემახსოვრებინა ვინმესთვისო. მე კი დამამახსოვრდა.

— ბავშვობიდან წერსო, თქვენზე ვერ ვიტყვი, თუმცა არც ის ვიცი, რამდენად სწორია განსაზღვრება, რომ წერა გვიან დაიწყო. ბოლოს და ბოლოს, ვინ იცის, როდისაა გვიანი ან ნაადრევი წერისთვის?

— სანამ კითხვებზე გაგვიმდებოდა პასუხს, გულწრფელად გეტყვით, რომ მხოლოდ სხვისი ინტერვიუების ნაკითხვა მიყვარს. უზარმაზარი პასუხისმგებლობაა, როდესაც მკითხველს შენი გადმოსახედიდან ელაპარაკები, შენზე უყვები. თანაც მგონია, რომ ინტერვიუს დროს შეუძლებელია, იყო ის, ვინც სინამდვილეში ხარ. შენი ლაპარაკი ამ დროს სპონტანურია და იმ კონკრეტული მომენტის განწყობით არის განპირობებული, რომელიც იმყოფები, ცოტა საკუთარი თავის ხიბლშიც ვარდები და, სადღაც, გულისგულში, მაინც გეფიქრება, რომ რადგან კითხვით მოგმართეს, რაღაცას წარმოადგენ. ამიტომ, გინდა ეს თუ არა, ცდილობ, ზედმეტად ჭკვიანი გამოჩნდე. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ ინტერვიუ რესპონდენტისთვის ერთგვარი საცდუნებელია, რომლის დროსაც შეიძლება, უნებლიეთ ასცდეს საკუთარ თავს. მე კი მემიწინა ამისი.

ახლარაც შეეხება კონკრეტულად თქვენს კითხვას: დიხ, ბავშვობიდან ვწერდი (ესეც რა ამბიციური ნათქვამია!), მაგრამ მაშინ ამას ჩუმად ვაკეთებდი, მხოლოდ ჩემთვის. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი სურვილით დავიწყებ მოთხრობების გამოქვეყნება, ზოგჯერ მაინც ძალიან მინდა, ისევე იყოს ყველაფერი, როგორც სიმანვილეში — ისევე ბალიშის ქვეშ, ან კარადაში, თეთრეულის თაროებზე ვმალავდე ნაწერებს.

წერისთვის ჩემი დრო ალბათ მაშინ დადგა, როცა პირველი მოთხრობა დავბეჭდე — „ლიტერატურულ პალიტრაში“ გამოქვეყნდა, „ბილიკი“ ერქვა — თუმცა, მაინც დამჭირდა მეგობრების გამხსნელება. ახალგაზრდა კი ნამდვილად აღარ მეთქმოდა. ზოგადად, წერასთან და ლიტერატურასთან კავშირი, ალბათ, ბედისწერაცაა და შენი თავის ძიების გზაზე სიარულიცაა. ჩემთვის კი, ის უფრო გადარჩენის საშუალება აღმოჩნდა. ამაზე ჩემზე უკეთ ჰერტა მიულერმა თქვა და მე მხოლოდ მის სიტყვებს გავიმეორებ: „მე ხომ ლიტერატურის შექმნა არ მდომებია, უბრალოდ, საყრდენს ვეძებდი“.

— თქვენ ბავშვობა ყვარელში გაატარეთ. მინდა, გთხვოთ, გაისხნოთ ბავშვობა, იქაური წლები, ის გარემო, რომელშიც იზრდებოდით. და საინტერესოა, რამდენად ცოცხალია ის გარემო თქვენს მოთხრობებში? რამდენად განსაზღვრა იქაურობამ თქვენი ლიტერატურული გზა, ჯერ ფილოლოგობა და შემდეგ — მწერლობა?

სათქმელი მუდამ უთქმელი მაქვს



— ლამაზი ქართული სახელი — ძველი გავაზი ერქვა ადრე ჩემს „მთავარ“ სოფელს, სანამ კომუნისტები სახელს შეუცვლიდნენ და ახალსოფელს დაარქმევდნენ. გვქონდა მეორე, უფრო მთიანი სოფელიც — საცხენე. აი, ამ ორ სოფელში გავატარე ბავშვობის წლები და დღემდე ვყვები იქაურ ამბებს — ხან მოთხრობებში, ხანაც სტატუსების სახით, ფეისბუქზე, რომელმაც ემოციების გადმოსაფრქვევად, რომ იტყვიან, სულზე მოგვისწრო „წერას ატანილი“ მომხმარებლებს.

ვერ გეტყვით, რამდენად განსაზღვრა სოფელმა ჩემი „ლიტერატურული გზა“, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ბევრი საინტერესო პერსონაჟი და ამბავი მაჩუქა.

— 1995 წლიდან პერიოდულ გამოცემებთან თანამშრომლობო. მოდი, „კავკასიონი“ დაეინყოს. თუ შეიძლება გაიხსენეთ რედაქცია, იქაურობა, ყოველდღიურობა, სტუმრები, ის ტექსტები, რომლებიც თქვენამდე მოდიოდა. ფაქტობრივად, თქვენ თვალწინ იყო იმ პერიოდის ლიტერატურული ცხოვრება.

— გამომართლა, რომ ჯერ „კავკასიონის“, შემდეგ კი „არილის“ თანამშრომელი

გავხდი სულ პატარა გოგო, რასაც ფილოლოგიის თუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ნებისმიერი სტუდენტი ინატრებდა მაშინ. საწყენია, რომ იმ ადამიანებიდან, რომელთა მოსწავლე და, იმავდროულად, კოლეგაც ვიყავი, დღეს ბევრი ცოცხალი აღარ არის. ისინი, ყველა, ჩემი უახლოესი ადამიანები და მეგობრები იყვნენ. თან მაშინ ურთიერთობებიც განსხვავებული იყო — გაცილებით თბილი, და რაც მთავარია, უფრო ნამდვილი, არავირტუალური. მე, უბრალოდ, გვარ-სახელებს ჩამოგივლით და თავად მიხვდებით, რამხელა საჩუქარი მერგო იქ მუშაობით: თეიმურაზ მალაფერიძე — „არილის“ პირველი რედაქტორი, ვახტანგ როდონაია, რევაზ სირაძე, დავით კახაბერი, ზაზა თვარაძე... არც კი მჯერა, რომ ეს ადამიანები აღარ არიან. დათო კახაბერმა მასწავლა სარედაქციო მუშაობის სპეციფიკა — ტექსტის სწორად წაკითხვა, რედაქტირება...

დამწყები მწერლებისთვის „არილის“ რედაქცია ნამდვილი ოაზისი იყო. აქ ხშირად ნახავდით მაშინ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ზვიად რატიანს, ბუსო ხვედელიძეს, გიორგი ლობჯანიძეს, რატი ამაღლობელს, შოთა იათაშვილს, დათო ბარბაქაძეს, ბექა ქურუსულს, მაია სარიშვილს, ბელა ჩეკურაშვილს, თეონა დოლენჯაშვილს, ნანა ექვთიმიშვილს და დღეს უკვე ცნობილ არაერთ სხვა მწერალს, პოეტსა თუ მთარგმნელს. მთელი ამ წლების განმავლობაში, ჟურნალმაც, ისე როგორც იქ მომუშავე ადამიანებმა, ბევრი განსაცდელი გამოიარა. რამდენჯერმე შეწყდა კიდევ მისი გამოცემა ფინანსური პრობლემების გამო და, არ შემოიძლია, არ აღვნიშნო, რომ მიუხედავად თავისი პოპულარობისა — როგორც ახალგაზრდა, ისე ძველი თაობის ავტორებსა და მკითხველებში — ის დღესაც „ყოფნა-არყოფნის“ ზღვარზეა.

აი, ასეთი იყო „ჩემი ლიტერატურული გარემო“ და, აქედან გამომდინარე, აღარ უნდა იყოს გასაკვირი, რომ წერა დავიწყე. ეს ნახევრად ხუმრობით, რადგან წერის ნიჭი, უპირველესად, მაინც ინდივიდუალური უნარია, რომელიც ან გექვს, ან არა, და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მოახდინოს მასზე გარკვეული გავლენა გარემომ.

— მე-6 გერმანული სკოლაც, ალბათ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ. საბავშვო კრებული „ლია გაკვეთილი“ 2003-ში რომ გამოიცა, მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთობის მხატვრული შედეგი, მთელი თქვენი ურთიერთობების, თქვენი ამბის გამოსახატულება იყო. ასეა?


— მე დღესაც მივტირი სკოლას, მენატრება სასწავლო პროცესი, ბავშვების ანთებული თვალები, ჩემი დირექტორი... დიხ, არ მოგესმათ, არაჩვეულებრივად ამიანს, პოეტს და მეგობარს, ლალი გულისაშვილს ვგულისხმობ. სწორედ მან მომცა ჩემთვის საოცნებო, ასე ვთქვათ, „თავისუფალი ფორმატის“ გაკვეთილების ჩატარების შესაძლებლობა. ვფიქრობ, რომ ის რეფორმები, რომელიც ბოლო დროს სკოლებში მიმდინარეობს, ჩვენ უკვე ორიათასიან წლებში არაფორმალურად, ჩვენივე ძალისხმევით და მონდომებით განვახორციელეთ (აქ კი მორიდების გარეშე შემოიღია ვთქვას, რომ, მართლა ვამაყობ ამით!). გაკვეთილებს არავინ მიკონტროლებდა. ეს იყო დიდი ფუფუნება საიმისოდ, რომ ბავშვებისთვის ჯერ ყველაზე მთავარი, აზროვნება მესწავლებლმა და მერე — საგანი. მეტს აღარ გავაგრძელებ ამ თემაზე ლაპარაკს. უბრალოდ, თუ ნებას დამრთავთ, რამდენიმე ციტატას მოვიყვან ჩემს 8-9 წლის მოსწავლეებთან ერთად შექმნილი ნიგნიდან „ლია გაკვეთილი“, რომლის გარეკანიც ახლა უკვე პროფესიონალი დიზაინერის, დათო მრელაშვილის დახატულია. ისეთი ფრაზებია, დღემდე ვერ ვმალავ ალტაცებია: „ჩემი პაპა თავის პატარა კაბინეტში, პლედში გახვეული, ფანჯარასთან ჰყვება თავისთვის ამბებს და წერს. მას უყვარს მოლურჯ-მოშავო ხალათი და მოკუთხო ფეხსაცმელი. არასოდეს უყვარდა მუსიკები — გინდ გიჟური, გინდ წყნარი. მარტო ესეთი, „ჰოოო“-ს რომ იძახიან“, — ეს ისევე დათოა; ან ნიკა გაგუას ეს ნათქვამი: „მე არ ვიცი, როგორი ადამიანი ვარ, კარგი, ცუდი, ამას უფრო სხვები ამჩნევენ“. ამ „წერილს“ კი მთვარიდან სწერს პატარა ბიჭი, ნიკო ბერიამევილი, დედამინას: „...გამაარჯობა, როგორ ხარ? ხალხს ბევრად კარგ მოსავალს აძლევ? გამონაბოლქვი ხომ არ გაწუხებს? მათხორციელები მრავლებიან თუ გაკლდება? მოსწავლეები კარგად სწავლობენ, ბევრ ჩიტებს ხომ არ ხოცავენ? ხალხს ხელფასებს აძლევენ? კარგად გივლიან? მანდ ცუდი ამინდებია თუ კარგი? წყალს ხომ არ გიჭუჭყიანებენ? ბევრ ნაგავს ხომ არ გაყრიან თავზე?“ ერთიც და დავამთავრებ, თორემ არ მომწყინდება მათზე ლაპარაკი. ნუცა გიორგობიანი: „ბე-ბიაჩემო ფეხი მოიტეხა და სკამით დადის. მე და დედაჩემმა ვერ შევარჩიეთ ფოხს, ხანდახან ჯოხით დადის, ხან — სკამით. მე და დედაჩემი ვეჩხუბებით, დაანებოს სკამს თავი. ის კიდევ გვეუნება: ჯოხით ვერ დამაქვს ვერაფერი და სკამით დამაქვს ყველაფერი“. აი, ასე წერდნენ ისინი ამ ასაკში.

ვნანობ, რომ მალე დავტოვე სკოლა. თუმცა აქვე გეტყვით იმასაც, რომ სკოლის და მასწავლებლობის მონატრების სურვილი ოდნავ გამინელა ბოლო წლებში არაჩვეულებრივ ინტერნეტჟურნალში, mastsavlebeli.ge, წერა, რომელიც რედაქტორიც გახლავართ ასევე გამორჩეული ადამიანი და პოეტი ნატო ინგოროყვა. სწორედ ამ ჟურნალის და მისი რედაქტორის დამსახურებაა, რომ არაერთი მოგონება და ამბავი დავწერე სკოლის ცხოვრებასა და მოსწავლე-მასწავლებლის პრობლემებზე.

— ხშირად მინახავართ ამა თუ იმ ნიგნის პრეზენტაციაზე, როგორც პრეზენტატორი, როგორც ნიგნის რედაქტორი ან უბრალოდ, შემფასებელი. იმის თქმა მინდა, რომ კარგად იცნობთ თანამედროვე პროზას. დღევანდელ ლიტერატურულ პროცესებზე რას იტყვით?

— ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, მართლა შემოიძლია, ვთქვა, რომ არც ისე ცუდად ვიცი თანამედროვე ქართულ მწერლობას. რამდენიმე ნიგნის რედაქტორიც ვარ, ოლონდ, არა მგონია, ჩემი საჯარო და „ხშირი“ გამოსვლებით თავი დამემახსოვრებინა ვინმესთვის. არ მიყვარს საჯაროობა. საქმის კეთებაც ჩუმად მირჩევნია. მხოლოდ აუცილებელი შემთხვევების დროს (უფრო კი იძულებით) ვდგები ხოლმე მიკროფონთან.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ძალიან პოპულარულია ჩვენში „მწერლის ხელობა“ (რაც ცუდი სულაც არ არის) და ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალიც გვყავს, მაინც „მცირედნი არიან რჩეულნი“. თუმცა, მთავარი, ალბათ, მაინც ისაა, რომ ჩვენ-ნაირი პატარა ქვეყანა მუდამ ცდილობს, მსოფლიო ლიტერატურული პროცესების



ავანგარდში იდგეს, რაც წლევანდელმა ფრანკფურტის „ბუხმესემაც“ დაადასტურა.

სხვათა შორის, „არილის“ სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა ინდური წარმოშობის ინგლისურენოვანი ნობელიანტი მწერლის, ვ.ს. ნაიპოლის საინტერესო წერილი „მწერლის არსის შესახებ“, სადაც ის ამბობს, რომ ლიტერატურა ახალგაზრდებისთვის არ არის განკუთვნილი. ცოდნა ან გამოცდილება, რომლის ასახვასაც ცდილობს მწერალი, სოციალური ან ემოციური ხასიათისაა და ამ გამოცდილების დამუშავებას და გააზრებას სჭირდება დრო, მრავალი წელი, სიფრთხილე და ტაქტიკა. ასეთ ფორმულირებას მეც ვეთანხმები. თუმცა, კამათიც შეიძლება.

— ახლა თქვენს ტექსტებზე მელაპარაკეთ. თქვენს პერსონაჟებზე, მათ ცხოვრებებზე. გამოცემული გაქვთ ორი კრებული — „ინა“ და „მას ერქვა ვატანაზე“, რომელიც „ინტელექტმა“ 2014 წელს გამოსცა. თუ განსხვავდება ეს ნიგნები ერთმანეთისგან?

— ამ კითხვაზე მოკლედ გიპასუხებთ ისევე ნობელიანტი და ორგზის ბუკერის პრემიის ლაურეატის, ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მწერლის, ჯონ მაქსველ კუტხეის სიტყვებით (მგონი, ზედმეტად ხშირად ვანუხებ ნობელიანტებს, მაგრამ ეს მხოლოდ მათი ბრალია), რომელსაც პროტავონისტი მაიკლ კეი ამბობს რომანში „მაიკლ კეის ცხოვრება და დროება“: „როგორც უნდა მოეყოლა თავისი ამბავი, რაღაც მთავარი მაინც უთქმელი რჩებოდა“. ზუსტად ამ მდგომარეობაში ვარ ჯერ-ჯერობით მეც — მგონია, რომ მთავარი სათქმელი მუდამ უთქმელი მაქვს. შესაძლოა, ის ვერც ვერასოდეს გამოვიდეს გარეთ, მაგრამ, არ ვიქნები წინააღმდეგი, თუ პირიქით მოხდება. მანამდე კი, ძალიან მინდა, ჯერ ის უცნაური, სირცხვილისა თუ უხერხულობის მაგვარი (რაღაც ერთმანეთში არეული გრძობა) განცდა მოვიშორო, რომელიც საკუთარი ნაწერის და გვარ-სახელის ნიგნში ან ლიტერატურული პერიოდის ფურცლებზე დანახვისას მიჩნდება ხოლმე (არ ვიცი, სხვა ავტორებს თუ ემართებათ მსგავსი რამ. გულწრფელად მაინტერესებს). საერთოდ კი, უმჯობესია, შენს ნაწერებზე სხვამ ილაპარაკოს.

— იმ ათ თანამედროვე ქართველ ავტორს შორის ხართ, რომელთა მოთხრობები გაერთიანდა კრებულში „ნიგნი თბილისზე“, წელს რომ გამოსცა ცნობილი ბრიტანულმა გამომცემლობამ Comma Press-მა.

— ზოგადად, დიდი ილბლით არ გამოვიჩნევი, მაგრამ, აი, თარგმანში კი გამომართლა. არასოდეს მიაქტიურია ჩემი ნაწერების პოპულარიზაციისთვის, არავისთვის მითხოვია მათი თარგმნა და გამოქვეყნება, მიუხედავად იმისა, რომ დღეს მწერალს კარგი „შეფუთვა“ სჭირდება, კარგი ლიტერატურული აგენტები, რეკლამა, პრეზენტაციები... თუმცა, მოხდა ისე, რომ ჩემი მოთხრობები ინგლისურის გარდა, კიდევ რამდენიმე უცხო ენაზე ითარგმნა, მათ შორის, კორეულ ენაზეც, რისთვისაც არ შემიძლია მადლობა არ ვუთხრა გამომცემლობა „ინტელექტს“. მწერლისა და ნიგნის წარმატებაზე შეუმცდარი პასუხის გაცემა კი, მაინც მგონია, რომ მხოლოდ დროს შეუძლია და არა თარგმნას, „ლაიქებს“ სოციალურ ქსელებში, მრავალათასიან ტირაჟებს ან თუნდაც გაყიდვების მაღალ მაჩვენებელს.

— ახლა რაზე მუშაობთ? რა გეგმები გაქვთ?

— წლის ბოლო თვეა და ჩემი გეგმებიც ამოიწურა. თუმცა, შემიძლია გითხრა, რომ, ამ მიმართულებით, არასოდეს არაფერს ვგეგმავ წინასწარ (ფიქრით კი ვფიქრობ ხოლმე). ახლაც ბუნებრივად მოხდა ის, რომ დავასრულე ახალ პროზაულ კრებულზე მუშაობა. „მე ახლა არავის ველოდები“ — ასე ჰქვია ჩემს ახალ ნიგნს, რომელიც, როგორც მითხრეს, უკვე სტამბაშია და იბეჭდება. ნიგნის რედაქტორია ნუგზარ ზაზანაშვილი, გამომცემელი — ისევე „ინტელექტი“. არ დავიმალოვთ და, ჯერჯერობით, ასე შორიდან, მართლა სასიამოვნო განცდაა ეს, და ასეთივე განწყობით დავემშვიდობები თქვენც. წარმატებებს ვუსურვებ „ლიტერატურულ გაზეთს“.

ესაუბრა თამარ ქურული

ემზარ კვიციანი რქანითელის მტკვანი

საშინელებათა დილოსტატი

25.11.2016. ერთად ვკითხულობ რამდენიმე ნიგნს. ეს მანერე ჩვევა ვერაფრით მივატოვებ. ბოლოს მაინც მთაკაცის, ზონზროხა პიტერ აკროიდის დაწერილ ბიოგრაფიას მივადექი ალფრედ ჰიჩკოკზე. უზარმაზარი მასალა შეუსწავლია დაუდგრომელ აკროიდს. ამ ნიგნს მის მორიგ შედეგად აცხადებენ და ეტყობა ასეცაა. იმდენი წვრილმანის ცოდნას ამჟღავნებს, გაცეხისაგან შეკრთები. ტექნიკური ოსტატობის მხრივ, ჰიჩკოკი აშკარად ვირტუოზია მაგრამ უთუოდ პათოლოგიური პიროვნებაა. მისი უმთავრესი თემებია — სექსი, გაუპატიურება, მკვლელობები. შესაბამისად, ფერები მუდამ ჩაქუფრებულია. განუცდია ედგარ პოს მოთხრობებისა და გოთიკური რომანების მძლავრი გავლენა. ერთადერთი ქალი უყვარდა ცხოვრებაში — ალმა რევილი; ცოლად შეირთო მონტაჟის ნიჭიერი ოსტატი, დაუმრეტელი ენერჯის მქონე. ალმა ყველაფერში თავდაუზოგავად ეხმარებოდა. ერთადერთი ქალი იშვილი ეყოლა, პატრიცია, და კარგად გაზარდეს. საქვეყნოდ ცნობილი კინორეჟისორი გულწრფელად აღიარებს — ალმა რომ არ შემხვედროდა, გვი გაგხდებოდით. თავის თავში თრგუნავდა ჰომოსექსუალობას. გადაღებების დროს ლამაზ-ლამაზ ქალებს კი ებღალატებოდა, მაგრამ ამის იქეთ აღარ შეეძლო, ნასულიყო.

ჰიჩკოკი, დიკენსივით, ფულის გიჟი ყოფილა. მანაც, დიკენსის მსგავსად, ვეებერთელა ღონისძიების ყველა კუთხე-კუნჭული იცოდა და მუდამ ჩაბნელებულ, თავზარდამცემ ადგილებს იღებდა, მაყურებელი სულ შიშსა და ძრწოლაში რომ ჰყოლოდა. ამერიკაში გაფართოვებისა და ტელეინდუსტრიაში უნაყოფო ტრიალის შემდეგ ისევე ანგლისს დაუბრუნდა. მახსენდება დიდი ხნის წინ ნანახი ნაწყვეტები მისი ერთი საკულტო ფილმისა — თოლიების მსგავსი ნაირნაირი ფრინველი სხვადასხვა მხრიდან მოექანება და ქუჩაში მყოფ ადამიანებს დაკორტნას უპირებს. ამ გაუზარდელი სიბერის უამს არავითარი სურვილი არა მაქვს ჰიჩკოკის ფილმებში ნახვილა — ზედმეტი შეშოკოება და დათრგუნვა არაფრად მჭირდება.

ზარების მუსიკა

10.12.2016. ვკითხულობ მარინა ცვეტაევას დის, ანასტასია ცვეტაევას განსაცვიფრებელ დოკუმენტურ პროზას „თქმულება მოსკოველ მნათზე“, რომლის მთავარი გმირია უცნაური, ზემგრძობიანი, ზეადამიანური სმენის პიროვნება, ვინმე კოტიკ სარაჯევი (ქართველი მეგონა და სომეხი აღმოჩნდა, რამაც, ცოტა არ იყოს, გული დამწყვიტა). იგი ეკლესიის ზარების ხმანობაში სულ სხვა, ყველაფერზე აღმატებულ მუსიკას ისმენს, განასხვავებს შვიდასზე მეტ ტონალობას, რაც

არც ერთ საკრავ ინსტრუმენტს არ გააჩნია. სარაჯევი ხელისუფალთაგან იღებს ნებართვას, რათა გაუქმებულ ეკლესიებში ჩამოხსნილი ზარები დაათვალიეროს — როგორც სულიერებს, ისე ეფერება იმ ზარებს.

ცნობილია, რომ ბოლშევიკების ხელში ნატანჯი, პატიმრობაგამოვლილი დიდი რუსი ფილოსოფოსი ალექსეი ლოსევი ახალგაზრდობაში მოსკოვის ერთ-ერთი ტაძრის მნათე იყო. მისი უმთავრესი ნიგნი „მითის დიალექტიკა“ თარგმნა და უაღრესად ფასეული კომენტარები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ. სწორედ ამ ნიგნში ლოსევი აცხადებს: „...სილამაზითა და მნიშვნელობით ვერავითარი სიმფონია ვერ შეედრება ზარების რეკვას“.

დაპატიმრებულ და გადასახლებულ ანასტასია ცვეტაევას ნიგნის პირველი ვარიანტი დაკარგვია და მოგვიანებით, 1976 წელს, ნაწილობრივ აღუდგენია. მას თურმე დიდად უჭირდა მხარს და ამხნევებდა მაქსიმ გორკი, მაგრამ ის ადრინდელი ხელნაწერი მას ვეღარ მიაწოდა. ამასობაში, საავადმყოფოში დაწვენილი გორკი მოწამლეს, მისაკლავეს.

სარაჯევს ტრაქტატიც ჰქონია ზარების მრავალხმიანებაზე, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე, ძალზე ღრმა — საინტერესო ფრაგმენტისაა გადარჩენილი. ჩემთვის ვიფიქრე, რომ კოტიკ სარაჯევის ფენომენს ყველაზე უკეთ ჩანვდებოდა ჩვენი დიდად ნიჭიერი კომპოზიტორი ნოდარ მამისაშვილი, რომელმაც ზედმიწევნით კარგად იცის საეკლესიო ზარების ჩამოსხმის საიდუმლო, რთული ტექნოლოგია.

ანასტასია ცვეტაევას მიერ ასეთი ხასიათის ნიგნის დაწერა იმ საშინელ, ჯოჯოხეთურ დროში ნამდვილი გმირობაა. მის მშვენიერ მემუარებს (განვრცობილ ვარიანტს), რომლის კითხვა, მოუცვლელია გამო, მივატოვებ, საგანგებოდ უნდა მივუბრუნდე. მისი ენა უფრო ესადაგება დინჯთხრობას პროზისა, ვიდრე მისი გენიალური დის, მარინა ცვეტაევასი, რომელიც ზედმეტად მანერულია და აღნიშნავენ, რომ ანდრიე ბელის საგრძობ გაველენას განიცდიდა.

ბანვლილის გადახედვაზე

01.02.2017. წელიწადის პირველი თვე, იანვარი, როგორც ხდება ხოლმე, ნაკლებად ნაყოფიერია. ამას, ძირითადად, უქმედებების სიმრავლე იწვევს. ახალი წელი უნდა მიულოცო ნათესავენს, ახლობლებს. ასეთ ვალდებულებას თან ახლავს მისვლა-მოსვლა, ნაირ-ნაირი სუფრები, სადღეგრძელოები. მომავებზე რეგულირება სხვადასხვა წარდგინებანიც, ახალგაზრდული ნიგნების გამო, რაც ნამეტანი მომრავლდა. უარი რომ უთხრა რომელიმე ავტორს ან მთარგმნელს, ეწყინება. ხშირად მინევს ბოდმებების მოხდა.

წლევანდელი იანვარი ისე ჩამელია ხე-

ლში, ვერც გავიგე. ისევე მაცლის ძალასა და დაცობაზედ დროს გულის მტკვანობა ებელი წვრილმანები, პირადად არაფერში რომ არ მარგია. უთავბოლო წერამაც (კითხვას არ ვემდური) ბევრი ვერაფერი მომიტანა. ლექსები თუ სხვა რამეები იმდენი დამიგროვდა, თვალის გადასავლენადაც არავინ მოიცლის. ამორჩევა-დალაგებასა და გამოცემაზე აღარაფერს ვამბობ.

საგანგებოდ დაფიქრდი, ღირს კი ამდენის დახვავება? ოსტატობის მხრივ თითქოს სასურველ შედეგს მივალნიე — სტრიქონებში თითქმის ყველაფერი მოწესრიგებულია, სიმარგე, ნაჭედობა არ აკლია, მაგრამ სიცოცხლე, სინედლე, მოქნილობა ნაკლებად იგრძნობა. ნამდაუნუმ მეცვლენა გუნებ-განწყობილება და ჩანერის მიყოლებით როცა ვკითხულობ, ხელიერპირად ვინუნებ, შერჩევა მიჭირს. დილასთან შედარებით, საღამო ხანს, უფრო დაუნდობელი ვხდები, ზედიზედ შემომეფცვენება ხოლმე დანომრილი რვეულები. ვერ ვიტყვი, რომ სიტყვის მიმართ მგრძობელობა მაკლდეს. პირიქით, თითოეულ ბგერასაც კი უშელავათოდ ვსინჯავ და ვაწმნებ. არაერთხელ დავრწმუნებულვარ — ზოგიერთი სტროფისა თუ სტრიქონის, სიტყვის უფარვისობა და უადგილობა მერე ამკარავდება, გარკვეული დრო რომ გაივლის. ასევე უღმობელი ვარ ყოველგვარი სიყალბის მიმართ, თუკი შევამჩნიე.

სმენა სიტყვასა და მუსიკაში (აქ ნამდვილად დანაგრული ვარ) სრულიად სხვადასხვაა. ეს ბევრჯერ აღუნიშნავთ და, ამდენად, თავგამოდებით ვცდილობ დაწერილის სრულყოფას. შეუძლებელია იმის დათვლა, ამდენი რა დამიწერია ლექსად, მაგრამ უთუოდ თანახმა ვიქნები. ჩემი ნახსიერივიდან ათი-თორმეტი რომ გამოდგეს უხინჯო, რასაც ხელის დაკარება აღარ დაჭირდება. ისიც გაცნობიერებული მაქვს, ამის შემტყობად თვითონ მე ვერ გამოვდგები. გულახდილად ვამბობ და უნდა დამიჯერონ — უკვდავებაზე ოცნებას არასოდეს ვეძლევი. იმას კი არ უარყვოვ, მსურს, დარწმუნებული ვიყო — მთლად ამოდ არ მიწვალა. მსიამოვნებს, აგრეთვე, ჩემს ტვინსა და გულში გამოტარებულმა ვინმეს პატარა სიხარული მაინც თუ მოჰგვარა. ეს ბუნებრივი, ადამიანური სურვილია, დასაძრახი ამაში არაფერია. ბევრჯერ, თანაც დაურიდებლად გამომიტყვამს აღშფოთება, რომ მცირედენი გამონაკლისის გარდა, ხასიათის ნამხდენი, დამთრგუნველია ის ფონი, სადაც ცხოვრება და ჭაპანწყვეტა გვიწევს. აქ რაიმეს შემობრუნება ზღაპარია. თანაც იცი — მიჩენილი კალაპოტიდან ვერასგზით ვერ ამოხტები. ყოველი ნამდვილი შემოქმედი, მრავალი იქეთ-აქეთ გაქაჩვის შემდეგ, საბოლოოდ, იმ აზრზე დამდგარა, რომ შენი დროის შვილად უნდა დარჩე (მთელი ცხოვრება ამას ქადაგებდა ბრძენთაბრძენი გოეთე). წინ თითქმის აღარაფერია დარჩენილი. განვლილი გადახედვა საწუგეშოს ბევრს არაფერს მამცნობს. ყველაზე გულდასანყვეტი კი ის არის, რომ დრომინურულს, სავეალალოდ ხანმოთუულს, მეცვის აღარაფრისა შემიძლია.





ემზარ კვიციანი

რქანითელის მტკვანი

პოეტის უნივერსალური ნიშანი

12.02.2017. ჩვენს გაუფერულებულ ლიტერატურულ ცხოვრებაში სასიხარულო ამბავია — „ინტელექტმა“ გამოსცა თამაზ ჭილაძის რჩეული ლექსების მთლიანი ტომი „ბორანი“. ადრინდელ ეპოქის დამატებული აქვს ბოლო ათ-თხუთმეტწლიანადმი დაწერილი საუკეთესო ლექსები. შთაბეჭდილება ძალზე სასიამოვნოა. ეს არის მძაფრი დრამატული ვნებებით აღსავსე წმინდა ლირიკოსი, ვის მრავალ ლექსსაც, სრულიად ბუნებრივად, ტრადიციული ტონალობა გასდევს. ავტორს მისთვის ჩვეული ზედმეტი სიმკაცრე გამოუჩენია და ზოგი კარგი ლექსი კრებულში არაა შეტანილი, თუმცა საერთო სურათი მაინც დიდებულია. აქ არ შევუდგები ცალკეული ლექსების გარჩევას, მიუხედავად იმისა, რომ წიგნი საფუძვლიანად, გულმოდგინედ წავიკითხე. მცირეზე მცირე ნაწილს მოვიტან იმ სტრიქონებისა, რაც მოვიწონე. წინასწარ მინდა განვაცხადო — ასეთ კულტურულ დონეზე ლექსის წერა დღევანდელ საქართველოში ცოტას თუ ხელენიფება. ახალმა თაობებმა მისგან ბევრი რამე უნდა ისწავლონ.

ტრადიციის განცდა პოეტის ჭაბუკობის დროინდელ ლექსებშივე შეიმჩნევა. გამორჩეული, დახვეწილი ოსტატობაა საჭირო, რომ ერთადერთ სტროფში ამოძვინდებოდა ტკივილი ხელშესახებდა, გაუზუნარ სურათად ჩასტიო:

*მატარებელი მიდის და ბნელში
დაეძვება გზებს და ხეობებს ღიას
და ფანჯრებიც განათებული,
ჩემი უშენოდ სიცოცხლე მიაქვს.*

მომხიბლავია იშვიათი უნარი, ლექსში ასე სადად, ძალდაუტანებლად გამოვლენილი, როცა ხმა, სრულიად არამატერიული რამ სიმკვრივეს, ფერს იძენს და საგნობრივი, თვალთ დასანახი ხდება:

*რეკავენ ზარები,
ვით ოქროს რკოები,
აცვივა კრამიტებს
კრიალა ბგერები.*

სხვაგანაც ორიოდ სტრიქონი ქმნის ხსოვნაში სამუდამოდ ჩარჩენილ დაუვინყარ განწყობილებას და იგი კვლავ ფერს, სურათს უკავშირდება:

*როგორც ლოდინის ნითელი ქოხი,
მიიწვინოდა ტრამვაი ბინდში.*

ამის დამწერს გულს უკლავს ქვეყნად ყველაფრის წარმავლობა. ის, რომ ბედნიერ ნუთებს დიდხანს ვერ დაინარჩუნებ და ამას კიდევ უფრო ამძაფრებს ერთი

წერტილისკენ მიმართული, უზუსტეს შედარებათა მწკრივი:

*და გათავდება ის, რაც წაგართვი,
რითაც ჩემს ყოფნას სიცოცხლე ჰქვია...
ასე თავდება ბნელში ასანთი,
ალყაში — პური და ომში — ტყვია.*

ხდება ხოლმე, სიჭაბუკეში, ზღაპრულად გილას დაგათენდება და მოზღვავებულ გრძნობებს ვედარ უმკლავდება. ამას გვამცნობს ეს ტკივილიანი ამოძახილი:

*ზედა ზნის თოვლით გამთბარო,
ციცკრის ვარსკვლავო — ია,
დაბერებულ ზამთარო,
მეტი არ შემიძლია.*

ყველაზე გულსატკეპნი ისაა, რომ ეს თრთოლვა, ასეთი ნუთები აღარასოდეს მეორდება, სამუდამოდ რჩება წარსულში, მხოლოდღა გახსენებას თუ შესძლებ.

დამაბრმავებელ ფერწერულ სურათად აღიქმება ყველაზე ქართული მდინარის, არაგვის ნაპირას თვალმოკრული მშვენიერება:

*ჩამოწყვეტია საკინძე აპრილს
და ჭორფლიანი ძუძუ მოუჩანს...*

არ შემიძლია თავი შევიკავო და არ ამოვწერო ორსტროფიანი უსათაურო, რომელშიც შეყვარებული კაცის რაინდული გზნებაა განფენილი. ძნელია, ძვირფას არსებას ამაზე უფრო ფაქიზად გაუმჟღავნო თავყანისცემა:

*თამამად ენდე ლექსის უფსკრულებს,
იქ ჩემი სული შენს ლანდს დაეძვება,
რომ მუდამ ასე, დაუსრულებლად,
კვდებოდეს, მაგრამ არ კი დაეცეს.*

*რომ გააბრუნოს ფიქრმა ქარივით,
რომელიც მალად მთიდან უბერავს,
სალამურივით იყოს ღარიბი,
უბით ატაროს თეთრმა ღრუბელმა.*

თამაზ ჭილაძის პიროვნებაში გაუნელებელი ტკივილითაა აღბეჭდილი ოთხმოცდაათიანი წლების გამანადგურებელი ქაოსი, როცა მტრული ძალების მიერ (ამაში მოლაღატე ქართველთა ხელიც ერია) ყველაფერი ვერაგულად იყო დაგეგმილი, რათა აფხაზეთი, ჩვენი სამშობლოს განუყოფელი ნაწილი საქართველოს სხეულიდან მოეგლიჯათ, გაეუცხოებინათ. სხვანაირად არ დაინერებოდა ავბედითი მინიშნებით დალდასმული ეს სევდიანი სტრიქონები:

*ყველაფერი ახლოა,
შენ რომ შორი გგონია,
ნარიყალას აწყდება
კელასურის თოლია.*

ამჟამად ამ არასახარბიელო გადასახედიდან, მტკვრის გასწვრივ მოფარფატე,

გადმოხვენილ თოლიებს რომ ვუყურებთ, ისინი გაგონის და სოხუმის სანაპიროებზე ველურ გადამთიელთა მიერ უღმობლად აჩეხილი ჩვენი თანამემამულეების სულეზად გვესახება.

იშვიათად წამიკითხავს დიდი წინაპრის სამუდამო განსასვენებლის ისეთი უნატიფესი მოფერება, როგორც თამაზ ჭილაძემ ერთმანეთს მიყოლებულ და ერთ უბრალო რითმაზე განწყობილ ხუთ სტრიქონში შესძლო. აქ თვითული ხატი გენიალური პოეტის უსაყვარლესი ყვავილის სიფრიფანა, ლაყვარდისფერ ციციქლის ფურცლებზეა დაშუქებული და თვალის-მომჭრელად ელავს:

*ანგელოზის ცრემლივით,
ლაყვარდების ნიაღ,
უხმოდ ამღერებულო, იადონის ტიავ,
ტკბილი მოგონებების*

*ლურჯო თვალო ღიაგ,
სიმარტოვის სანთელი, პანანინა იავ,
ნუთუ ვაჟას საფლავი შენით გიპოვია?*

ბევრს მოჩვენებია სიცოცხლე გაგრძელებულ სიზმარ-ცხადად. სწორედ ამ მწარე განცდის გამოძახილია გაოცებული პოეტის დაჩვილება, რის პასუხადაც ხორციელთაგან მას სანუგეშოს ვერაგინ ეტყვის, რადგან ეს სანუგეშო მარადიული, საერთოა და ყველა ჩვენგანს ტანჯავს:

*უძირო თოვლში თითქოს ზამთარმა
დამათესინა ცრემლის მარცვლი,
თუ სიზმარია, რით ვერ დამთავრდა
და თუ ცხადია, რაღას მანვალებს?!*

თამაზ ჭილაძე მხატვრობის, ფერწერის საუცხოო მცოდნეა, უსაზღვროდ არის შეყვარებული მასზე, არაერთი ბრწყინვალე ესეი აქვს დაწერილი გამოჩენილ მხატვრებზე. ეს მიდრეკილება მის მრავალ ლექსშია გამოკვეთილი, რასაც დღემდე ინარჩუნებს და აღრმავებს. საამისოდ ერთი ბოლოდროინდელი (2015) ლექსის სტროფს მოვიხმობ:

*დარჩენია მთებზე
მზეს ნითელი ფრთები
და ისე ჩანს, თითქოს
მზეს მისდევენ მთები.*

დაახლოებით ამავე ტონალობისაა მომდგნო წლის ორსტროფიანი უსათაურო, სადაც იგი განუხორციელებელ ოცნებას მისტირის. ამ სტროფთა დამორიშობება ძნელია და, ამდენად, ეს ამაღლელებელი გულიტკივილი მთლიანად უნდა მოვიტანო:

*წყალთან დაბერდა ყანჩა,
მთაზე დაბერდა ნისლი,
შენკენ ბილიკიც არ ჩანს,
არც არაფერი ისმის.*

და აი, რაღა დამრჩა — ჩამოქანცული ფრთები, ერთმანეთისათვის გაეჩნდით, უერთმანეთოდ ვკვდებით.

თამაზ ჭილაძის ბოლოდროინდელ ლექსებში მისი უმცროსი ძმის, დიდი მემოქმედის, ოთარ ჭილაძის უკვდავი სული ტრიალებს და წინამდებარე წიგნიც იხურება მისდამი მიძღვნილი უძლიერესი ლექსით („თუკი ამქვეყნად ყველაფერი არის ამაო“), რაზედაც ამ ორი წლის წინ ვწერდი და ამაჟამად სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

თვით ხსენებული წიგნის სიმბოლურ სათაურში („ბორანი“) ღრმა აზრია ჩადებული. შემაჯამებელი, უმნიშვნელოვანესი წიგნის ავტორს სჯერა, მიაღწევს ორი სამყაროს გამაერთიანებელ „სამუდამო ნაპირს“ და იქ, მრავალთა შორის, თავისი საამაყო, საფიცარი ძმის სანუგეშო არჩილს შეიცნობს, წლობით დაშორებულს, უნახავს, მონატრებულს, მკერდში ჩაიკრავს.

აღრაც გამომითქვამს ალტაცვა

19.03.2017. ანა ახმატოვას მიმართ ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარული მქონდა და მექნება. ალტაცვა მისი განუმეორებელი ლირიკის გამო, პუშკინისეული სისადავე და ამაღლებულობა რომ დაჰყვება, ადრეც გამომითქვამს. პოეტის მრავალი გამოცემა მაქვს და თვით მასზე დაწერილი გამოკვლევები, მონოგრაფიებიც. ზოგიერთები რუსეთში ლაბობენ მის ყოველწინა და დამცრობასა და გაბიპრუებას, მაგრამ ეს უბადრუკი ცდები იმთავითვე განხირობის, სრულიად უნადაგოა. სამწუხაროა, რომ ანა ახმატოვასადმი არცთუ კეთილ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა დიდად ნიჭიერი მწერალი და გულაგში ტანჯვაგამოვლილი კაცი ვარლამ შალამოვი. იგი დაბეჯითებით წერდა — „უგმრო პოემის“ სტროფიკა და ინტონაცია მიხეილ კუზმინისგან მითვისაო. არაფრით არაა გამართლებული ამნაირი ბრალდება.


ახლახან ნაცნობი ბუკინისტისაგან ვიყიდე ანა ახმატოვას დღიურებისა და პროზის წიგნი (აქვეა პირადი წერილები და მისი საუკეთესო პოემის ორი წერიანი ტომი).

კრებულს დართული აქვთ მიხეილ კრალინის უძლიერესი, დიდი შთაგონებითა და ცოდნით დაწერილი წინასიტყვა დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა, იშვიათად განცდილი სიამოვნება მომანიჭა. საქართველოში ასეთ წინასიტყვას, თანაც ასეთი ყოვლისმომცველი სიყვარულით განათებულს, პოეტს ვერავინ დაუნერს. გავიხარე და კიდევაც შემეშურდა.

ამის ფონზე დავიწყე საუცხოო ესეისტის, პოეტის, მთარგმნელის, კორნეი ჩუკოვსკის ცნობილი წერილი („ახმატოვა და მიაკოვსკი“, 1922) გადაკითხვა. გაგონილი კი მქონდა (ახმატოვაც ამასვე ამბობს), რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ეს წერილი გამოიყენა ახმატოვას წინააღმდეგ. იქ პირდაპირ, მიკიბე-მოკიბვის გარეშე წერია, რომ მისი ლექსები მონაზვნის დაწერილია და იგი მთლიანად რელიგიოზია ფანტიკურად გადავარდნილი, ამქვეყნიური ცხოვრებისა არაფერი სწამს და მხოლოდ ლოცვებს წერს. ბოლომდე არ ჩამიკითხავს, მაგრამ ნებისთინე უნებლიედ, ეს მართლაც დასმენას წააგავს, რასაც უკვალოდ არ ჩაუფლია; ამ წერილის პათოსით ისარგებლეს უდიდესმა დიქტატორმა სტალინმა და მისმა ლაქიამ შედარებია. ხვალისთვის დავამთავრებ, არა მგონია, აზრი მკვეთრად შემეცვალოს.

მიხეილ კრალინმა კი ერთობ დამაინტერესა. ვიცი, გამოცემული აქვს ძალზე მიმზიდველი და ორიგინალურად მოფიქრებული წიგნი ანა ახმატოვასა და კომპოზიტორ არტურ ლურის ადრინდელ რომანულ ურთიერთობაზე, სადაც სხვადასხვა პიროვნების პირადი წერილების მიხედვით აღგვნილია მათი ბიოგრაფიების ნაკლებად ხელმისაწვდომი ეპიზოდები და ბევრ რამეს ეფინება ნათელი. ეს წიგნიც უთუოდ შესაძენი და წასაკითხია.

შემდეგი ნომერი გამოვა 18 იანვარს



ლიტერატურული გაზეთი
 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
 საქართველოს მხარალთა სახლი
 რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
 ჟურნალისტი თამარ ყურული
 მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
 ISSN 2346-7940
 9 772346 794004